პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 იანვარი ოთხშაბათი 2012

№002 (13608) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



12

## 19 ქულა 14 მოხსნა

# ვიქტორ სანიკიძის

## მორიგი ორმაგი

# ფეხბურთელები თუ პარიკმახერები?



ინტერვიუ ალექსანდრე ამისულაშვილთან

2



# ზაზას 3000 მოხსნა

12

ატლანტამ მაიამი ფლორიდაში შეარცხვინა



# ტყებუჩავა ზუგდიდში ჩავა

ცვლილებები ბაიაში

3



# გადაწყდა: ჯილარდინო კალაძესთან

8

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ალექსანდრე ამისულაშვილი: აბა, ჩვენ ვინ ვართ, ფეხბურთელები თუ პარიკმახერები?

მცველებიისე ძვირად ვერ ფასობენ, როგორც მეგოლეები, გარემარბები და პლეიმეიკერები – ფეხბურთი ბიზნესია და ეს თავის წესებს ახვევს ამ თამაშს.

მაგრამ მცველები მაინც ძვირად ფასობენ, ხანდახან შემტევებზე უფრო ძვირადაც – მცველის ერთი შეცდომა ხომ ზოგჯერ მართლაც ძვირად უჯდება გუნდს.

ფეხბურთი უნივერსალიზმისკენ მიდის, რაც მცველის დიაპაზონს აფართოვებს და, შესაბამისად, უფრო ღირებულს ხდის ამ პოზიციას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, შარშანდელ ამბავს გაგახსენებთ – რუსულმა "კრასნოდარმა" თურქული "ქაისერისფორიდან" ალექსანდრე ამისულაშვილი გადაიბირა და ოსმალოებს მის სანაცვლოდ სამი მილიონი ევრო ჩაუთვალა. ბრგე, ხისტი და შეუპოვარი – ამ თვისებებს 29 წლის ამისულაშვილმა ისიც მიუმატა, რაც მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებით მოდის.

რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ქართველ ფეხბურთელში, თანაც, მცველში, მილიონებს იხდიან. ამისულაშვილი ბოლო წლებში მართლაც სტაბილურად თამაშობს, რაც შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა.

მისი კარიერა კი ისე აეწყო, რომ თერთმეტჯერ მოუწია კლუბიდან კლუბში გადასვლამ. ამისულაშვილთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...



**– ფეხბურთელის კარიერაში რა არ ხდება, არიან ისეთებიც, უფრო მეტჯერ რომ გამოუცვლიათ კლუბი. შენს შემთხვევაში რით იყო ეს გამოწვეული?**

– ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. ხუთ გუნდში იჯარით ვიყავი გაშვებული და კლუბის ხშირ ცვლაზე ამანაც მნიშვნელოვნად იმოქმედა. როცა ნალჩიკის "სპარტაკში" გადასვლის ვარიანტი გამოჩნდა, სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რადგან მობეზრებული მქონდა აქეთ-იქით სიარული.

**– ჯერ კიდევ მაშინ, როცა 16 წლის იყავი, საფეხბურთო სამყარო კარგად გიცნობდა და პერსპექტიულ ფეხბურთელად მიაჩნდი. თელავის "კახეთიდან" ქუთაისის "ტორპედოში" გადახვედი, თუმცა წარმატება მალევე არ მოსულა...**

– ალბათ, ყველა ფეხბურთელს ჰქონდა ისეთი მომენტი, როგორიც მე – ძალიან ძნელია, 16-17 წლისამ სტაბილურად ითამაშო. "ტორპედოს" მაშინ დავით ყიფიანი წვრთნიდა, მასთან ზურაბ მაისურაძემ მიმიყვანა. ფეხბურთელი რომ ვარ, ერთ-ერთი მაისურაძეცაა, მნიშვნელოვანი წვლილი რომ მიუძღვის ამაში. თავიდან კარგად მიდიოდა ყველაფერი, მერე სტაბილურობა ვერ „დავიჭირე", "ტორპედოს" კი მხოლოდ საჩემპიონო ამბიცია ჰქონდა. გუნდში 5-6 გამოცდილი, მაღალი კლასის მცველი მოგროვდა და ჩემთვის იქიდან წამოსვლა სწორი გადაწყვეტილება იყო. ნახევარწლიანი იჯარით "სამტრედიაში" გადავედი, გუნდის მწვრთნელი ნოდარ აკობია ყველანაირად გვერდში მედგა. თუ ერთ-ორ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, მწვრთნელებში გამიმართლა...

**– "სამტრედიას" შემდეგ კი უკვე მართლაც პროფესიულ დონეზე ახვედი – საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში მოხვდი..**

– მაისურაძემ რეკომენდაცია გამიწია რევაზ არველაძესთან, რომელიც მაშინ "დინამოს" პრეზიდენტი იყო. "დინამოში" ვარჯიში გოჩა ტყებუჩავას მწვრთნელობისას დავიწყე, შემდეგ გუნდის თავკაცი გივი ნოდია გახდა და ამის მერე მოვაწერე კონტრაქტს ხელი.

**– გივი ნოდია ამბობდა, ამისულაშვილს ისეთი მონაცემები აქვს, მომავალი კალაძეაო. მწვრთნელისგან ასეთი ნდობა ცოტას არ ნიშნავს, თანაც, მაშინ მხოლოდ მცველი არ იყავი...**

– ძალიან მიყვარს საყრდენ ნახევარმცველად თამაში და ნოდიაც უფრო ხშირად ამ პოზიციაზე მათამაშებდა. ნახევარმცველობისას მეტი სირბილი გიწევს, მაგრამ მცველობა მაინც განსაკუთრებულად რთულია – ერთი შეცდომა და შენს უკან მხოლოდ მეკარეა...

**– "დინამოში" ივო შუშაკის მწვრთნელობის პერიოდს როგორ გაიხსენებდი? მაშინ "დინამოსგან" გაცილებით მეტს ელოდნენ...**

– "დინამოში" იმ დროს კარგი პირობები იყო და გუნდიც კარგი გვყავდა, თუმცა ევროსარბიელზე ხელმოცარულები დავრჩით. ალბათ, ყველას გახსოვთ ალბანურ" ტირანასთან" შეხვედრა. პირველი მატჩი 3:0 მოვიგეთ და ვინ იფიქრებდა, რომ მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდოდით...

**– "ტირანასთან" მარცხმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რას აღარ ამბობდნენ. ალბათ, ფეხბურთელებამდეც აღწევდა ხმები იმაზე, რომ ეს ყოველივე შუშაკის წინააღმდეგ გამიზნული ქმედების შედეგი იყო...**

– ბევრ სისულელეს გაიგებ კაცი, მერწმუნეთ, მსგავსი არაფერი მომხდარა. შუშაკს დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით და ისიც პატივს სცემდა გუნდის ყველა ფეხბურთელს. "ტირანასთან" მარცხის შემდეგ "დინამოდან" 7-8 ფეხბურთელი წავიდა, მალე მეც წამოვედი.

**– კიევის "დინამოში" გადასვლის პერიპეტიები საინტერესო უნდა იყოს...**

– კიევის "დინამოდან" ჯერ კიდევ "ტირანასთან" მატჩამდე დამიკავშირდნენ. მაშინ უკვე მქონდა რამდენიმე შეხვედრა ნათამაშები ნაკრებში. კიეველებმა მითხრეს, ჩამოდი, ჩუმად მოაწერე ხელი კონტრაქტს და მერე მოველაპარაკებით თბილისის "დინამოსო". ცხადია, ამაზე უარი ვუთხარი, საქმის კურსში ჩავაყენე "დინამოს" მმართველი დავით პეტრიაშვილი და შევთანხმდით, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გამიშვებდნენ, ასეც მოხდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, კიეველებმა ტრანსფერში ნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადეს.

**– სანამ უკრაინულ ამბებზე ვისაუბრებდეთ, ერთს გკითხავ – თელავიდან ხარ და რას იტყოდი იმაზე, რომ კახეთში ფეხბურთი თითქოს ნაკლებად უყვართ...**

– კახეთში ფეხბურთი ძალიან უყვართ, როცა კახელებს უმაღლეს ლიგაში ჰყავდათ გუნდი, სტადიონი თითქმის ყოველთვის ივსებოდა. თუ ამ რეგიონს ისევ არ ეყოლება გუნდი უმაღლეს ლიგაში, იქაურ ბავშვებს ფეხბურთი ვერ შეუყვარდებათ, ასეთ ვითარებაში კი კახეთში ფეხბურთელის გაზრდა გაძნელდება. თუ იქ "დინამო", "ზესტაფონი" და "ტორპედო" არ ჩავა, საფეხბურთო ცხოვრება ვერ გამოცოცხლდება.

**– უკრაინულ კარიერას დავუბრუნდეთ. ყველაზე მეტად რამ შეგიშალა ხელი?**

– სხვა ატმოსფერო, ენის ბარიერი, ცივი დამოკიდებულება... მაშინ კიეველთა თავკაცი მიხაილიჩენკო იყო, მას შეეძლო, მეტი თანადგომა გამოეჩინა, მაგრამ პირველივე ჩაგდებული თამაშის მერე წითელი ხაზი გადამისვა და, ფაქტობრივად, უშანსოდ დავრჩი. გამანათხოვრეს "დნიპროში", უთამაშებელი ვიყავი და ახალ გუნდში უცბად ფეხის მოკიდება გამიჭირდა. დნეპროპეტროვსკელთა მწვრთნელმა კუჩერევსკიმაც მითხრა, ვერ გათამაშებ, უპირატესობას უკრაინელებს ვანიჭებო. ვუთხარი, თუ არ მენდობით, რაღას წამომიყვანეთ "დინამოდან", სათადარიგოთა სკამზე ხომ იქაც ვიჯექი-მეთქი. ამ საუბრის მერე "დნიპროში" წესიერად არც კი მივარჯიშია, ფსიქოლოგიურად ვერ ვიყავი კარგად...

**– და დაბრუნდი საქართველოში...**

– კახა ცხადაძის ინიციატივით თბილისის "დინამოში" დავბრუნდი. შეიძლება ითქვას, რომ ცხადაძემ მარტო "დინამოში" კი არა, ფეხბურთში დამაბრუნა. ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ გვერდში დამიდგა და მეც თანდათან ავკრიფე. კახას ამ სიკეთეს არასდროს დავივიწყებ.

**– "დინამოში" დიდი ხნით არ გაჩერებულხარ, ისევ უკრაინას მიაშურე.**

– ისევ კიევის "დინამოს" ვეკუთვნოდი, მივედი კლუბის ბაზაზე და არ შემიშვეს, თუ აქედან წასვლა გინდა, ფული უნდა გადაიხადოო. მოკლედ, ყველაფერი ისე ლამაზად არ არის, როგორც ეს გარედან ჩანს. უკრაინული ამბები უნდა დავივიწყო.

"ნალჩიკში" მისვლამდე იჯარით "ტავრიასა" და "შინიკში" ვიყავი, როგორც კი ნალჩიკელებმა გამომისყიდეს, სტაბილურად ავთამაშდი.

**– რუსეთ-უკრაინის შემდეგ შოთა არველაძის "ქაისერისფორში" გადახვედი, საიდანაც ისე წახვედი, რომ არველაძე განაწყენებული დარჩა...**

– ასე რომ მოხდა, არც შოთას უნდოდა და არც მე. "ქაისერისფორში" ყოფნისას დამიკავშირდნენ მოსკოვის "ლოკომოტივიდან", სადაც უკვე "ნალჩიკის" ყოფილი მწვრთნელი კრასნოჟანი მუშაობდა. კონტრაქტის პირობებზე ვერ შევთანხმდით, მოლაპარაკება გაიწელა. ამ დროს უცბად გამოჩნდა "კრასნოდარის" ვარიანტი, რომელიც იხდიდა იმ თანხას, რაც ჩემი ტრანსფერის გამოსყიდვას სჭირდებოდა. 24-25 წლის რომ ვყოფილიყავი, არ წავიდოდი, მაგრამ "კრასნოდარმა" "ქაისერისფორზე" უკეთესი პირობები, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი შემომთავაზა. შოთა მწვრთნელია და ის რომ წასულიყო "ქაისერიდან", ისე სტაბილურად ველარ ვიგრძნობდი ამ კლუბში თავს. ვიცი, რომ შოთას ვაწყენინე, თუმცა ჩვენ ვისაუბრეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. "ქაისერისფორში" 28 წლისა მივედი და როგორც ფეხბურთელი, გავიზარდე, რაც პირველ რიგში მწვრთნელის ფაქტორით იყო განპირობებული. შოთას საქმე ისე მიჰყავდა, რომ ფეხბურთელს თამაშისგან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიეღო.

**– "კრასნოდარში" გუნდის კაპიტნად აგირჩიეს, სტაბილურად თამაშობ, კარგი პრესა გაქვს, თუმცა გუნდი პრემიერლიგის ნალებ რვა გუნდში ვერ მოხვდა, რაც, ალბათ, ხინჯად გრჩება...**

– მთლად კმაყოფილი ვერ ვიქნები, ფიზიკურად ბოლომდე კარგად ვერ შევხვდი სეზონს, მანამდე ორი წელი გადაბმულად, შეუსვენებლად ვითამაშე. სეზონის პირველ ეტაპზე რამდენიმე გაუთვალისწინებელი ქულა დავკარგეთ, თუმცა, ამის მიუხედავად, "კრასნოდარის" შედეგი სეზონის პირველ ეტაპზე დადებითად უნდა შეფასდეს. ასეთი ძლიერი პრემიერლიგა მე ჯერ არ მახსოვს, რუსეთის პირველი შვიდი გუნდი ისეთია, ვისაც ხელს დაადებს, ნებისმიერი ფეხბურთელის ყიდვა შეუძლია.

**– რუსეთის პრემიერლიგაში მცველებს ყველაზე მეტად რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ უჭირთ თამაში?**

– ვაგნერი და დუმბია ცსკა-დან, კერჟაკოვი "ზენიტიდან", ველიტონი "სპარტაკიდან", ტრაორე "ყუბანიდან"... სხვათა შორის, "კრასნოდარშიც" გვყავს ძალიან ძლიერი ცენტრფორვარდი – იური მოვსისიანი. სისწრაფე, ტექნიკა, ბოლომდე ბრძოლა – ამ თავდამსხმელებს ყველაფერი აქვთ.

**– საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებზე ბევრს ლაპარაკობენ – არ არიან მაღალი კლასის მოთამაშეები, რესურსი მწირია, კარგი შემტევების ნაკლებობაა და ასე შემდეგ. ეს ისეთი თემაა, უპასუხოდ, ალბათ, არ უნდა დარჩეს. ნაკრებიდან წავიდა კახა კალაძე და გუნდს კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი გამოაკლდა. როგორ ფიქრობ, ჰყავს ჩვენს ნაკრებს ლიდერი?**

– ვფიქრობ, ნაკრებში სამი-ოთხი მოთამაშე უნდა იყოს ისეთი, ლიდერობა რომ შეუძლია. ცუდია, კალაძე რომ ნაკრებიდან წავიდა, მას ისევ შეეძლო სარგებლობის მოტანა გუნდისთვის. თუ როგორი განცხადება მოჰყვა კალაძის წასვლას, ამაზე იმას ვიტყვი, რომ ასე არ შეიძლება, კალაძე ერთ მადლობას მაინც არ იმსახურებდა?! რაც შეეხება ლიდერებს ნაკრებში, ეს უფრო მწვრთნელის სალაპარაკო თემაა.

**– ფეხბურთელების რესურსზე არაფერი გითქვამს...**

– ამას წინათ საქართველოს ჩემპიონატის ხუთი თამაში გადაიდო, ჩვენ კი ამ დროს ციმბირში "ტომს" ვეთამაშეთ – ალბათ, ამაზე უნდა დავფიქრდეთ – საიდან უნდა გამოჩნდეს სანაკრებო ფეხბურთელი, თუ არა ეროვნული ჩემპიონატიდან?! და საერთოდ, რომ ამბობენ, საქართველოს ნაკრებს ფეხბურთელები არ ჰყავსო, აბა, ჩვენ ვინ ვართ – ფეხბურთელები თუ პარიკმახერები?

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# თურქეთი აქტუალურია

"ზესტაფონი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 10 იანვრიდან შეუდგება, 8-სა და 9-ში კი ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება ჩატარდება. გეგმის მიხედვით, საქართველოს მოქმედმა ჩემპიონებმა შეკრების პირველი ეტაპი ზესტაფონში უნდა გაიარონ და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთონ. თუმცა, უამინდობის შემთხვევაში **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი თურქეთში გაემგზავრება.

იქიდან გამომდინარე, რომ გუშინ ზესტაფონში ძლიერად თოვდა, არ არის გამორიცხული, ადგილზე სრულფასოვანი სანვრთნელი პროცესის წარმართვა ვერ მოხერხდეს და ანთალიაში გამგზავრება გახდეს აუცილებელი.

მთავარი შეკრება კი ესპანეთშია დაგეგმილი, სადაც, შეგახსენებთ, ფეროელები პრესტიჟულ "მარბელას თასზე" იასპარეზებენ.

ტურნირის წილისყრა ჯერაც არ გამართულა, თუმცა უკვე ცნობილია რომ გათამაშება პლეი ოფის სისტემით გაიმართება, მაგრამ ყველა გუნდი სამ მატჩს ჩაატარებს. სათამაშო დღეებია 3, 6 და 9 თებერვალი, "ზესტაფონის" გარდა კი ტურნირში მონაწილეობენ: "დინამო" (კიევი, უკრაინა), ცსკა (მოსკოვი, რუსეთი), "რუბინი" (ყაზანი, რუსეთი), "კრილია სოვეტოვი" (სამარა, რუსეთი), "რაპიდი" (ბუქარესტი, რუმინეთი), "ლეხი" (პოზნანი, პოლონეთი), "გუანჯოუ" (გუანჯოუ, ჩინეთი).

"ზესტაფონის" შემადგენლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე უკვე არაერთხელ გაუწყეთ, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჯერაც უცნობია, სად გააგრძელებენ კარიერას კლუბიდან წასულები – **ნიკა გელაშვილი** და **ირაკლი ძარია**.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი ჭიაბრიშვილი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ბაია



ელგუჯა ქომეთიანი



გოჩა ტყებუჩავა

# მოსალოდნელი და გაუგებარი

## ქომეთიანს ტყებუჩავა შეცვლის

**ელგუჯა ქომეთიანის** ხელმძღვანელობით "ბაია" ყოველთვის სანახაობრივ და, რაც მთავარია, შედეგიან ფეხბურთს თამაშობდა – ახალგაზრდული შემადგენლობითა და არცთუ იშვიათად წარმოქმნილი ფინანსური პრობლემებით ზუგდიდური კლუბი არასდროს დამდგარა უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების საფრთხის წინაშე და საუკეთესო ქართული გუნდებისთვისაც ყოველთვის ძნელად დასაძლევი ბარიერი იყო.

ამაში კი უდიდესი წვლილი ელგუჯა ქომეთიანს მიუძღოდა. "ბაიაში" მისი არაერთი აღზრდილი თამაშობდა და ფეხბურთელთაგან უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ქომეთიანს ბიჭები "დელ ბოსკეს" ეძახდნენ – სახელოვანი ესპანელი მწვრთნელის მსგავსად, გუნდში დისციპლინის დასამყარებლად არასდროს დასჭირვებია ხმის აწევა და ვინმეს დასჯა, დისციპლინის გარანტია მისი პიროვნებისადმი უსაზღვრო პატივისცემა იყო. სწორედ ამ ფაქტორის გამო ყველაზე უხიაგი ხასიათის მქონე მოთამაშეც კი ვერ მისცემდა საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას.

სარწმუნო ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარე სეზონში ქომეთიანი ერთხელ უკვე თითქმის გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან და მის ადგილზე ნაკლებად წარმატებული სპეციალისტი უნდა დაენიშნათ, მაგრამ ფეხბურთელებმა საოცარი სოლიდარობა გამოავლინეს და გამზრდელი მწვრთნელი უსამართლოდ და ყოვლად უმოტივაციოდ დათხოვნისგან დაიცვეს – სათამაშოდ გასვლას აღარ აპირებდნენ.

თუმცა ეს მაინც მოხდა და "ბაიას" ხელმძღვანელობამ ქომეთიანს საკუთარი გადაწყვეტილება საახალწლო პერიოდში აცნობა. გუნდის მესაჭის ადგილს კი **გოჩა ტყებუჩავა** დაიკავებს, რომელიც ამჟამად საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრებს წვრთნის.

*"ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, უფრო კი ადრე, "ბაიას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობის დატოვება მომიწევდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს ამბავი არ გამხარებია. თუმცა რას ვიზამ, ალბათ, ასე სჯობდა",* - გვითხრა ქომეთიანმა.

არადა, იგი, როგორც ჩანს, მაინც ინარჩუნებდა იმის იმედს, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცემოდა. რამდენიმე დღის წინ ხომ "ლელოსთან" ინტერვიუში ქომეთიანმა ზამთრის მოსამზადებელ გეგმებზე ილაპარაკა და იმის იმედიც გამოთქვა, რომ წამყვანი ფეხბურთელების გასხვისების მიუხედავად, "ბაია" არ დასუსტდებოდა.

მან ჯერ ისიც არ იცის, მიეცემა თუ არა "ბაიაში" რაიმე სტატუსით დარჩენის საშუალება: *"კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ არაფერი შემოუთავაზებია და დაველოდები, უახლოესი დღეების განმავლობაში რას მეტყვიან. თუ "ბაიაში" დავრჩი, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას კლუბს ძველებურად მოვახმარ".*

ქომეთიანმა შემცვლელი თბილად მოიხსენია: *"გოჩა ტყებუჩავა ნიჭიერი სპეციალისტი და კარგი ადამიანია. მჯერა, მისი ხელმძღვანელობით "ბაია" წარმატებით იასპარეზებს".*

"ბაიას" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში გატარებულ პერიოდს კი მოკლედ ასე აფასებს: *"ეს დრო უქმად ნამდვილად არ გამიტარებია. ბედნიერი ვარ, რომ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელის, ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღის აღზრდაში მივიღე მონაწილეობა. თანამდებობიდან პირნათელი მივდივარ და ვიტოვებ იმედს, რომ "ბაია" მომავალშიც ღირსეული კლუბი იქნება".*

ქომეთიანმა "ბაიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორი წელიწადი გაატარა. მისი ხელმძღვანელობით ზუგდიდელებმა 2009-10 წლების სეზონი მე-8 ადგილზე დაასრულეს, წინა ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავეს და მე-6-ზე არიან უმაღლესი ლიგის მიმდინარე გათამაშებაშიც.

გოჩა ტყებუჩავა კი კომენტარისგან ჯერ თავს იკავებს. "ბაია" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ხვალიდან შეუდგება და უახლოეს დღეებში ზუგდიდელთა ახალ თავკაცს, წესით, საკუთარ ხედვასა და გეგმებზე საუბრის სურვილიც უნდა გაუჩნდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბაიას ლიდერები დააკლდა



გიორგი სომხიშვილი

ზუგდიდის "ბაია" კაპიტანმა **გიორგი სომხიშვილმა** დატოვა. 31 წლის მეკარე გუნდს ჩემპიონატის დაწყებისას შეუერთდა, სეზონისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოახერხა, თუმცა ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ჩინებულად ჩაატარა და "ლელოს" სიმბოლურ ნაკრებსაც გაუშინაურდა.

სომხიშვილი "ბაიას" ნამდვილი ლიდერი იყო, მოედანზე მწვრთნელს თანაშემწეობას უწევდა და თუ "ბაიას" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი აქვს, ამაში გიორგის დამსახურებაცაა.

გუნდს მასთან განშორება არ სურდა, მაგრამ "ბაიაში" ჯერაც გაურკვეველი ფინანსური მდგომარეობაა და გაცლა ამჯობინა. შევიტყვეთ, რომ გიორგის უმაღლესი ლიგის ორი კლუბი იწვევს.

"ბაიას" დატოვება სურს **ნიკა აფაქიძესაც**. მასაც ქართული კლუბები იწვევენ - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის მცველმა შემოდგომაზე თავი კარგად წარმოაჩინა, მაგრამ აფაქიძე კარიერის გაგრძელებას ევროპაში იმედოვნებს და ჯერ აქაურ გუნდში გადასვლისგან თავს იკავებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკა აფაქიძე

● ლეგიონერი

## მერაბ გიგაური:

# პოლონეთში მომჩვევია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი **მერაბ გიგაური** ქუთაისის „ტორპედომ" ზაფხულში პოლონეთის ექსტრაკლასას „იაგელონიაში" ერთწლიანი იჯარით და ტრანსფერის გამოსყიდვის უფლებით გაუშვა.

18 წლის საყრდენი ნახევარმცველისთვის „იაგელონიაში" მოხვედრა მართლაც მშვენიერი შანსი იყო კარიერის ასაწყობად. დუბლებში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა, 18-კაციან განაცხადშიც ხშირად ხვდებოდა, მთავარმა მწვრთნელმა **ჩესლავ მიხნევიჩმა** კი რამდენჯერმე ძირითადშიც ათამაშა. ამასობაში პოლონურიც აითვისა და ენობრივი ბარიერის გადალახვის შემდეგ გუნდსაც შეეწყო.

პოლონეთის ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ „იაგელონიას" გიგაურის კონტრაქტის გამოსყიდვა სურდა, მაგრამ დეკემბერში მოხსნეს მიხნევიჩი, რომლის იდეაც იყო გიგაურის "ტორპედოდან" მიწვევა. მანვე აიყვანა **ნიკა ძალამიძე** 2010 წელს მეორე პოლონურ კლუბ ლოძის "ვიძევში", წლეულს კი "იაგელონიაში" გადაიყვანა.

ამ ცვლილების შემდეგ ისევ აპირებს კლუბი გიგაურის ტრანსფერის გამოსყიდვას?

*"დიახ, მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ ამით ჩემ მიმართ კლუბის დამოკიდებულება არ შეცვლილა. როგორც მითხრეს, ტრანსფერის გამოსყიდვა ძველებურად სურთ. იჯარას ვადა გასდის და გამოსყიდვაზე პოლონელები ქუთაისის "ტორპედოს" მეპატრონეებს ზაფხულში დაელაპარაკებიან. შეთანხმებაში წერია, რომ "იაგელონიას" საკუთრება იმ შემთხვევაში გავხდები, თუ "ტორპედოს" 200 ათას ევროს გადაუხდის.*

*ჩემი პოზიცია ასეთია: ყველაფერს გავაკეთებ, უფრო მეტად მოვინდომებ, რათა ახალ მწვრთნელს თავი მოვაწონო, კარიერის აწყობის ეს შანსი გამოვიყენო და პოლონეთში დავრჩე.*

*მართალია, "ტორპედოს" ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს, ამბიციური კლუბია და ფეხბურთელებს მშვენიერ*



მერაბ გიგაური

*პირობებს უქმნიან, მაგრამ, ვინც ჩემს ასაკში პოლონეთში ითამაშებს და იქაურ პირობებსა და საფეხბურთო გარემოს ნახავს, მერწმუნეთ, საქართველოში დაბრუნება არ მოუნდება. ცხადია, გამონაკლისი არც მე ვარ. იქ, ევროპაში მეტია პერსპექტივა. პოლონეთში ყველა შეხვედრას გერმანიის და სხვა დიდი საფეხბურთო ქვეყნების კლუბების სელექციონერები ესწრებიან და თავს თუ გამოიჩენ, მიგიწვევენ. მე კი პოლონურ ფეხბურთს შევეჩვიე და მინდა, კარიერა ამ ქვეყანაში ავიწყო"*, - ამბობს გიგაური.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

# შონია და მგელაძე აზერბაიჯანს უარყოფენ

აზერბაიჯანული ინტერნეტგამოცემა "ექსტრა ტაიმი" იუწყება, რომ ცხინვალის "სპარტაკის" კაპიტანმა, საყრდენმა **თემურ შონიამ** და ცენტრალურმა მცველმა **ნიკა მგელაძემ**, შესაძლოა, თამაში აზერბაიჯანში გააგრძელონ.

*„27 დეკემბერს ცხინვალის "სპარტაკი" აზერბაიჯანში თაუზის "თურანთან" ამხანაგურ მატჩში 1:2 დამარცხდა. თაუზელთა მთავარ მწვრთნელ ასკერ აბდულაევს სწორედ იმ შეხვედრაში მოეწონა ქართველი ფეხბურთელები, 26 წლის მგელაძე და 22 წლის შონია"* - იუწყება "ექსტრა ტაიმი".



თემურ შონია

ინფორმაციაში ერთი რამ გვეუცნაურა - მგელაძე ბოლო დროს არა "სპარტაკში", არამედ ზუგდიდის "ბაიაში" თამაშობდა, ცხინვალელთა რიგებში ის მანამდე გამოდიოდა, თანაც, აზერბაიჯანში „სპარტაკის" დუბლშემადგენლობამ ითამაშა.

*"ცხინვალელთა გუნდში გამორჩეული იყო შემტევი ნახევარმცველი ერეკლე ხაჭვანი და აზერბაიჯანელები მისი მონაცემებით დაინტერესდნენ. მოჰყვება თუ არა ამ ინტერესს გაგრძელება, ამას მომავალი გვიჩვენებს"* – იუწყებოდა ცხინვალელთა ვებგვერდი. შონიასა და მგელაძეზე კი არაფერი თქმულა.

იქნებ მგელაძე "სპარტაკს" დაუბრუნდა? ფეხბურთელი ინფორმაციამ გააოცა: *"ზუგდიდის "ბაიასთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და არა მგონია, დავრჩე, თუმცა "სპარტაკში" ნამდვილად არ დავბრუნებულვარ და არც აზერბაიჯანიდან დამკავშირებიან. ეტყობა, ძველი ინფორმაცია აქვთ: "თურანი" საქართველოში ზაფხულში ჩამოვიდა და ჩემი და მეკარე გიორგი სომხიშვილის მიწვევა სურდათ. გასინჯვაზეც ვიყავით, მწვრთნელს მოვეწონეთ და დარჩენა შემოგვთავაზეს, მაგრამ აზერბაიჯანში ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო ვერ წავედით. ზამთარში კი არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა".*

*"27 დეკემბერს თაუზში არ მითამაშია და პირადადაც არავინ დამკავშირებია. რაც მთავარია, მე ჯერ 21 წლის ვარ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მითამაშია, ალბათ, დღემდე კანდიდატად ვითვლები და ამ ასაკში აზერბაიჯანში თამაში ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედის"* - გვითხრა შონიამ.

აზერბაიჯანელი კოლეგების ადრინდელი უცნაური ცნობებიც გვახსოვს და ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. ზუსტად ასე უცნაურად შეფუთეს **დავით თარგამაძის** ტრანსფერის ამბავიც ახლახან: დონეცკის "შახტარში" აზერბაიჯანელი **რუსლან ზეინალოვის** თანაგუნდელი გადავიდაო – რა შუაშია ზეინალოვი, რომელიც "ოლექსანდრიას" ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა?

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ეტაპის შეჯამება. მეტალურგი

# სტაბილური ფავორიტები

რუსთავის „მეტალურგს“ თამამად შეიძლება ვუწოდოთ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს კლუბი უმაღლეს ლიგაში მეექვსე სეზონს ატარებს და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, ჩემპიონატი პირველ სამეულს მიღმა რომ დაამთავრა. მოკლედ, მართლაც ბევრ გუნდს შეშურდება რუსთაველთა მსგავსი შედეგები: გუნდი ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ მესამე ადგილზე გავიდა და ერთხელ — მეოთხეზე. ასეთი წარმატებებიდან გამომდინარე, „მეტალურგი“ ამ სეზონშიც ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნიეთ ჩემპიონატის დაწყებამდე და რუსთაველ ქომაგებსაც ჯერჯერობით უკმაყოფილების გრძნობა არ უნდა ჰქონდეთ; შეგახსენებთ, რომ ჩვეულებრივ ცხრილში“ „მეტალურგს“ დღესდღეობით მეოთხე ადგილი უკავია და, ერთი შეხედვით, სოლიდური სხვაობით (12 ქულით) ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს „ზესტაფონს“; თუმცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვან (ანუ, ვირტუალურ) ცხრილში „მეტალურგს“ ერთობ კომფორტული პოზიცია (მეორე ადგილზეა) უკავია და „ზესტაფონს“ მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუ რა ცვლილებები მოხდება ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რუსთაველთა გუნდში, მაგრამ კლუბი რომ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ადგილებისათვის იბრძოლებს, ამაში დარწმუნებული ვართ. ამბიციური და, რაც მთავარია, ფეხბურთში კარგად ჩახედული კლუბის ხელმძღვანელობა, კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელი, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე არცთუ ურიგო ფეხბურთელებით დაკომპლექტებული შემადგენლობა, — ყოველივე ეს იმის წინაპირობაა, რომ ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე „მეტალურგი“ მედლების მოპოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განვიხილოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქომაგების ფაქტორიც: „მეტალურგის“ საშინაო მატჩები ხომ ცარიელი ტრიბუნების წინ, ფაქტობრივად, არასდროს ტარდება. ალარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ და „განსაკუთრებულ“ ფაქტორზეც: თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ „ფოლადის“ სტადიონის ვიპლოჟაში კვლავაც გამოჩნდა რუსთავული კლუბის უპირველესი გულშემატკივარი, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული **დავით კირკიტაძე!**

## ხმაურიანი გადაადგილებები

შარშანდელი ზაფხული რუსთავული კლუბისათვის განსაკუთრებულად გამორჩეული იყო, თანაც, ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის გამო; ჯერ იყო და, კლუბის აწ უკვე ძველმა ხელმძღვანელობამ თავისი იდეა რეალობად აქციეს და რუსთავულ გუნდსაც... „ისტორიული“ სახელწოდება („მეტალურგი“) დაუბრუნეს! ამას უკვე არანაკლებ „ხმაურიანი“ საკადრო ცვლილება მოჰყვა: კლუბის მეპატრონის, **ჯოზეფ ქეისა** და „მეტალურგის“ გზები გაიყო და XXIII ჩემპიონატის სტარტიდან რუსთავული გუნდის მმართველ დირექტორად **ბუბა ტყავაძე** დაინიშნა. ეს უკანასკნელი კი (წინამორბედისაგან განსხვავებით) ქართულ საფეხბურთო სამყაროში ყველასათვის კარგად ნაცნობი „სახე“ გახლავთ და აქტიურ საქმიანობას დაახლოებით ნახევარწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა (მანამდე, წლების განმავლობაში თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი იყო). ახალი ხელმძღვანელის მოსვლას, წესითა და რიგით, სხვა საკადრო ცვლილებაც უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა: პირველი ტურის შემდეგ „მეტალურგის“ მთავარ მწვრთნელად ერთობ წარმატებული სპეციალისტი **კობა ჟორჟიკაშვილი** დაინიშნა. სხვათა შორის, ტყავაძე-ჟორჟიკაშვილის ურთიერთობა წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან „მოდის“, როცა მართლაც კოლორიტული გუნდის, თბილისის „მრეტებში“ ერთად იყვნენ. ამ „დუეტს“ სულ მალე კიდევ ერთი ყოფილი „მრეტი“, **აკა ქავთარაძე** შეუერთდა, რომელიც „მეტალურგში“ გუნდის უფროსად დაინიშნა. ეს ყველაფერი მერე იყო, მანამდე კი სახელწოდებაშეცვლილმა რუსთავის გუნდმა კლუბის ისტორიაში პირველად შეძლო და ევროტურნირების ორი ეტაპი წარმატებით გაიარა! ჰო, შარშანდლამდე რუსთავის „ოლიმპის“ („მეტალურგის“ წინამორბედის) საუკეთესო მიღწევად, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა ითვლებოდა; ამჯერად კი, **თორნიკე მაისურაძისა** და **არმაზ ჯელაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ჯერ სომხურ „ბანანცს“ აჯობა (1:0, 1:1), მერე — ყაზახურ „ირტიშს“ (1:1, 2:0). აი, მომდევნო მეტოქესთან „მეტალურგს“ წარმატების შანსი რომ არ ექნებოდა, ისედაც ცხადი იყო: რუსთავულ გუნდსა და ფრანგულ „რენს“ შორის კლასში სხვაობა ორივე შეხვედრის ანგარიშშიც აისახა (2:5, 0:2). თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, რომ ევროტურნირებზე „მეტალურგის“ ასპარეზობას წარუმატებელს ვერავინ უწოდებდა...

## მიდი-მოდი... მორჩა!

წინა წლებში „მეტალურგის“ („ოლიმპის“) ლამის „საფირმო ნიშნად“ იყო ქცეული ამ გუნდში მომხდარი ხშირ-ხშირი საკადრო ცვლილებები; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სეზონი არ ყოფილა, ერთსა და იმავე მწვრთნელს „გადაბმულად“ რომ ემუშავა! ალარაფერს ვამბობთ ფეხბურთელების გაუთავებელ მიდი-მოდიზე: ფაქტობრივად: ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდი კეთდებოდა ხოლმე; ამ მხრივ გამონაკლისი არც შარშანდელი ზაფხული იყო, თუმცა „მეტალურგში“ მასშტაბური ცვლილებები აღარ განხორციელებულა და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი (**გივი კვარაცხელია, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი სეთურიძე, გიორგი ჭედია**) უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას ჩაირიცხა რუსთავულ კლუბში. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კონკურენტებთან შედარებით, „მეტალურგის“ სამწვრთნელო შტაბს იმის ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონია, ძირითად შემადგენლობაში როტაცია ხშირად მოეხდინა. ეგ კი არა, პირველი ეტაპის დასკვნით ტურებში ისეთი შემთხვევებიც იყო, გუნდის 18-კაციანი განაცხადი ბოლომდე რომ ვერ ივსებოდა...

პირველ ეტაპზე „მეტალურგმა“ საუკეთესო მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარა, როცა მართლაც თვალსასეირო პაექრობაში „დინამოს“ 3:2 მოუგო. ის შეხვედრა... „რუსთავქალაქობას“ დაემთხვა და „მეტალურგმაც“ ასე მიულოცა თავის ერთგულ ქომაგებს ეს დღესასწაული. რაც შეეხება სხვა კონკურენტებთან ურთიერთშეხვედრებს, „დინამოს“ გარდა, „მეტალურგმა“ მხოლოდ „ტორპედოს“ დამარცხება შეძლო საშინაო მატჩში. ისე, „ჩვეულებრივ ცხრილში“ რუსთაველებს ბევრად უკეთესი შედეგი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ აუტსაიდერებთან ბევრი ქულა დაკარგეს. თუმცა, ყოველივე ეს... ვირტუალურ ცხრილში არ ასახულა: დიდი ალბათობით, ის აუტსაიდერები ხომ საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვდებიან...



კობა ყორყიკაშვილი



ბუბა ტყავაძე



დიმიტრი ტატანაშვილი



ირაკლი მაისურაძე

### მეკარეები

ჩემპიონატი ძირითადი მეკარის სტატუსით 31 წლის **ზურაბ ბათიაშვილმა** დაიწყო, „გაგრასთან“ წაგებული მატჩის შემდეგ კი ეს პოსტი არანაკლებ გამოცდილმა, ასევე 31 წლის **გრიგოლ ბედიაშვილმა** დაიბრუნა. სხვათა შორის, „მეტალურგი“ ერთ-ერთი იშვიათი გუნდია უმაღლეს ლიგაში, ორი ასეთი გამოცდილი და თანაბარი ძალის მეკარე რომ ჰყავს.

### მცველები

„მეტალურგის“ დაცვის ხაზში ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა ჩემპიონატის მსვლელობისას გუნდის მთავარ მწვრთნელ[illegible] ყორყიკაშვილს [illegible] დაკომპლექტებისას გარკვეული პრობლემებიც ჰქონდა. ტრავმებისა თუ სხვა მიზეზის გამოც იყო, პირველი ეტაპის დასკვნით მატჩებში „მეტალურგის“ დაცვის ხაზში ნომინალური ნახევარმცველები (**დენის დობროვოლსკი, გიორგი გავაშელიშვილი**) რომ ასპარეზობდნენ. დანარჩენებზე კი ახალი რა უნდა ვთქვათ: 33 წლის **მიხეილ მახვილაძეს**, 27 წლის **ალექსანდრე კვახაძესა** და 26 წლის **ლაშა ჯაფარიძეს** ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი სეზონი ჩაუტარებიათ; აშკარად გამართლებულ ტრანსფერად უნდა მივიჩნიოთ ერთწლიანი პაუზის მერე **გივი კვარაცხელიას** დაბრუნებაც: 32 წლის უნივერსალი ფეხბურთელი სულ მოკლე დროში ჩამოყალიბდა თავისი ძველ-ახალი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად.

### ნახევარმცველები

თითქმის უმეტეს შემთხვევაში, კობა ყორყიკაშვილი უპირატესობას 4-2-3-1 ტაქტიკურ განლაგებას ანიჭებდა. ორი „საყრდენიდან“ ერთ-ერთი კი მუდამ **ლუკა რაზმაძე** გახლდათ — 28 წლის ნახევრამცველი „მეტალურგის“ შეუცვლელი ფეხბურთელია და მის მონდომებულ თამაშზეც ბევრად არის დამოკიდებული რუსთავული გუნდის წარმატება. მოედნის ცენტრში რაზმაძის მეწყვილე(ებ)ი კი ხშირად იცვლებოდა: 23 წლის **გიორგი ქავთარაძემ**, და მისმა თანატოლმა **ირაკლი მაისურაძემ** ამ პოზიციაზეც არაერთი მატჩი ჩაატარეს და ხშირად, გარემარბებადაც გვევლინებოდნენ. ეს ორივე უნივერსალი ნახევარმცველი „მეტალურგის“ წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნევიან. ისე როგორც 23 წლის **გიორგი მიქაბერიძე,** — ეს უკანასკნელი, ზაფხულიდან მოყოლებული, უდავოდ საუკეთესო სეზონს ატარებს თავის კარიერაში. სამწუხაროდ, ტრავმების გამო ბევრი გაუცდათ ფლანგის ნახევარმცველებს, 26 წლის **რევაზ გეწაძესა** და მის თანატოლს, **გიორგი სეთურიძეს**. რუსთაველი ქომაგები იმედოვნებენ, რომ მეორე ეტაპზე ბევრად უკეთ წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს 23 წლის **გიორგი ჭედია,** რომელიც ასევე ჩემპიონატის მსვლელობისას დაბრუნდა „მეტალურგში“.

### თავდამსხმელები

ერთი შეხედვით, „მეტალურგს“ სუპერ-შედეგიან გუნდს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე, თითქოსდა თავდასხმა არის კლუბის ყველაზე სუსტი რგოლიო. უფრო პირიქით ვიტყოდით: „მეტალურგის“ ფორვარდების ჩინებული თამაში განაპირობებს კიდეც იმ ფაქტს, რუსთაველები მედლების მოპოვების რეალურ კანდიდატად რომ მიიჩნევიან. ძალიან „ადვილად“ შეეწყო ახალ გუნდს **დიმიტრი ტატანაშვილი** — 28 წლის თავდამსხმელი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და არც ის იყო პატარა ამბავი, როცა ოთხჯერ შეძლო „დუბლის“ შესრულება! შედეგიანობა არც მეორე თავდამსხმელს დაეწუნება: **ირაკლი მოდებაძემ** 12 არასრული მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 27 წლის ფორვარდს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა და ამას გარდა, იშვიათზე იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა.

**გია ტუხაშვილი**

| დინამოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე | | |
|---|---|---|
| I ტური | მეტალურგი-კოლხეთი | 0:0 |
| II ტური | მეტალურგი-ბაია | 2:0 |
| III ტური | გაგრა-მეტალურგი | 2:0 |
| IV ტური | მეტალურგი-სპარტაკი | 0:0 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 0:2 |
| VI ტური | მეტალურგი-ტორპედო | 2:0 |
| VII ტური | ზესტაფონი-მეტალურგი | 2:0 |
| VIII ტური | მეტალურგი-დილა | 3:1 |
| IX ტური | დინამო-მეტალურგი | 2:3 |
| X ტური | მეტალურგი-მერანი | 2:1 |
| XI ტური | სიონი-მეტალურგი | 2:2 |
| XII ტური | კოლხეთი-მეტალურგი | 3:1 |
| XIII ტური | ბაია-მეტალურგი | 1:2 |
| XIV ტური | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| XVII ტური | ტორპედო-მეტალურგი | 2:0 |
| XV ტური | სპარტაკი-მეტალურგი | 0:1 |
| XVIII ტური | მეტალურგი-ზესტაფონი | 0:0 |

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი-15, ზურაბ ბათიაშვილი-3

მცველები: ლაშა ჯაფარიძე-16, ალექსანდრე კვახაძე-15, მიხეილ მახვილაძე-15, გივი კვარაცხელია-14, სერგი ორბელაძე-2, გიორგი მურველაშვილი-1;

ნახევარმცველები: გიორგი ქავთარაძე-18 (1), გიორგი მიქაბერიძე-18 (1), ირაკლი მაისურაძე-17 (2), ლუკა რაზმაძე-17 (2), დენის დობროვოლსკი-16, რევაზ გეწაძე-10 (1), გიორგი სეთურიძე-10, გიორგი გავაშელიშვილი-9.

თავდამსხმელები: დიმიტრი ტატანაშვილი-17 (9), ირაკლი მოდებაძე-12 (5), ილია პავლიაშვილი-12, გიორგი ჭედია-11.

**მწვრთნელები:**

I ტური — **არმაზ ჯელაძე**

II-XVIII ტური — **კობა ყორყიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

# სამი დინამოელი სპარტაკში

ცხინვალის "სპარტაკი" ახალ 2012 წელს საკადრო რევოლუციით შეხვდა: მწვრთნელთა და კლუბის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ტრანსფერზე დააყენეს 9 ფეხბურთელი — **ნიკა დაუშვილი, ფრიდოლინ ბოიომო, გიორგი ციმაკურიძე, გიორგი სეფიაშვილი, გიორგი ალავიძე, გაგა თიბილაშვილი, კობა შალამბერიძე, რეზო ჯიქია და ზვიად მეტრეველი.**

*მაშინვე ითქვა, რომ გუნდი ახალი ფეხბურთელების დამატებას აპირებდა და საამისო ნაბიჯები უკვე გადაიდგა: "სპარტაკის" პრესსამსახურის ცნობით, ჰყავთ სამი ახალწვეული, სამივე თბილისის "დინამოდან".*

"კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი თბილისის "დინამოს" ახალგარემონტებულ დილმის ბაზას ეწვია. მას სავარჯიშო, საცხოვრებელი კომპლექსები და სხვა სექტორები დაათვალიერებინეს, შემდეგ კი სატრანსფერო საკითხებზე დაწყებული მოლაპარაკებები კონტრაქტზე ხელმოწერით დასრულდა.

*უკვე სპარტაკელები არიან მეკარე გიორგი ნადირაძე, თავდამსხმელები, კონსტანტინე გაბაშვილი და ლაშა ჩაფიძე. ნ[illegible]ირაძემ "სპარტაკთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდს 2013 წლის 1-ელ იანვრამდე ეკუთვნის; გაბაშვილი და ჩაფიძე კი "სპარტაკში" 2012 წლის 1-ელ ივნისამდე იჯარით ჩაირიცხნენ," –* იუწყება "სპარტაკის" პრესსამსახური.

მეკარე **გიორგი ნადირაძე** (14.02.1992) თბილისის "დინამოს" აკადემიაში ვარჯიშობდა, საიდანაც თბილისის "დინამოში" გადაიყვანეს და მიმდინარე სეზონში დუბლებში 9 მატჩი ჩაატარა. უთამაშია საქართველოს 17 (12 მატჩი) და 19-წლამდელთა (9 მატჩი) ნაკრებებში

თავდამსხმელი **კოტე გაბაშვილი** (06.02.1992) ვარჯიშობდა საფეხბურთო სკოლა "ოლიმპში", შემდეგ — "საბურთალოში", 2011 წლის ზაფხულში კი თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ჩაირიცხა და მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 15 მატჩში შედეგიანობით გამოირჩა - 11 გოლი გაიტანა. იყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი (18 მატჩი), ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი, რომლის ფორმაც გასულ წელს "ქაისერისფორთან" ამხანაგურ მატჩში მოირგო.

შემტევი ნახევარმცველი, თავდამსხმელი **ლაშა ჩაფიძე** (08.07.1992) მოსკოვის ცსკა-ს აკადემიაში ვარჯიშობდა, შემდეგ — თბილისის "ნორჩ დინამოში"; თამაშობდა მოსკოვის "ლოკომოტივის" 17 და 19-წლამდელთა გუნდებში, დუბლშემადგენლობაში, შარშან კი თბილისის "დინამო 2"-ში. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების 15 მატჩში 10 გოლი გაიტანა, 19-წლამდელებში კი — 12 შეხვედრაში 7 გოლი. შედეგიანობით გამოირჩეოდა მიმდინარე სეზონშიც: თბილისური კლუბის დუბლებში ჩატარებულ 14 შეხვედრაში 10 გოლი მიითვალა.

მიმდინარე სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ცხინვალის "სპარტაკი" დღეს დაიწყებს თბილისში, "საბურთალოს" სტადიონ "ბენდელაზე".

**მერაბ მამულაშვილი**



დიმიტრი სანაკოევი (მარჯვნივ) და დინამოს სპორტული დირექტორი გიორგი ნემსაძე დილმის ბაზაზე
ფოტო: www.fcspartak.ge

სიონი

# განახლება იწყება

დღეს "სიონი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას დაიწყებს, თუმცა საქმეში ჯერ ადგილობრივი კადრები ჩაერთვებიან. საქმე ის არის, რომ ბოლნისური კლუბის ახალი შემადგენლობა ჯერ არ გარკვეულა, ცვლილებები კი აუცილებლად იქნება, თანაც მრავლად.

რამდენიმე დღის წინ "სიონი" სამართავად ბოლნისის მუნიციპალიტეტს გადაეცა, რომელსაც დიდი გეგმები აქვს – "სიონი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლიდან ამბიციურ გუნდად უნდა გადაიქცეს და საამისო ნაბიჯების გადადგმას ახლავე აპირებს.

თუ ვინ დატოვებს "სიონს" და ვისით გაძლიერდება **ლევან ბაჯელიძის** გუნდი, ამას რამდენიმე დღეში შევიტყობთ. ასევე მალე გახდება ცნობილი ბოლნისელთა მზადების გეგმები და სპარინგ-პარტნიორთა ვინაობაც.

შეგახსენებთ, მუნიციპალიტეტმა სეზონის დარჩენილი ნახევრისთვის "სიონის" ბიუჯეტად ნახევარი მილიონი ლარი განსაზღვრა, რაც სრულყოფილ მოსამზადებელ პროცესსაც უნდა ეყოს, ძლიერი ფეხბურთელების დამატებასაც და მათ.ფინანსურ უზრუნველყოფასაც.

ვნახოთ, როგორ წარიმართება "სიონის" გაძლიერების პროცესი, დღეისთვის კი ბოლნისელები უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან. თუმცა მეორე ეტაპს "სიონიც" და მისი კონკურენტებიც ნული ქულით შეხვდებიან და უძლიერესთა შორის დასარჩენად მთავარი ბრძოლებიც მერე გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ისტორია



1955 წელი, თბილისის დინამო. მარცხნიდან: მიხეილ ჯოჯუა, ავთანდილ ღოღობერიძე, ალიოშა კოტრიკაძე, კარლო გაგნიძე, ანდრო ჟორდანია

# ანდრო ჟორდანია: ქართული ფეხბურთის დისიდენტი

ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გავიხსენოთ: 1904 წლის 29 დეკემბერს ესტონეთის ქალაქ ტარტუში დაიბადა თბილისის "დინამოსა" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული პიროვნება და მწვრთნელი **ანდრო ჟორდანია.** არის განსხვავებული ცნობაც, რომ იგი 4 ნოემბერს ლანჩხუთში დაიბადა, მაგრამ ამ შემთხვევაში ზუსტი თარიღი მეორეხარისხოვანია - მთავარია, რომ ეს კაცი საქართველოს მოევლინა.

ქართული ფეხბურთის პატრიარქი 1922 წლიდან თბილისის სხვადასხვა გუნდში გამოდიოდა, 1925 წელს კი ახალშექმნილი „დინამოს" პირველ კაპიტნად აირჩიეს, სადაც 1925-28 და 1930-31 წლებში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა. სხვადასხვა წლებში გამოდიოდა კიევის „დინამოში", ივანოვოს „ოსნოვაში", იყო ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებების წევრი და რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრის მონაწილე.

ბევრისთვის უცნობია, რომ კინორეჟისორებთან, **ლევან ხოტივართან და ნიკოლოზ სანიშვილთან** ერთად ჩამოაყალიბა გუნდები ქუთაისში, ლანჩხუთში (კიმი, რომელსაც 1960 წლიდან ეწოდა "გურია"), თბილისის უნივერსიტეტში, 1925 წელს იდგა თბილისის „დინამოს" სათავეებთან.



ლანჩხუთის კიმი

კინორეჟისორებმა შემდეგ საკუთარ პროფესიას მისდიეს, ჟორდანიამ კი ფეხბურთს უერთგულა. მწვრთნელობა 1936 წელს დაიწყო და საყვარელ საქმეს ოცდაათი წელი ემსახურა. მეუღლე და ვაჟიშვილი ქალაქ ივანოვოში ჰყავდა და ერთი ხანობა იქაურ "სპარტაკსა" და "ოსნოვას" ავარჯიშებდა, თბილისის "დინამოს" კი - 1945-47, 1955 და 1959-61 წლებში. უმუშავია თბილისის „სპარტაკში", ტყიბულის "მეშახტესა" და ქუთაისის „ტორპედოში".

მისი ხელმძღვანელობით "დინამო" 1946, 1947 და 1959 წლებში სსრკ-ის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, 1946 და 1960 წლებში თასის ფინალში გავიდა, იყო საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ანდრო ჟორდანია საქართველოს პირველი პრეზიდენტის, **ნოე ჟორდანიას** ძმისშვილი იყო და ამის (და არა მხოლოდ ამის) გამო მთელი ცხოვრება წამებად უქციეს, რამდენჯერმე გადაურჩა დაპატიმრებას, წვრილმან-მსხვილმანი უსიამოვნებები სიცოცხლის ბოლომდე არ დაჰკლებია. ბოლომდე მუშაობა არც ერთ კლუბში არ აცადეს. არადა, ყველგან უნიჭიერესი მოთამაშეები აღმოაჩინა და დაანინაურა.

ჟორდანიას ნათლული, კინორეჟისორი **ბუბა ხოტივარი** იხსენებს: *"ანდრო ჟორდანია 1955 წელს ღამის ორ საათზე მოვიდა ჩვენთან და მამას უბედნიერესი ხმით ახარა, „დინამოში" დამნიშნესო. იმ ღამეს შესანიშნავად მოილხინეს.*

*ერთი წლის შემდეგ ანდრო ჩვენთან უკვე თავდახრილი ვნახე, თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მაშინ ერთადერთხელ თქვა საკუთარ თავზე: საქართველოში ჩემსავით ფეხბურთი არავინ იცის, მაგრამ არ მაცდიან, ისევ მომხსნეს, არადა, რამდენის გაკეთება შემიძლიაო.*

*- სწორედ მაგიტომ მოგხსნეს, მადლობა თქვი, რომ არ გხვრეტენ და ერთი წელი გაცადეს, ამ დროში ესეც საკმარისიაო - უთხრა მამამ.*

*ფეხბურთი მასების სპორტია და ჩინიანისა და უჩინოს გაერთიანება შეუძლია. როდესაც „დინამო" წარმატებებს აღწევდა, ჩვენში ეროვნული სული იღვიძებდა, მოსკოვში კი ეს არ მოსწონდათ. „დინამოს" ჩემპიონობა იმპერიის დაშლის ერთ-ერთი მცირე მაგალითი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ 1961 წლამდე მოსკოველთა გარდა ჩემპიონობას არავის უთმობდნენ. 1953 წელს "დინამოს" ძალით წაართვეს ოქროს მედლები, ბერიამ კი დინამოელებს სტალინის სიტყვები გადასცა, ჭკუით იყავით, თქვენთვის მეორე ადგილიც მეტიაო.*

*შემთხვევითი არ იყო ჟორდანიას შევიწროებაც. საშუალება რომ მიეცათ, სუპერგუნდს ჩამოაყალიბებდა და ქართულ სულს გაალვიძებდა. ანდროს თავადაც აქვს ნათქვამი - არ დაგვაცდიან ნიჭის რეალიზებასო".*

მარტო რუსები? როდესაც თბილისის "სპარტაკში" გასაოცარ შედეგებს მიაღწია, თბილისის "დინამოში" ვილაცებმა იეჭვეს, ადგილი არ წაგვართვასო და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელშეწყობით გუნდი დაუშალეს.

კომუნისტები კი ყველაფერში ცხვირს ყოფდნენ და, ცხადია, ფეხბურთი გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ანდრო ჟორდანია კი, როგორც ამბობენ, პრინციპული კაცი იყო, დილეტანტებს ახლოს არ იკარებდა და უსიამოვნებას ამის გამოც არაერთხელ გადაჰყრია, მთავრობაში მტერი გაცილებით მეტი ჰყავდა, ვიდრე მოყვარე.

სამაგიეროდ, ძალიან უყვარდათ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს. მასთან ნავარჯიშები ფეხბურთელები ამბობენ, რომ არა ანდრო ჟორდანია, ბევრი ცნობილი ფეხბურთელი არ გამოჩნდებოდაო. ჟორდანია ქუჩა-ქუჩა, სოფელ-სოფელ დადიოდა და თითქოს არაფრით გამორჩეულ ბავშვში მომავალ ვარსკვლავს ამოიცნობდა ხოლმე, სეზონის ბოლოს კი მათ სოხუმში ან გაგრაში ორკვირიან შეკრებაზე აგროვებდა. 1961 წელს სოხუმში **მურთაზ ხურცილავა** დაიბარა. ეუბნებოდნენ, ეს მოჭიდავე რად გინდა, რატომ ჩამოიყვანეო. ბატონ ანდროს უთქვამს, თუ ფეხბურთს ვინმე ითამაშებს, ეს ითამაშებსო.

ალღო იშვიათად ღალატობდა. ჟორდანიას აღმოჩენილებმა დიდი, ზოგმა კი მსოფლიო დონის ფეხბურთი ითამაშა, ესეთები იყვნენ: **გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი,** მურთაზ ხურცილავა, **სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, ზაურ კალოევი...**

სახელოვანი მწვრთნელი 1974 წლის 25 აპრილს თბილისში გარდაიცვალა. თბილისის "დინამოს" საწვრთნელი ბაზა დღემდე ამ ლეგენდარული პიროვნების სახელს ატარებს. მაგრამ ვფიქრობთ, ანდრო ჟორდანიას სახელი და ქვეყნის წინაშე დამსახურება გაცილებით მეტ დაფასებასა და სიყვარულს იმსახურებს.

დღეს ქართულ ფეხბურთში სწორედ ასეთი ადამიანების კატასტროფული სიმცირეა. ჟორდანიას სახელის დაფასება კი მისი საქმის ღირსეული გაგრძელებაც იქნებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ვოლფსბურგი




# მაგათის სატრანსფერო საგიჟეთი

## ფულიც აქვს, ნდობაც და რა ენაღვლება: ფელიქსი ყიდვა-გაყიდვას შეუდგა

სატრანსფერო ორომტრიალი გერმანიაშიც დაიწყო და რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომელი კლუბი აქტიურობს ყველაზე მეტად. რა თქმა უნდა, „ვოლფსბურგი" - **ფელიქს მაგათი** ხომ ყველგან და ყოველთვის ყველაზე მეტ ფეხბურთელს ყიდულობს და ყიდის. რაკი „მგლებმა" ბუნდესლიგის პირველ წრეში ცუდად იასპარეზეს, ლოგიკურია, რომ „დესპოტ ფელიქსს" ახლა შოპინგის მადა ყველაზე მეტად აქვს გახსნილი.

2 იანვარს, „ვოლფსბურგის" 58 წლის მწვრთნელ-მენეჯერი სახლიდან რომ გამოვიდა და თავის „ფოლკსვაგენ პასატში" რომ ჯდებოდა, „ბილდის" ჟურნალისტი დაადგა თავზე და ახალი წლის მილოცვას კითხვა მიაყოლა: *„დღეს რა გეგმები გაქვთ, ჰერ მაგათ?"* „მგლებს" 2012 წლის პირველი ვარჯიში მხოლოდ ნაშუადღევს, 17 საათზე ჰქონდათ დაგეგმილი, ფელიქსს კი დილიდანვე ბევრი საქმე ჰქონდა. *„გეცოდინებათ და რაღას მეკითხებით? რამდენიმე კონტრაქტზე უნდა ვიმუშაო!"* - ასეთი იყო მისი პასუხი.

### 20 მილიონი ფოლკსვაგენისგან

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ საქმეზე გადავალთ: მაგათს მინიმუმ 9 (!) ახალი ფეხბურთელის ყიდვა აქვს დაგეგმილი და ამისათვის კლუბის ხელმძღვანელობისგან, „ბილდის" ინფორმაციით, დაახლოებით 20 მილიონი ევრო მიიღო. ფელიქსმა ჩვენს გერმანელ კოლეგას ისიც უთხრა, აქცენტს ახალგაზრდა მოთამაშეებზე გავაკეთებ, მინდა, რომ პერსპექტიული ფეხბურთელები გადმოვიბიროო. ლოგიკურია, რადგან ზაფხულში მან გამოცდილი, პირდაპირ ვთქვათ, „ბებერი" ფეხბურთელები შეიძინა, რომლებმაც იმედები გაუცრუეს. პრობლემა მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ ზაფხულში დახარჯული ფული წყალში გადაყრილი გამოვიდა, მაგრამ როგორც ჩანს, „ფოლკსვაგენის" კონცერნის მფარველობის ქვეშ მყოფი გუნდისთვის არც ესაა პრობლემა – მაგათს მაინც ენდობიან და დამატებით კიდევ 20 მილიონი გამოყვეს. პრინციპში, არც ესაა გასაკვირი, რადგან ფელიქსი ერთადერთი და „ვოლფსბურგისთვის" განუმეორებელი მწვრთნელია, რომელმაც 2009 წელს ეს მოკრძალებული გუნდი ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახადა.

### ახალი გრაფიტე და სხვები

მოკლედ, იანვარში „ვოლფსბურგს" მინიმუმ რვა ფეხბურთელი დატოვებს. „ბილდის" ცნობით, წამსვლელთა სიაში პირველები არიან ბერძენი მცველი **სოტირიოს კირიაკოსი**, თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი**, გამთამაშებელი **თომას კალენბერგი**, ფორვარდი **სრდიან ლაკიჩი** და გუნდის ყოფილი კაპიტანი, ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟოსუე**. ამ მოთამაშეებიდან მაგათმა გუნდში მხოლოდ კირიაკოსი (ზაფხულში) და ჟოსუე მიიყვანა – პირველმა იმედები გაუცრუა, უკანასკნელი კი წლებია „მგლებში" თამაშობს, 2009-ში კი კაპიტანი და ფელიქსის ფავორიტი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს აშკარად აღარ ვარგა. დანარჩენები „ვოლფსბურგში" იმ დროს მივიდნენ, როცა მაგათი „შალკეში" მუშაობდა და მათ ამ სეზონის პირველ ნახევარში მაინც მისცა შანსი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ ივარგა.

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ იანვარში „ვოლფსბურგის" ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი „ციურიხის" 19 წლის მარცხენა მცველი **რიკარდო როდრიგესი** იქნება. შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი „მგლებს" 6.5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მასზე ოდნავ იაფი ღირს თავდამსხმელი **ჯოვანი სიო**, რომელიც ასევე შვეიცარიაში, კერძოდ „სიონში" თამაშობს. 22 წლის კოტ დ'ივუარელი ფორვარდი, რომელსაც ფრანგული პასპორტი აქვს, 5 მილიონი ღირს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი მაგათის ახალი **გრაფიტე** უნდა გახდეს!

ამავდროულად, ფელიქსმა უკვე სრულყო რამდენიმე ტრანსფერი: 25 წლის ჩეხი **პეტრ ირჟაჩეკი** უკვე ვოლფსბურგელია – „მგლებმა" პლზენის „ვიქტორიას" მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაურიცხეს. 2 იანვარს საბოლოოდ დადასტურდა სერბი **სლობოდან მედოიევიჩისა** (21 წლის, „ნოვი სადიდან") და **ფერჰან ჰასანის** (21, ტეტოვო, მაკედონია) ტრანსფერები.

ამ ფეხბურთელების გარდა, მაგათს „ვოლფსბურგში" შემდეგი მოთამაშეების გადაბირება სურს: **ვაცლავ პილარი** (23, ვიქტორია პლზენი), **იბრაჰიმ სისოკო** (21, კოიმბრა), **ალექსანდერ ლუკოვიჩი** (29, ზენიტი) და **ვიერინია** (25, პაოკ სალონიკი). თუმცა ეს მოთამაშეები ზემოთ ხსენებულებზე გაცილებით იაფად ფასობენ - „ბილდის" ცნობით, „დესპოტ ფელიქსს" ყველა ერთად 4.5 მილიონ ევროზე მეტი არ დაუჯდება.

რაც მაგათისთვის ყველაზე მთავარია, „ვოლფსბურგის" გენერალური სპონსორი „ფოლკსვაგენი" მას ასპროცენტიან ნდობას უცხადებს. გერმანული ავტოგიგანტის შეფი **მარტინ ვინტერკორნი** ამბობს, ფელიქსს შესანიშნავი იდეები აქვს და ჩვენც მზად ვართ, მათი განხორციელებისთვის ხელი მაქსიმალურად შევუწყოთო. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან ამჯერად...

● ჰერთა


მიხაელ სკიბე (მარჯვნივ) ლევან კობიაშვილს (წინა პლანზე) და კომპანიას პირველივე ვარჯიშზე კარგად აკვირდებოდა

# სკიბე კობიაშვილს უყურებს!

## ემოციებიო, პერსპექტივებიო... ჰერთას პირველ ვარჯიშს კი მხოლოდ 30 ფანი დაესწრო...

*„ეს კლუბი,* - თქვა ცოტა ხნის წინ „ჰერთას" ახალმა მწვრთნელმა **მიხაელ სკიბემ** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს გერმანიაში. „ჰერთას" ამაში ბევრი რამ უწყობს ხელს – ემოციები, ბერლინის, როგორც მსოფლიო ქალაქის ფაქტორი და პერსპექტივა, რასაც აშკარად ვხედავ."*

**ლევან კობიაშვილის** ახალი დამრიგებელი ან ცაში დაფრინავდა, ანაც, უნდოდა, სათქმელი ლამაზად ეთქვა. ჩვენ უფრო მეორე ვერსიისა გვჯერა, რადგან ბერლინის „ჰერთა" ის გუნდია, რომელიც შარშან ამ დროს მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. სამაგიეროდ, ჰერ სკიბეს ასი პროცენტით ვეთანხმებით იმაში, რომ წესით და რიგით, „ჰერთა" მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს გერმანიაში – იმიტომ, რომ ბერლინის, გერმანიის დედაქალაქის გუნდია.

თუ სკიბე მართლა ცაში დაფრინავდა და სჯეროდა, რომ ბერლინში საფეხბურთო კუთხით ემოციები დუღს და გადმოდუღს, მიწაზე გუშინ დილას დაეშვებოდა – მან კობიაშვილი და კომპანია დილის 10 საათზე პირველად ავარჯიშა და ემოციები არსად იყო, რადგან 2012 წელს „ჰერთას" პირველ ვარჯიშს მხოლოდ 30 ფანი დაესწრო. და როცა ახალი მწვრთნელის და ზოგადად გუნდის პირველ ვარჯიშზე დამსწრეთა შორის ჟურნალისტების რაოდენობა (ვარჯიშს პრესის 50 წარმომადგენელი ესწრებოდა) გულშემატკივრებისას ჭარბობს, ეს იმის მაუწყებელია, რომ გუნდი ხელოვნურად არის ყურადღების ცენტრში.

სკიბემ 27 ფეხბურთელთან ერთად, პირველ ვარჯიშზე 18 წლის **ჟერომ კიზევეტერსაც** უხმო – მეორე გუნდიდან. მანამდე, ფეხბურთელებს ახალი თავკაცი მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** დახურულ კარს მიღმა გააცნო. სკიბეს შეგირდებისთვის უთქვამს, თქვენობით უნდა მომმართოთ და მწვრთნელი უნდა დამიძახოთო.

ვარჯიშის შემდეგ მიხაელმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ახალწვეულებზე ჯერჯერობით არ ფიქრობს. *„პირველ რიგში მინდა, რომ გუნდი კარგად შევისწავლო, ყველა ფეხბურთელს დავაკვირდე და თუ საჭიროდ ჩავთვლი, ახალ ფეხბურთელებზე მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ,"* - განაცხადა კობიაშვილის ახალმა დამრიგებელმა და იქვე დაამატა, სერიოზულ ცვლილებებს ნამდვილად არ ვაპირებო. მანვე დაადგინა, რომ „ჰერთას" კაპიტანი კვლავ ცენტრალური მცველი **ანდრე მიატოვიჩი** იქნება.

### მიიყვანს სკიბე კობის კონკურენტს?

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, ლევანის მდგომარეობაა. როცა სკიბეს „ჰერთაში" დანიშვნა გადაწყდა, გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ მიხაელი ბერლინში „ესქიშეჰირიდან" ბრაზილიელი მარცხენა მცველის, **დედეს** წაყვანას აპირებდა, რაც თავად სკიბემ უარყო – კობიაშვილის სახით ზუსტად დედესნაირი ფეხბურთელი გვყავსო. თუმცა ამის შემდეგ მაინც ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ სკიბე „ჰერთაში" ახალი მარცხენა მცველის მიყვანას აპირებდა – ბერლინულ კლუბთან მიმართებაში ახალ წლამდეც და ამ დღეებშიც არაერთხელ გაიჟღერა „ფრაიბურგის" მარცხენა უკანახაზელის, **ფელიქს ბასტიანსის** გვარმა. „ბილდი" წერდა, „ფრაიბურგმა" ამ უკანასკნელს კონტრაქტი უკვე გაუწყვიტა და ბასტიანსი „ჰერთაში" გადასასვლელად მზადააო. ტრანსფერი ჯერჯერობით არ განხორციელებულა და შესაბამისად, კობის კონკურენტი არ ჰყავს. მაგრამ ხომ იცით, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სკიბე ლევანს ამ დღეებში კარგად დააკვირდება და მერე გადაწყვეტს, მიიყვანოს თუ არა „ჰერთაში" ქართველი ფეხბურთელის კონკურენტი. შესაძლოა, მას ეს უკვე გადაწყვეტილიც აქვს და უბრალოდ უნდა, რომ განცხადებით „ყველას დავაკვირდები" დრო გაიყვანოს. ფაქტია, კობიაშვილი სკიბეს ვარჯიშებზე თავს არ დაზოგავს.

„ჰერთა" პირველ ტესტ-მატჩს პარასკევს, მესამელიგელ „ოსნაბრიუკთან" გამართავს, რის შემდეგაც ბერლინელები ბელეკისკენ აიღებენ გეზს, სადაც გუნდი 7-დან 14 იანვრამდე მოემზადება.

● ბაიერნი

# ული ეფეზე ფიქრობს

## ნერლინგერი ვერ არის ისეთი მენეჯერი, როგორიც ბაიერნს ეკადრება!

მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ხვალ 60 წლის ხდება, მაგრამ პენსიაში გასვლაზე ჯერ არ ფიქრობს. პრეზიდენტის რანგში მას აღარ აქვს ისეთი დამღლელი ყოველდღიურობა, როგორიც მენეჯერობის დროს ჰქონდა. „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში რეკორდმაისტერის მთავარმა ბოსმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და დაადასტურა, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელობაში სერიოზულ ცვლილებებზე ფიქრობს.

დღესდღეობით „ბაიერნს" ჰიონესი, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და ფინანსური დირექტორი **კარლ ჰოპფნერი** სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად მართავენ. კლუბის მენეჯერი კი ყოფილი ფეხბურთელი **კრისტიან ნერლინგერია**, რომელმაც ამ პოსტზე სწორედ ჰიონესი შეცვალა – როცა ული პრეზიდენტი გახდა. **ფრანც ბეკენბაუერი** დღეს მხოლოდ „ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტია.

*„უკვე დროა, რომ ნელ-ნელა ხელმძღვანელობაშიც ვიფიქროთ ცვლილებებზე. კლუბის თითოეული ბოსის შემცვლელი წინასწარ თუ არ მოვნახეთ, მერე შეიძლება პრობლემები შეგვექმნას. „ბაიერნში" ასეთი საკითხები მინიმუმ ხუთწლიანი წინსწრებით უნდა იყოს გარკვეული,"* - აცხადებს ჰიონესი.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ ექსპერტების აზრით, ული ამ საკითხს ასე უბრალოდ და უმიზეზოდ წინა პლანზე არ წამოსწევდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები თითქმის დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ამ განცხადებით ჰიონესმა კრისტიან ნერლინგერის შეცვლის სურვილი გააჟღერა.

*„რა თქმა უნდა, „ბაიერნის" ყოფილ ფეხბურთელებზე ვიფიქრებთ – ისეთებზე, რომლებიც ჩვენი გუნდისთვის ყოველთვის თავდადებულები იყვნენ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შტეფან ეფენბერგი, ოლივერ კანი და მეჰმეთ შოლი მახსენდება. უდიდესი სიმპათიით ვარ განწყობილი მარკ ვან ბომელისა და იენს იერემისის მიმართაც. ძალიან მომწონს მათიას ზამერიც, რომელიც ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია და რამდენიმე წელია, თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს,"* - ამბობს ჰიონესი ხსენებულ ინტერვიუში.

რაც შეეხება ნერლინგერს: ული არ მალავს, რომ მას მერე, რაც ეს უკანასკნელი „ბაიერნის" მენეჯერია, იმედებს ყოველთვის ასი პროცენტით ვერ ამართლებდა, თუმცა იქვე დასძენს, რომ ბოლო დროს კრისტიანთან კარგი ურთიერთობა აქვს. ჰიონესი არც იმას მალავს, რომ ნერლინგერი ყველაზე მეტად და ხშირად **ლუის ვან გაალის** მწვრთნელობის ხანაში არ მოსწონდა...

● შალკე

# რა დღეში ხარ, ჯეფერსონ?

## ფარფანმა შალკეს ჯიბის ფულად 14 მილიონი მოსთხოვა!

როგორც ჩანს, „შალკეს" პერუელი გარემარბი **ჯეფერსონ ფარფანი** ჭკუიდან შეიშალა. „ბილდის" ინფორმაციით, 27 წლის ნახევარმცველმა გელზენკირხენულ კლუბს შეუთვალა, ახალ კონტრაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაფორმებ, თუ ზაფხულში 14 მილიონ ევროს მომცემთო. ეს არც ხელფასია და არც პრემია – ფარფანი ამ თანხას ჯიბის ფულად, საჩუქრად ითხოვს! „შალკეს" ხელმძღვანელებმა, რა თქმა უნდა, მაშინვე უარით უპასუხეს.

ფარფანს „შალკესთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ახალი ხელშეკრულების გაფორმება შემოდგომაზე შესთავაზა. ძველი კონტრაქტით პერუელი წელიწადში 2.8 მილიონ ევროს იღებს და ახლის გაფორმების შემთხვევაში, გელზენკირხენელები მას ხელფასის გაორმაგებას, 6 მილიონამდე გაზრდას დაჰპირდნენ. ფარფანი ამაზეც არ დათანხმდა, თუმცა არც უარი უთქვამს და ამ ხნის მანძილზე ჰელდტსა და სხვა შეფებს სპეკულაციებით აწვალებდა – ვითომ მას არაერთი ევროპული გრანდი ეპატიჟება. ახლა კი, აი, ასეთი კოლოსალური თანხა მოინდომა და თანაც, უბრალოდ საჩუქრად და ხელფასთან ერთად!

„შალკეს" ხელმძღვანელები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ ფულის მონასთან აქვთ საქმე და უკვე გადაიბირეს ნიგერიელი **ჩინედუ ობასი ოგბუკე** (ჰოფენჰაიმიდან), რომელიც სწორედ ფარფანის პოზიციაზე თამაშობს. თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჰელდტი პერუელს კარს საბოლოოდ მაინც არ უკეტავს და ამბობს, თუ ჯეფერსონი თავის აბსურდულ მოთხოვნას გააუქმებს და კონტრაქტზე დაგვეთანხმება, სიამოვნებით დავიტოვებთო. მაგრამ როგორც ჩანს, პერუელი ამას არ აპირებს – გუშინწინ მისმა აგენტმა **რაულ იორდანმა** კიდევ ერთხელ განაცხადა, ფარფანი იმ კლუბში გააგრძელებს კარიერას, სადაც საუკეთესო ფინანსურ პირობებს შესთავაზებენო. ზაფხულში მას „შალკედან" წასვლა უფასოდ შეეძლება და საინტერესოა, რომელი კლუბი აჩუქებს 14 მილიონ ევროს...

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

სერია A

# ზამთრის ციებ-ცხელება კალჩოში

ნაწილი პირველი

**საფეხბურთო იტალია სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია ჩართული და სპორტულ პრესაში მეტწილად შემდგარი თუ შესაძლო გარიგებების შესახებ იწერება. რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი უკვე გაიჩარხა და როგორც ჩანს, კიდევ არაერთი შეთანხმება მიიქცევს ჩვენს ყურადღებას. ძალიან მოკლედ, სერია A-ს ოცივე გუნდის სატრანსფერო გეგმების შესახებ მოგითხრობთ, მასალა კი ორ ნაწილად იქნება გაყოფილი...**

### ატალანტა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ატალანტა“ მიმდინარე სეზონის მთავარი აღმოჩენაა. მიუხედავად იმისა, რომ ბერგამოელებს 6 ქულა საჯარიმო სანქციების გამო დააკლეს, გუნდი მაინც იბრძვის ევროსაგზურის მოსაპოვებლად. რომ არა ეს დაკლებული ქულები, „ატალანტა“ დღეს მეხუთე-მეექვსე ადგილებს გაიყოფდა „ინტერთან“. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ბერგამოელები აქტიურობას არ აპირებენ და მათი მთავარი დამრტყმელი ძალა კვლავაც **ხერმან დენისი** იქნება.



მარკო ბორიელო „რომადან“ „იუვენტუსში“



კარვალიო ამაურის ასარჩევად აქვს საქმე



ალბერტო ჯილარდინო გოლებს „ჯენოასთვის“ გაიტანს

### ბოლონია

**მარკო დი ვაიო** ისეთი შედეგიანი ვეღარ არის, როგორიც გასულ სეზონში იყო და გამომდინარე აქედან, გუნდი მხოლოდ მე-17 ადგილზეა სატურნირო ცხრილში. „როსობლუს“ გასავარდნი ზონისგან მხოლოდ სამი ქულა აშორებს და გუნდის მიზანიც ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. ბოლონიელთა ვინმეს მიმართ დაინტერესების შესახებ იტალიურ სპორტულ პრესაში ჯერ არაფერი თქმულა, სამაგიეროდ, **გასტონ რამირესს** ჰყავს ბევრი მსურველი და კლუბის მესვეურებს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის შესანარჩუნებლად დიდი ოფლისღვრა მოუწევთ. ბოლო ცნობებით, რამირესის მსურველთა რიცხვს ლონდონის „ჩელსი“ შეუერთდა.

### კალიარი

სარდინიელებს ნახევარდაცვის გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული და რამდენიმე კანდიდატი შერჩეულიც ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანი **მარკო პაროლოა** „ჩეზენადან“, რომლისთვისაც სეზონი რთულად დაიწყო, თუმცა შემდეგ ძველებურად ათამაშდა. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გარიგება შედგეს, რადგან პაროლოს უფრო ამბიციური გუნდებიც იწვევენ. „კალიარის“ მესვეურებს **მურიელის** გადაბირებაც სურთ „ლეჩედან“ და ამბობენ, რომ ამ ტრანსფერის ალბათობა გაცილებით უფრო დიდია.

### კატანია

სიცილიელთა მთავარი მიზანია, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში **მაქსი ლოპესი** სარფიანად გაყიდონ. არგენტინელი ფორვარდის საბაზრო ღირებულება 10 მილიონი ევროა და მის მიმართ რამდენიმე გუნდი იჩენს სერიოზულ ინტერესს. განსაკუთრებით აქტუალურია მაქსის „პალერმოში“ შესაძლო გადასვლის ამბავი - არადა, ერთი სიცილიური გუნდიდან მეორეში გადაბარგება სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის და ამ ამბავმა შესაძლოა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიოს. სულ ცინცხალი ამბავი კი ის გახლავთ, რომ მთავარი გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის კიპერი, **მარიანო ანდუხარი** მოკვეთეს - მიზეზი ლოპესის იდენტურია, არგენტინელ მეკარეს გაცილებით ძლიერ გუნდში სურს თამაში და სანამ ასეთ ძლიერს მონახავს, „კატანიას“ სარეზერვო გუნდთან ერთად მოუწევს ვარჯიში.

### ჩეზენა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მარკო პაროლოზე დიდი მოთხოვნაა და მის მიმართ არაერთი ამბიციური გუნდი იჩენს ინტერესს. შეგვიძლია დავკონკრეტდეთ და ვთქვათ კიდეც, რომ მარკოს გადაბირება „კალიარის“ გარდა, „უდინეზეს“, „ლაციოს“ და „ფიორენტინას“ სურთ. „ჩეზენას“ მესვეურთა მტკიცებით, პაროლო სეზონის ბოლომდე სავარაუდოდ არსად წავა და გუნდს ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად დაეხმარება. ასევე, საუბარია იმაზე, რომ ჩეზენელებს „ლაციოდან“ **ლიბორ კოზაკის** გადაბირება სურთ, ჩეხი ფორვარდის, რომელსაც ადრიან მუტუსთან შეწყვილებას უპირებენ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

### კიევო

**თერეუ, მოსკარდელი, პელისიერი** - ამ სამეულით უტევს „კიევო“, თუმცა როგორც ჩანს, ვერონული კლუბის ხელმძღვანელებს მათი ასპარეზობა აღარ აკმაყოფილებთ. ბოლო დროს, ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ „კიევოში“ „ჯენოას“ თავდამსხმელი **ანდრეა კარაჩოლო** გადაბარგდება. მას შემდეგ, რაც გენუურ კლუბს **ალბერტო ჯილარდინომ** მიაშურა, კარაჩოლოს ადგილი იქ უბრალოდ აღარ არის და მართლაც დიდია იმის შანსი, რომ კარიერა ვერონაში გააგრძელოს.

### ფიორენტინა

მას შემდეგ, რაც ალბერტო ჯილარდინოს „ჯენოაში“ გადაბარგების შესახებ გაცხადდა, ნათელი გახდა, რომ „ფიორენტინა“ ახალი ფორვარდის ძიებას დაიწყებდა. ასეც მოხდა და უკვე არაერთი თავდამსხმელის გვარი დასახელდა, რომლებსაც იისფერი მაისურის მორგებას უწინასწარმეტყველებენ. პირველ რიგში, ეს **კარვალიო ამაურიზე** ითქმის, რომელიც „იუვენტუსში“ თავს ზედმეტად გრძნობს და წასვლა აქვს გადაწყვეტილი. არის მეორე ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ჯილას გათავისუფლებულ ადგილს „უდინეზეს“ ფორვარდი **ანტონიო ფლორო ფლორესი** დაიკავებს. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

### ჯენოა

ჯერჯერობით, ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი „ჯენოამ“ გაჩარხა, რადგან ამ გუნდში ალბერტო ჯილარდინო იასპარეზებს. ზემოთ ანდრეა კარაჩოლოს შესახებაც ვისაუბრეთ, რომელიც, დიდი შანსია, „კიევოში“ გადაბარგდეს. გენუური კლუბის პრეზიდენტის, **ენრიკო პრეციოზის** თქმით, ჯილას შეძენით სატრანსფერო ფანჯარა მისთვის არ იხურება და არ არის გამორიცხული, სულ მალე კიდევ ერთი ხმაურიანი გარიგების შესახებ გაცხადდეს. ლაპარაკია „ჯენოაში“ კარვალიო ამაურის გადაბარგების შესახებ, რომელზეც ზემოთ „ფიორენტინას“ კონტექსტში ვისაუბრეთ - მოკლედ, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელს ასარჩევად აქვს საქმე და ვნახოთ, რას გადაწყვეტს.

### ინტერი

**მასიმო მორატიმ** ჯერ კიდევ ორი კვირის წინ განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გააქტიურებას არ აპირებს. მისი თქმით, ამ ეტაპზე ფინანსური ფეარ პლეის პრინციპების დაცვაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ახალი ფეხბურთელების შეძენაზე. თუმცა, იტალიურ სპორტულ პრესაში მაინც გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ მილანური გრანდი ბრაზილიელი ტალანტის, **ლუკასის** გადაბირებას ლამობს, რომლის საბაზრო ღირებულება 30 მილიონი ევროა. ასევე, აქტიურად საუბრობენ **კასტაინოსის** იჯარის წესით რომელიმე ნაკლებად ამბიციურ გუნდში გაშვების შესახებ, თუმცა ჯერჯერობით არც ეს ცნობა დადასტურებულა.

### იუვენტუსი

ჯილარდინოსი არ იყოს, **მარკო ბორიელოს** ტრანსფერმაც საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. „რომას“ უკვე ექსფორვარდი „იუვეში“ აგრძელებს კარიერას და შეეცდება ტურინული გრანდის მაისურით გაიტანოს გოლები. ბევრი ამ ტრანსფერს სკეპტიკურად შეხვდა, რადგან მარკოს „ჯენოაში“ ასპარეზობის შემდეგ, ხეირიანი არაფერი უქნია - მართალია, ერთი ხანობა „მილანის“ ძირითადში იყო, მაგრამ ვერ დავიჩემებთ, რომ მთები გადაატრიალა. დიდი ხანია ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამაურიმ, იაკვინტამ და ტონიმ „იუვენტუსი“ უნდა დატოვონ - თუ ამ ზამთარსვე მოახერხებენ ახალი გუნდის მოძებნას, მათთვისვე იქნება უკეთესი. თუმცა, სულ ახალი ინფორმაციით, შესაძლოა **ვინჩენცო იაკვინტა** დარჩეს „ბიანკონერიში“ და კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოს. სულ ბოლო ინფორმაციით, ტურინიდან აბარგება **მილოშ კრასიჩმა** განიზრახა და ახალი კლუბის ძიებაშია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში...

რომა



# დე როსის ულტიმატუმი წაუყენეს

„რომას“ მესვეურებსა და **დანიელე დე როსის** შორის ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკება ჯერ კიდევ გასული ზაფხულიდან მიმდინარეობს, თუმცა შედეგი ამ ყველაფერს არ მოჰყოლია. „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალ კონტრაქტში ფეხბურთელის წლიური ანაზღაურება 6 მილიონი ევროთი განისაზღვრება, რაც თურმე ფეხბურთელს არ აკმაყოფილებს. საქმე იმაშია, რომ მოქმედი ხელშეკრულებით დე როსი სწორედ 6 მილიონს იღებს და როგორც ჩანს, პირობების გაუმჯობესება აქვს მიზნად დასახული. თანაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ჩელსის“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ნებისმიერ დროს მზადაა, დე როსიში კოლოსალური თანხა გადაიხადოს და წლიურ გასამრჯელოდ ფეხბურთელს 8 მილიონი დაუნიშნოს. მოკლედ, დე როსიმ კიდევ ერთხელ განაცხადა უარი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რამაც „რომას“ მესვეურებს მოთმინების ფიალა აუვსო - აი, რას ამბობს „ჯალოროსის“ სპორტული დირექტორი **ფრანკო ბალდინი**:

*„ძალიან ბევრჯერ წავედით კომპრომისზე, მაგრამ ასე გაგრძელება უბრალოდ აღარ შეიძლება - დე როსიმ რამდენიმე ხელშეკრულება დაგვიწუნა და როგორც ჩანს, თვითონაც არ იცის, რა უნდა. ჩვენ ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ დანიელემ კარიერა „რომაში“ გააგრძელოს და იმედია, ეს ასეც მოხდება. მას იანვრის ბოლომდე ვაძლევთ ვადას, ან გააფორმებს ახალ კონტრაქტს, ან ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს კლუბს - პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას უბრალოდ ვერ შევძლებთ და ექვსმილიონიანი ხელშეკრულება ჩვენი საბოლოო შეთავაზებაა“.*

მილანი



მასიმილიანო ალეგრი და ალეშანდრე პატო

# ალეგრი: შელაპარაკება იყო

## მაგრამ, სერიოზული არაფერია

ბოლო პერიოდში, ძალიან ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ **მასიმილიანო ალეგრისა და ალეშანდრე პატოს** შორის შავმა კატამ გაირბინა, რამაც შესაძლოა ბრაზილიელი ფორვარდის სხვა გუნდში გადაბარგება გამოიწვიოს. დასახელდა კონკრეტული ვარიანტებიც, რომელთა შორის ყველაზე აქტუალური მისი ფრანგულ პსჟ-ში გადასვლა გახლდათ. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა უარყო, თუმცა არ დამალა, რომ ალეგრისთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს და ამის ნიადაგზე, მასთან მცირე შელაპარაკებაც კი მოუვიდა. ამ საკითხზე კომენტარი „მილანის“ თავკაცმაც გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

*„პატო ძალიან ახალგაზრდაა, მხოლოდ 22 წლის და მესმის, რომ ბევრ რამეს ემოციურად აღიქვამს. მას უნდა, რომ ყველა შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში იყოს და ეს ჩემთვის ნაცნობი სიტუაციაა. მცირე შელაპარაკებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი რამეები გუნდის ყოველდღიურ ყოფაში ჩვეულებრივი მოვლენაა. დარწმუნებული ვარ, რომ ალეშანდრესთან არავითარი პრობლემა არ მექნება და ჩვენ ჩვეულებრივად გავაგრძელებთ ერთი საქმის კეთებას. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და სურს, უფრო და უფრო მეტი ისწავლოს. საქმისადმი ასეთი მიდგომით, ის მუდამ სასურველი ფეხბურთელი იქნება ჩემი ფორმაციის „მილანისათვის“. ასე რომ, სანერვიულო არაფერია და მინდა ვთხოვო ჟურნალისტებს, რომ ბუზისგან სპილოს ნუ აქცევენ“.*

პოზიცია

# იბრა: შეიძლება მწვრთნელი გავხდე



ბოლო პერიოდში, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ხშირად ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როდის დაასრულებს საფეხბურთო კარიერას და რით დაკავდება მას შემდეგ, რაც ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. ადრე რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ არასდროს გახდებოდა მწვრთნელი, თუმცა პოზიცია შეუცვლია და დღეს, ისეთი კატეგორიული აღარ არის, როგორც უწინ. მოვუსმინოთ „მილანის“ შვედ თავდამსხმელს:

*„აპენინებზე თავს ბედნიერად ვგრძნობ, „მილანში“ კიდევ ორი-სამი წელი ვაპირებ თამაშს და შემდეგ ალბათ დავასრულებ კიდეც კარიერას. რაც შეეხება ჩემს სამწვრთნელო პერსპექტივას, დღეს ამაზე ლაპარაკი უაზრობაა, რადგან წინ ზემოხსენებული წლები მაქვს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. ზოგადად, მწვრთნელობაზე ნამდვილად არ ვფიქრობ და დღეს ამის არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ რა იქნება მომავალში, რთული სათქმელია. მახსოვს, ჰენრიკ ლარსონმა პირადად ჩემთან არაერთხელ განაცხადა, რომ მწვრთნელი არასდროს გახდებოდა, მაგრამ დღეს სწორედ ამ საქმით არის დაკავებული. კიდევ ერთხელ ვამბობ, მწვრთნელობა ჩემს გეგმებში არ შედის, მაგრამ არაა გამორიცხული, პოზიცია შევიცვალო“.*

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**

იტალიური სკანდალი



# სარტორიც დააპატიმრეს

მანიპულირებული მატჩების იტალიურ სკანდალში კიდევ ერთი ცნობილი ფიგურა გამოჩნდა - საკმაოდ ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი **ლუიჯი სარტორი**, რომელსაც ორშაბათს ე.წ. შიდაპატიმრობა მიუსაჯეს. „იუვენტუსის", „რომას" და „ჯენოას" ყოფილი მცველი, რომელიც ახლა 36 წლისაა სწორედ იმ სკანდალშია გარეული, რომლის ფარგლებში **ჯუზეპე სინიორი** და **კრისტიანო დონი** დააპატიმრეს.

სარტორმა უკვე აღიარა, რომ აზიურმა კლანმა მას რომელიმე იტალიური კლუბის ჩათრევა დაავალა. მაფიის თხოვნით, ვეტერან მცველს სწორედ იმ კლუბში უნდა ეთამაშა და მანიპულაციებში მონაწილეობა მიეღო. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, მაფიას მიზანში სერია B-ს გუნდი „ალბინოლეფე" ჰყავდა ამოღებული.

ამბები

## მელო: იუვეში არ დავბრუნდები!

როგორც იცით, ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **ფელიპე მელო** „იუვენტუსიდან" „გალათასარაიშია" განათხოვრებული. 28 წლის მელოს თურქეთში დარჩენა უნდა, ტურინულ კლუბში დაბრუნებას კატეგორიულად გამორიცხავს. *„იუვეში" დაბრუნება არ მინდა, რადგან ვიცი, რომ ანტონიო კონტე არ მათამაშებს. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „გალათასარაიში" დავრჩე,"* - განაცხადა ბრაზილიელმა, რომელსაც „ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. „იუვენტუსი" მელოს სანაცვლოდ 13 მილიონ ევროს ითხოვს.

**გოტფრიდ ლენცი**

## პაროლოს რიგი დაუდგა

იტალიაში „ჩეზენას" 26 წლის ნახევარმცველ **მარკო პაროლოზე** დიდი მოთხოვნაა – მას ერთდროულად რამდენიმე გრანდი ეპატიჟება. ეს ფეხბურთელი სერია A-ში მხოლოდ წინა სეზონში გამოჩნდა, მაგრამ უკვე იმდენი მოახერხა, რომ არაერთი წამყვანი იტალიური კლუბი დააინტერესა. „სკაი სპორტ იტალიასთან" საუბრისას „ჩეზენას" კაპიტნის აგენტმა **იგორ კამპედელიმ** დაადასტურა, რომ პაროლოს ყიდვა „ინტერს", „ლაციოს", „უდინეზესა" და „ფიორენტინას" სურთ, მაგრამ მისივე თქმით, ყველაზე მეტად „ინტერია" დაინტერესებული. „ჩეზენა" პაროლოს 10 მილიონ ევროდ აფასებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ზამთრის სარკმელი 2012



ჯილარდინო და კალაძე უკვე ერთად ვარჯიშობენ

# ჯერჯერობით რეკორდი ჯილასია

## ანრიც დაბინავდა, ბორიელოც

ესეც ასე - ევროპულ ფეხბურთში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა. კლუბებს 1-ელი თებერვლის შუაღამემდე (შუაევროპული დროით) ეძლევათ საშუალება, გამოასწორონ საკადრო პრობლემები, გაძლიერდნენ. ვერ ვიტყვით, რომ სატრანსფერო სეზონის გახსნას ეგრევე დიდი ცვლილებები მოჰყვა... არა, ჯერჯერობით ჭარბობს იჯარები და იჯარიდან დაბრუნებები. ზოგიერთ საფეხბურთო ქვეყანაში საერთოდ სრული შტილია - ესპანეთში ჯერ მხოლოდ ერთი ტრანსფერი განხორციელდა, „გრანადაში" ფეხი ვერ მოიკიდა 22 წლის ფრანგმა **იოან მოლომ** და ის სამშობლოში გააბრუნეს.

დღეისათვის ზამთრის მთავარი ტრანსფერი (მათ შორის, რაც ოფიციალურად დადასტურდა) **ალბერტო ჯილარდინოს** ტოსკანიდან ლიგურიაში გადაბარგებაა. მათთვის, ვისაც იტალიის რეგიონების სახელები ბევრს არაფერს ეუბნება, ვიტყვით, რომ ჯილა „ფიორენტინადან" „ჯენოაში" გადავიდა. 29 წლის ფორვარდმა, რომელსაც „სკუადრა აძურაში" 47 თამაშში 17 გოლი აქვს გატანილი, 4,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ახალ კლუბთან. სატრანსფერო თანხა არ გამოუცხადებიათ, თუმცა იტალიური მედია ამტკიცებს, რომ ფორვარდის სანაცვლოდ „ჯენოამ" 8 მილიონი ევრო გადაიხადა. გუშინ „ჯენოა" შვებულების შემდეგ პირველად შეიკრიბა, ვარჯიშზე, რომელსაც 2 ათასი ფანი დაესწრო, ახალწვეული ვარსკვლავიც გამოცხადდა. ამ ფოტოზე ის სულაც ჩვენებურ **კახა კალაძესთან** ერთად ვარჯიშობს.

ხმაურიანია **ტიერი ანრის** ლონდონში 2 თვით გადაბარგების ამბავიც, მაგრამ ამაზე იმდენი „ვიხმაურეთ", რომ ამჯერად მშრალი ინფორმაციით დავკმაყოფილდებით - ბრიტანულმა ტელევიზიებმა გამოაცხადეს, რომ ტრანსფერმა უკვე ოფიციალური სახე მიიღო. „იუვენტუსმა" უკვე გაიფორმა ფორვარდი **მარკო ბორიელო** და იჯარაში „რომას" 500 ათასი ევრო გადაუხადა.

დანარჩენებს კი ცხრილიდან შეიტყობთ. ჩვენ ამ რუბრიკას 1-ელი თებერვლამდე ტრადიციულს გავხდით და 2-3 დღეში ერთხელ (გააჩნია ტრანსფერების სიმრავლეს) შემოგთავაზებთ ძირითად საფეხბურთო ლიგებში განხორციელებულ ტრანსფერებს.

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 01.01 | ნიკოლა ანელკა (საფრ) | ჩელსი | შანხაი | უცნობია |
| 01.01 | იან მორავეკი (ჩეხ) | შალკე | აუგსბურგი | იჯარა |
| 01.01 | ჰარი კეინი (ინგ) | ტოტენჰემი | მილუოლი | იჯარა |
| 01.01 | რაიენ მეისონი (ირლ) | ტოტენჰემი | მილუოლი | იჯარა |
| 01.01 | დენი უილსონი (შოტლ) | ლივერპული | ბლექპული | იჯარა |
| 01.01 | ემანუელ ფრიმპონგი (გან) | არსენალი | ვულვზი | იჯარა |
| 01.01 | ანდროს თაუნსენდი (ინგ) | ტოტენჰემი | ლიდსი | იჯარა |
| 01.01 | ლენდონ დონოვანი (აშშ) | ლოს ანჯელ. | ევერტონი | იჯარა |
| 02.01 | ფედერიკო მაკედა (იტა) | მანჩ. იუნ. | ქპრ | იჯარა |
| 02.01 | იოან მოლო (საფრ) | გრანადა | ნანსი | იჯარა |
| 02.01 | გილფი სიგურდსონი (ისლ) | ჰოფენჰ. | სუონსი | იჯარა |
| 02.01 | სლობოდან მედოიევიჩი (სერბ) | ვოივოდინა | ვოლფსბურგი | უცნობია |
| 02.01 | თოლგა ჯიგერჯი (გერმ) | ვოლფსბ. | გლადბახი | იჯარა |
| 02.01 | მიხაელ ტურკი (გერმ) | აუგსბურგი | ჰაიდენჰ. | თავ. აგენტი |
| 02.01 | შტეფან ტესკერი (გერმ) | ტვენტე | ჰოფენჰაიმი | უცნობია |
| 03.01 | ფრანკო ვასკესი (არგ) | ბელგრანო | პალერმო | 4,5 მლნ ევრო |
| 03.01 | შკოდრან მუსტაფი (გერმ) | ევერტონი | სამპდორია | უცნობია |
| 03.01 | დენი პიუ (ინგ) | სტოკი | ლიდსი | უცნობია |
| 03.01 | კიერან ტრიპერი (ინგ) | სიტი | ბარნსლი | უცნობია |
| 03.01 | ენდა სტივენსი (ირლ) | შემროკი | ასტონ ვილა | უცნობია |
| 03.01 | ალბერტო ჯილარდინო (იტა) | ფიორენტინა | ჯენოა | 8 მლნ. ევრო |
| 03.01 | ჟან-ალან ფანშონი (საფრ) | სტრასბური | უდინეზე | თავ. აგენტი |
| 03.01 | მარკო ბორიელო (იტა) | რომა | იუვენტუსი | იჯარა |
| 03.01 | ტიერი ანრი (საფრ) | ნიუ იორკი | არსენალი | იჯარა |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პარი სენ ჟერმენი

# ბექჰემის ტრანსფერი მოკვდა

## დევიდი პარიზში ცოლმა არ გაუშვა

პარიზული „პარი სენ ჟერმენის" სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** განაცხადა, რომ გამოირიცხა **დევიდ ბექჰემის** პსჟ-ში გადასვლის შესაძლებლობა. ამის შესახებ ლეონარდომ პარიზულ მედიას დოჰაში ამცნო: *„შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი მორჩა - ბექჰემი პარიზში არ ჩამოვა. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში განვიხილავდით ამის შესაძლებლობას. დევიდი თანახმა იყო, ჩვენთან გადმოსულიყო, მაგრამ მას ოჯახი ჰყავს, მეუღლე და ოთხი შვილი. მათთვის ძალიან ძნელი იქნებოდა კიდევ ერთი გადაბარგება. ამიტომ ოჯახმა თავისი გაიტანა".*

ინგლისური ფეხბურთის 36 წლის ვარსკვლავს სხვა გზა არ დარჩენია - „ლოს ანჯელეს გელექსისთან" ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი უნდა გააფორმოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტვენტე

# კო ადრიაანსე მოხსნეს

ჰოლანდიური „ტვენტეს" პრეზიდენტმა **იოპ მუნსტერმანმა** განაცხადა, რომ მწვრთნელი **კო ადრიაანსე** გათავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო სავარაუდო კანდიდატთა სიაში ინგლისელი **სტივ მაკლარენია**. დღეისათვის, „ტვენტე" მესამეზეა და ლიდერ „ალკმაარს" ხუთი ქულით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტურის მიმოხილვა

# ორი არსენალი

## ვენგერმა მსაჯი ახსენა

"ფულჰემმა" "არსენალთან" მატჩი შემოაბრუნა. ძლავრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ "ქრევენ კოტეჯის" მინდორზე მეორე ნახევარში მთლად განიარაღებული "მეთოფეები" გამოვიდოდნენ. ფეხბურთის მომხიბვლელობა სწორედ ის არის, რომ მისი განჭვრეტა წინასწარ შეუძლებელია, მაგრამ ასე?! მასპინძლებს იმან უშველა, რომ ტრავმების შემდეგ **სტივ სიდუელი** და **ბობი ზამორა** დაბრუნდნენ. სტუმრებს კი, მოგეხსენებათ, სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ, განსაკუთრებით დაცვის ხაზში. იქამდე, ვიდრე "არსენალი" გაიტანდა, ანგარიშის გახსნის შანსი ორჯერ გაუშვა ხელიდან **ჟერვინიომ**. 21-ე წუთზე **ლორან კოშელნიმ** გამოიჩინა თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლა. "ჟურუს პირველი ყვითელი ბარათი აშკარა შეცდომა იყო, რადგან მეტოქეები მის პროვოცირებას ცდილობდნენ, მეორე ბარათის დროს კი ჯარიმა სულაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა დანიშნულიყო. ამას გარდა, 0:0-ზე მსაჯმა ჟერვინიოს წაქცევაზე 200%-იანი პენალტი არ მოგვცა. ვერ ვხვდები, რანაირად ვერ შენიშნა წესების დარღვევა ლი პრობერტმა. ასეთი რამ მოხდა "ქუინზ პარკთან" შეხვედრაშიც. გარკვეულწილად არც გაგვიმართლა, მაგრამ წაგებაში მსაჯმაც სერიოზული როლი ითამაშა," – თქვა ვენგერმა.

ბოლო წუთებზე მოაგებინა "ჩელსის" **ფრენ ლემპარდმაც**. გადამწყვეტი დარტყმა ვეტერანმა 89-ე წუთზე შეასრულა. ამ შეხვედრის მოგება "ლურჯებისთვის" განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ბოროტი განზრახვა არ მქონია, მაგრამ მაინც მაგრად გამიმართლა, როცა მხოლოდ ყვითელი ბარათი მივიღე. ამ ეპიზოდის გამო ყველაფერი შეიძლებოდა სხვანაირად განვითარებულიყო. ადამს უკვე პირადად მოვუბოდიშე ჩემი საქციელის გამო.

პრემიერლიგის ცხრილში ლიდერებს 1-2 ქულით ნამდვილად არ ჩამოვრჩებით. ყველაზე მეტად ახლა ჩვენ სათანადო განწყობა გვჭირდება. როგორც კი ბრძოლის სურვილს ვკარგავთ, ოთხეულის მიღმა ვრჩებით ხოლმე. საქმისადმი სწორად მიდგომის შემთხვევაში ნამდვილად შეგვიძლია ოქროს მედლებისთვის ბრძოლა, თანაც იმ ფეხბურთელებით, ვინც გვყავს. როცა ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე აღარ ვფიქრობთ, მაშინ უკვე აღარ ვგავართ ხოლმე ნამდვილ "ჩელსის". საჭიროა ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ ამის გაკეთება წარმოუდგენლად რთული იქნება, მაგრამ შეხედეთ რა მოხდა ბოლო დღეებში. შარშანაც დიდი სხვაობა იყო ლიდერთან, მაგრამ ჩვენ ის სამ შეხვედრაში ამოვქაჩეთ.




ეპიზოდი, რომელმაც ფულჰემი-არსენალის ჩარხი შემოატრიალა

ფეხბურთელი ბობი ზამორას 90 წუთის განმავლობაში აჩრდილივით დასდევდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, თამაში იმაზე ერთი წუთით მეტი გაგრძელდა, ვიდრე მას საამისოდ ძალები ჰყოფნიდა. მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით მოხდა. მანამდე კი ფრანგმა მცველმა **აარონ რემსის** ჩაწოდებით ისარგებლა და ბურთს თავი დასცხო. შემდგომი რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩრდილოლონდონელებს ანგარიშის გაზრდა ორჯერ შეეძლოთ, მაგრამ **დევიდ სტოკდეილი** საიმედოდ თამაშობდა. მეორე ტაიმში რაც მოხდა, უკვე გითხარით: "ფულჰემმა" ჯერ გაათანაბრა თამაში, შემდეგ კი უპირატესობაც მოიპოვა. ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდათ **ფილიპ სენდეროსსა** და **კლინტ დემპსის**, მაგრამ მათ სიზუსტე არ ეყოთ. **რიისის** ძლავრი გასროლა კი **შჩესნიმ** ფეხით მოიგერია. 78-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო **იოან ჟურუმ**. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე 2 წუთში **სკილაჩი** გამოვიდა, "არსენალი" დაიშალა - ბოლო 7-8 წუთში გუნდმა ორი უმძიმესი შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. ბურთები სწორედ ზემოთ ნახსენებმა სიდუელმა და ზამორამ გაიტანეს და "არსენალს" ჩემპიონთა ლიგის ოთხეულს მიღმა ამოაყოფინეს თავი. მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე უკმაყოფილო გახლდათ **არსენ ვენგერი**. ფრანგმა მისი გუნდის გარდა დამნაშავედ მატჩის არბიტრიც დაასახე-

რადგან ზედიზედ 4-თამაშიანი მოუგებელი სერია ჰქონდათ. პირველი სახიფათო ეპიზოდი **ფერნანდო ტორესის** პასის შემდეგ **ხუან მატამ** შექმნა, მაგრამ ჯერ **უეინ ჰენესიმ** ითამაშა კარგად, შემდეგ კი **რიჩარდ სტირმენმა** განმუხტა სიტუაცია. 24-ე წუთზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. ლემპარდმა **ჰემილის** წინააღმდეგ უხეშად ითამაშა, თუმცა მსაჯმა მას რატომღაც მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენა. არბიტრზე გაბრაზებული ჰემილი რამდენიმე წუთში **ეშლი კოულს** ეუხეშა, კოულმა **დოილი** არ დაინდო. მოკლედ, **პიტერ უოლტონს** თამაშის სადავეები ხელიდან გაექცა. 32-ე და 35-ე წუთებზე მასპინძლებმა ორი სახიფათო სიტუაცია გააფუჭეს. **პეტრ ჩეხის** კარში ჯერ **როჯერ ჯონსონი** ურტყამდა, შემდეგ **სტივ უორდი**. 54-ე წუთზე **რამირესი** წამიერად გაერკვა სიტუაციაში, მან კარისკენ ზურგით მდგარმა შემობრუნებაც მოასწრო და დარტყმაც – 1:0. "ჩელსი" ამის მერეც ბევრს ცდილობდა უპირატესობის განმტკიცებას, თუმცა აქეთ დაისაჯა. წამიერი მოდუნება და უორდმა გაათანაბრა – 1:1. ოთხ წუთში ლემპარდმა ფავორიტები ისევ დააწინაურა.

თამაშის დასრულების შემდეგ ჟურნალისტები ლემპარდისგან მატჩის შეფასებით დაინტერესდნენ. აი, რა თქვა ფეხბურთელმა: "უნდა გამოვტყდე, რომ კინაღამ გული გამისკდა, როცა ადამ ჰემილს დავეჯახე. მართალია, არავითარი

პრესის მხრიდან მსგავსი ზეწოლის ქვეშ ადრეც ვყოფილვართ. მათ ჩვენი გუნდი ყოველთვის მიზანში ჰყავთ ამოღებული. სწორედ ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი, რომ ფეხბურთელებმა თავდაუზოგავად იმუშაონ. თუკი ასე მოვიქცევით და გულშემატკივრებს დავუმტკიცებთ რადაც ვღირვართ, ამ ისტორიებს უკან მოვიტოვებთ. სწორედ თავდადებული თამაშით ვამაყობდით "ჩელსის" ფეხბურთელები და მასვე მოჰქონდა ჩვენთვის ტიტულები. როცა აგებ მატჩებს და ამას ეგუები, ლიდერი ვერასოდეს გახდები. ამ წუთას გუნდში არცთუ იოლი სიტუაციაა, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ გასახდელში ერთმანეთთან პრობლემები გვაქვს, სისულელეა".

კმაყოფილი იყო მატჩის შემდეგ **ანდრე ვილაშ ბოაშიც**: "ვულვზთან" მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ბოლო წარუმატებლობების შემდეგ გუნდმა, როგორც იქნა გამოამჟღავნა მებრძოლი ხასიათი. ფეხბურთელებისთვის იოლი არ არის 3 დღეში 2 მატჩის ჩატარება. ამიტომაც ვარ ყველაზე მეტად ბიჭების წარმატებით ამაყი".

### ტოტენჰემი–ვესტ ბრომვიჩი 1:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – კაბული, გალასი (67. ბასონგი), ასუ-ეკოტო, უოკერი – ბეილი, მოდრიჩი, სანდრო (30. ლივერმორი – 76. კრანჩარი), ვან დერ ვაარტი – დეფო, ადებაიორი

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – დოუსონი, მაკოლი, შორი, ბ. ჯონსი – შარნერი, ტორნი (79. ტჩოი), ტომასი (27. ხარა), კოქსი – დორანსი (66. მორისონი), ოდემვინგე

**გოლი:** 1:0 დეფო (63)

**გაფრთხილება:** - ტომასი, ბ. ჯონსი, დორანსი, კოქსი, შარნერი

**კუთხური:** 14-7, **ჯარიმა:** 4-15, **თამაშგარე:** 6:3 **კარში დარტყმა:** 10-6(6-1), **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 36 062

### უიგანი–სანდერლენდი 1:4

**უიგანი** (3-4-3): ალ ჰაბსი – გოჰური, ფიგეროა, ალკარასი – სტამი (58. სემონი), უოტსონი (83. დიამე), მაკარტი, დ. ჯონსი – კრუსატი (39. მოზესი), გომესი, როდალიეგა

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – კოლგალონი, ო'ში, გარდნერი (83. ელმოჰამადი), კოლბეკი – ვონი, კატერმოლი, რიჩარდსონი (67. მეილერი), მაკლინი (89. დონ ვონი) – სესინიონი - ბენდტნერი

**გოლები:** 0:1 გარდნერი (45) 0:2 მაკლინი (55) 1:2 როდალიეგა (62), 1:3 სესინიონი (73), 1:4 ვონი (80)

**გაფრთხილება:** სტამი

**კუთხური:** 9-6, **ჯარიმა:** 11-7, **თამაშგარე:** 0:3 **კარში დარტყმა:** 17-7(6-6), **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 15 871

### მანჩესტერ სიტი–ლივერპული 3:0

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – კლიში, კ. ტურე, კომპანი, რიჩარდსი – ბერი, ი. ტურე – დ. სილვა (76. ლესკოტი), მილნერი, აგუერო (72. ა. ჯონსონი) - ჯეკო

**ლივერპული** (4-3-2-1): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – ადამი (57. ჯერარდი), ჰენდერსონი, სპირინგი (76. როდრიგესი) – დაუნინგი, კუიტი (57. ბელამი) - კეროლი

**გოლები:** 1:0 აგუერო (11), 2:0 ი. ტურე (33) 3:0 მილნერი (75) პენ

**გაფრთხილება:** ბერი – გ. ჯონსონი

**გაძევება:** ბერი (73)

**კუთხური:** 5-6, **ჯარიმა:** 13-7, **თამაშგარე:** 4:2 **კარში დარტყმა:** 8-13(7-6), **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 47 131

### დღეს

| | |
|---|---|
| ევერტონი-ბოლტონი | 00:00 |
| ნიუკასლი-მანჩესტერი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 20 | 15 | 3 | 2 | 56- 16 | 48 |
| 2. იუნაიტედი | 19 | 14 | 3 | 2 | 49- 17 | 45 |
| 3. ტოტენჰემი | 19 | 13 | 3 | 3 | 36- 20 | 42 |
| 4. ჩელსი | 20 | 11 | 4 | 5 | 39- 25 | 37 |
| 5. არსენალი | 19 | 11 | 3 | 5 | 35- 26 | 36 |
| 6. ლივერპული | 20 | 9 | 7 | 4 | 24- 18 | 34 |
| 7. ნიუკასლი | 19 | 8 | 6 | 5 | 26- 25 | 30 |
| 8. სტოკი | 20 | 8 | 5 | 7 | 22- 31 | 29 |
| 9. ნორვიჩი | 20 | 6 | 7 | 7 | 30- 35 | 25 |
| 10. სანდერლენდი | 20 | 6 | 6 | 8 | 27- 23 | 24 |
| 11. ევერტონი | 18 | 7 | 3 | 8 | 19- 20 | 24 |
| 12. სუონსი | 20 | 5 | 8 | 7 | 20- 23 | 23 |
| 13. ასტონ ვილა | 20 | 5 | 8 | 7 | 22- 26 | 23 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 20 | 6 | 4 | 10 | 19- 28 | 22 |
| 15. ფულჰემი | 19 | 4 | 8 | 7 | 20- 25 | 20 |
| 16. ვულვზი | 20 | 4 | 5 | 11 | 22- 36 | 17 |
| 17. ქუინზ პარკი | 20 | 4 | 5 | 11 | 19- 35 | 17 |
| 18. უიგანი | 20 | 3 | 6 | 11 | 18- 41 | 15 |
| 19. ბლექბერნი | 20 | 3 | 5 | 12 | 29- 43 | 14 |
| 20. ბოლტონი | 19 | 4 | 1 | 14 | 23- 42 | 13 |

**ბომბარდირები:** 17 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 14-14 - დემბა ბა (ნიუკასლი), სერხიო აგუერო (მანჩ. სიტი), 13 – უეინ რუნი (მანჩ. იუნაიტედი), 12 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), 10 - ედინ ჯეკო (მანჩ. სიტი)

### ჩემპიონშიპი. XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-მილუოლი | 1:0 |

გოლი: 1:0 მეინარდი (93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 25 | 14 | 5 | 6 | 47-28 | 47 |
| 2. ვესტ ჰემი | 25 | 14 | 5 | 6 | 40-23 | 47 |
| 3. კარდიფ სიტი | 25 | 12 | 9 | 4 | 41-27 | 45 |
| 4. მიდლსბრო | 25 | 12 | 9 | 4 | 30-23 | 45 |
| 5. რედინგი | 25 | 11 | 6 | 8 | 32-25 | 39 |
| 6. ჰალ სიტი | 25 | 12 | 3 | 10 | 26-25 | 39 |
| 7. ბლეკპული | 25 | 10 | 8 | 7 | 39-31 | 38 |
| 8. ლიდსი | 25 | 11 | 5 | 9 | 39-36 | 38 |
| 9. დერბი | 25 | 11 | 4 | 10 | 30-33 | 37 |
| 10. ბარნლი | 25 | 11 | 3 | 11 | 37-33 | 36 |
| 11. კრ. პალასი | 25 | 10 | 6 | 9 | 24-24 | 36 |
| 12. ლესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 33-28 | 35 |
| 13. ბრაიტონი | 25 | 10 | 5 | 10 | 26-28 | 35 |
| 14. ბირმინგემი | 23 | 9 | 7 | 7 | 31-25 | 34 |
| 15. პიტერბორო | 25 | 9 | 6 | 10 | 44-41 | 33 |
| 16. ბარნსლი | 25 | 9 | 6 | 10 | 35-38 | 33 |
| 17. პორტსმუთი | 24 | 8 | 7 | 9 | 27-25 | 31 |
| 18. უოტფორდი | 25 | 7 | 9 | 9 | 27-34 | 30 |
| 19. ბრისტოლ სიტი | 25 | 7 | 6 | 12 | 23-34 | 27 |
| 20. იფსვიჩი | 24 | 8 | 3 | 13 | 34-47 | 27 |
| 21. მილუოლი | 25 | 6 | 8 | 11 | 24-28 | 26 |
| 22. ნოტინგემი | 25 | 7 | 3 | 15 | 21-39 | 24 |
| 23. დონკასტერი | 25 | 6 | 4 | 15 | 22-43 | 22 |
| 24. ქოვენთრი | 25 | 4 | 7 | 14 | 20-34 | 19 |

**ბომბარდირები:** 13 – რიჩარდ ლამბერტი (საუთჰემპტონი), 10-10 – რიკარდო ვას ტე (ბარნსლი), როს მაკორმაკი (ლიდსი), ბილი შარპი (დონკასტერი), 9-9 – კიტ ენდრიუსი (იპსვიჩი), დარიუს ჰენდერსონი (მილუოლი), კრეიგ დევისი (ბარნსლი), ლუკას იუტკევიჩი (ქოვენთრი), კრის ვუდი (ბირმინგემი)

ამბები

## ბალოტელი [illegible]

კვირა ისე არ გავა, მარიო ბალოტელიმ არასაფეხბურთო ისტორიით არ დაგვამახსოვროს თავი. მარიოს თავს ახალი ის არის, რომ მის მიერ ნაქირავები სახლის მეპატრონეებმა ის ქუჩაში გააგდეს. გეხსომებათ, რომ ოქტომბრის ბოლო მარიომ და მისმა მეგობრებმა აბაზანაში პიროტექნიკით გართობა გადაწყვიტეს, თუმცა შედეგები წინასწარ ვერ გათვალეს და ლამის სახლი გადაწვეს. სერიოზული ზარალისგან ფეხბურთელი მხოლოდ სახანძრო ჯგუფის მოსვლამ იხსნა. უძრავი ქონების მეპატრონემ ბალოტელის სასამართლოში უჩივლა და ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. მოსამართლემ სარჩელი დააკმაყოფილა და მარიოს 2 ათასი ფუნტის გადახდა დააკისრა. ფეხბურთელმა მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა მეტისმეტად დიდია იმ ზარალისთვის, რაც მან სახლს მიაყენა და ფულის გადახდაზე უარი თქვა. ამ განცხადების შემდეგ 3 მილიონ ფუნტად შეფასებული სახლის მესაკუთრემ მარიოსთან შემდგომ ურთიერთობაზე უარი თქვა და მისგან სასწრაფოდ მოითხოვა სახლის დაცლა.

## დროგბა მიდის

საბოლოოდ გაირკვა, რომ **დიდიე დროგბა** "ჩელსიდან" მიდის. ყოველ შემთხვევაში "დეილი ექსპრესი" ამას ამტკიცებს. შეგახსენებთ, რომ ივუარელი კლუბისგან ახალ 2-წლიან კონტრაქტს ითხოვდა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო, რის შემდეგაც კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. უახლოეს დღეებში აფრიკელი დატოვებს "ჩელსის" ბაზას და აფრიკის თასისთვის მოსამზადებლად ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მან ლურჯი მაისურა ვეღარც მოირგოს.

## უკან ნიუკასლში

TALKSPORT-მა გუშინ მკითხველს სენსაციური ამბავი აუწყა. "ლივერპულის" ხელმძღვანელობამ **ენდი კეროლი** შეიძლება 6-თვიანი იჯარით "ნიუკასლში" დააბრუნოს. გამოცემა ვარაუდობს, რომ ამის საფუძველი გახდება ის, რომ "კაჭკაჭებს" **დემბა ბას** აფრიკის თასზე გამგზავრების შემდეგ შედეგიანი თავდამსხმელი აღარ რჩებათ. ქეროლს კი, თავის მხრივ, საშუალება მიეცემა, სათამაშო ფორმა აღიდგინოს. ჩრდილოელთა მთავარი მწვრთნელი **ალან პერდიუ** ენდის დიდი გულშემატკივარი რომაა, ეს სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. მან ამას წინათ ისიც აღნიშნა, ქეროლი ასეთი ძვირი რომ არ ყოფილიყო, კლუბი მას ნამდვილად არ გაუშვებდაო.

*P.S. გუშინ საღამოს "ტელეგრაფმა" „ტვიტერის" გვერდზე დაწერა, რომ "ლივერპულმა" "ასტონ ვილასთან" შეთანხმებას მიაღწია და* ***დარენ ბენტი*** *იჯარით აიყვანა. Talksport-ის ვარაუდს ეს კიდევ უფრო რეალურს ხდის.*

## ტერი სასამართლოში ჩივის

ინდოეთი მრავალმხრივ საინტერესო ქვეყანაა. საქმე ამჯერადაც საკმაოდ უცნაურ ფაქტთან გვაქვს. ამ ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მავან ბიზნესმენს სიგარეტის ყუთზე **ჯონ ტერის** გამოსახულების გამოყენების უფლება მისცა მინაწერით - "მოწევა კლავს". ვინ ეკითხებოდა სამინისტროს ლონდონელი ვარსკვლავის უფლებების განკარგვას, ამაზე პასუხს არავინ იძლევა. თავად ფეხბურთელი თავს დაზარალებულად მიიჩნევს და უფლებების დაცვას სასამართლოში აპირებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ერთიანი ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. სეზონის შეჯამება

# ეკვატორთან

სეზონის I ნახევრის ჩვენებური შეჯამება დასასრულს მიუახლოვდა - დარჩა მხოლოდ ევროზონის 6 კლუბი, ექვსეული, რომელსაც სტარტი კარგი გამოუვიდა. დღეს მე-6-ადგილოსანი „სევილიას“ (24 ქულა) და ერთი საფეხურით მაღლა მდგომი „ოსასუნას“ (25 ქულა) ჯერია.

## სევილია: უპრეზიდენტო რბოლა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6. სევილია | 16 | 6 | 6 | 4 | 18-17 | 24 |

| თარიღი | მეტოქე | ანგარიში |
|---|---|---|
| 29 აგვისტო | მალაგა (შ) | 2:1 |
| 10 სექტემბერი | ვილიარეალი (გ) | 2:2 |
| 18 სექტემბერი | სოსიედადი (შ) | 1:0 |
| 20 სექტემბერი | ოსასუნა (გ) | 0:0 |
| 24 სექტემბერი | ვალენსია (შ) | 1:0 |
| 2 ოქტომბერი | ატლეტიკო (გ) | 0:0 |
| 17 ოქტომბერი | სპორტინგი (შ) | 2:1 |
| 23 ოქტომბერი | ბარსელონა (გ) | 0:0 |
| 26 ოქტომბერი | რასინგი (შ) | 2:2 |
| 1 ნოემბერი | გრანადა (შ) | 1:2 |
| 5 ნოემბერი | მალიორკა (გ) | 0:0 |
| 20 ნოემბერი | ბილბაო (შ) | 1:2 |
| 28 ნოემბერი | სარაგოსა (გ) | 1:0 |
| 6 დეკემბერი | ხეტაფე (შ) | 3:0 |
| 10 დეკემბერი | ლევანტე (გ) | 0:1 |
| 18 დეკემბერი | რეალი (შ) | 2:6 |

„სევილია“ არაფრით უსწრებს „მალაგას“ (მხოლოდ, ბურთების უკეთესი სხვაობით) და, კაცმა რომ თქვას, არც თუნდაც, მე-9 ადგილზე მყოფ „ბილბაოს“ (სულ 2 ქულით უსწრებს). მოკლედ, ევროზონაში კია, მაგრამ იქ მყარად ვერ დამკვიდრდა, მთელი II ნახევარიც ევროპა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უნდა გაატაროს, თუ გაუმართლებს, შეიძლება ჩემპიონთა ლიგასაც შეწვდეს.

### რას ვწერდით აგვისტოში

*„კლუბის პრეზიდენტს კი სურს მესამე ადგილი, თუმცა ალბათ არც ლიგის პლეი ოფის საგზურის მომტან მეოთხეზე იქნება უარზე. აი, ნაკლები კი უკვე წარუმატებლობად ჩაეთვლება მარსელინოს. გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს, თუმცა კონკურენტებიც საკმაოდ ჰყავს“*, - ამას ვწერდით აგვისტოში. ბევრი რამ შეიცვალა, კლუბის პრეზიდენტი **დელ ნიდო** სულაც „ჩასვეს“, თუმცა ძირითადში ისევ ამ აზრზე ვართ.

### სტატისტიკური მონაგარი

**მარსელინო გარსია ტორალის** გუნდისთვის ყველაფერი დიდებულად მიდიოდა ნოემბრამდე - „სევილიას“ 9 ტურის მერე მარცხი არ ჰქონია. არადა, გუნდს უკვე მოლეული ჰქონდა ყველაზე საშიში - „კამპ ნოუზე“ ვიზიტი. მერე კი ანდალუსიურ დერბიში შინ სუსტ „გრანადასთან“ წააგო. რომ არა ბოლო ორ ტურში მარცხი, გუნდი მყარად დამკვიდრდებოდა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლთა შორის. მოკლედ, საშობაო არდადეგებმა „სევილიას“ დროულად მოუსწრო.

გაფრთხილება: 49
2 ყვითელი ბარათი: 2
წითელი ბარათი: 3
პენალტი (გატ): 2/1
პენალტი (გატ) სევილიას კარში: 4/2
საშუალო დასწრება: 35 100
დარტყმა (ზუსტი): 231 (98)
დარტყმა (ზუსტი) სევილიას კარში: 204 (73)
დარტყმის სიზუსტე: 42,4%
კუთხური: 86
თამაშგარე: 24
ჯარიმა (მათზე): 207 (232)

| გოლები | |
|---|---|
| 5 | ნეგრედო, დელ მორალი |
| 3 | კანუტე |
| 2 | ნავასი |
| 1 | ფასიო, ალექსისი, კასერესი |

| საგოლე პასები | |
|---|---|
| 3 | კამპანია, ნავასი, რაკიტიჩი |
| 1 | პეროტი, ნეგრედო, კანუტე, კასერესი |

| გაძევება | |
|---|---|
| 1 | ესკუდე, ნავარო, ტროხოვსკი, დელ მორალი, კანუტე |

| გაფრთხილება | |
|---|---|
| 8 | სპაჰიჩი |
| 7 | მედელი |
| 5 | ნავარო |
| 4 | კანუტე |
| 3 | ტროხოვსკი, ნავასი, ნეგრედო, რაკიტიჩი, კასერესი |
| 2 | კოკე, ფასიო |
| 1 | არმენტეროსი, ალექსისი, ვარასი |

**თამაშები**

მეკარეები: ხავი. **ვარასი** (16 თ), ანდრეს **პალოპი**, **სერხიო** გონსალესი.

მცველები: ფერნანდო **ნავარო** (15), ემირ **სპაჰიჩი** (14), მარტინ **კასერესი** (12), ჟულიენ **ესკუდე** (10), „**კოკე**“ ანდუხარი (10), ფედერიკო **ფასიო** (9), **ალექსის** რუანო (1).

**ნახევარმცველები: ხესუს ნავასი** (16), პიოტრ **ტროხოვსკი** (15), ივან **რაკიტიჩი** (15), გარი **მედელი** (14), ემილიანო **არმენტეროსი** (13), ხოსე **კამპანია** (10), დიეგო **პეროტი** (10), ტომ **დე მული**, **სალვადორ** გონსალესი.

**თავდამსხმელები:** მანუ **დელ მორალი** (16), ფრედერიკ **კანუტე** (12), ალვარო **ნეგრედო** (12), **ლუის ალბერტო** (3), **ჰიროში** იბუსუკი.

**სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა**

**4-1-4-1:** *ვარასი - კასერესი, სპაჰიჩი, ესკუდე, ნავარო - მედელი - ხესუს ნავასი, ტროხოვსკი, რაკიტიჩი, პეროტი - ნეგრედო.*

საუკეთესო ფეხბურთელი: **ხავი ვარასი - 16 თამაში 17 გაშვებული ბურთი**



ბურთით ფრედერიკ კანუტე

## ოსასუნა: წარმატების საიდუმლო



იყო მატჩები, როცა ოსასუნას სენეგალელმა ფორვარდმა იბრაჰიმამ იფრინა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5. ოსასუნა | 16 | 6 | 7 | 3 | 21-28 | 25 |

| თარიღი | მეტოქე | ანგარიში |
|---|---|---|
| 28 აგვისტო | ატლეტიკო (გ) | 0:0 |
| 11 სექტემბერი | სპორტინგი (შ) | 2:1 |
| 17 სექტემბერი | ბარსელონა (გ) | 0:8 |
| 20 სექტემბერი | სევილია (შ) | 0:0 |
| 25 სექტემბერი | გრანადა (გ) | 1:1 |
| 1 ოქტომბერი | მალიორკა (შ) | 2:2 |
| 17 ოქტომბერი | ბილბაო (გ) | 1:3 |
| 23 ოქტომბერი | სარაგოსა (შ) | 3:0 |
| 26 ოქტომბერი | ხეტაფე (გ) | 2:2 |
| 30 ოქტომბერი | ლევანტე (შ) | 2:0 |
| 6 ნოემბერი | რეალი (გ) | 1:7 |
| 20 ნოემბერი | ვალეკანო (შ) | 0:0 |
| 27 ნოემბერი | ესპანიოლი (გ) | 2:1 |
| 4 დეკემბერი | ბეტისი (შ) | 2:1 |
| 11 დეკემბერი | მალაგა (გ) | 1:1 |
| 18 დეკემბერი | ვილიარეალი (შ) | 2:1 |

მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატში შეიძლება მოხდეს ასეთი რამ - 20-გუნდიან ტურნირში გუნდი მე-5 ადგილზეა და ბურთების მკვეთრად უარყოფითი ბალანსი (-7) აქვს. ეს გუნდი ნავარელთა სიამაყე „ოსასუნაა“, სეზონის ნომერ მეორე სიურპრიზი (პირველი უდავოდ „ლევანტეა“). არადა, მე-3 ტურის მერე ვერავინ იფიქრებდა „ოსასუნას“ ევროამბიციების სერიოზულობას, მაშინ ხომ **ხოსე ლუის მენდილიბარის** გუნდმა კატასტროფული მარცხი იწვნია - „კამპ ნოუზე“ 0:8 წააგო.

### რას ვწერდით აგვისტოში

*„საშიში და გამოუცნობი, როგორც ენსიერო“*, - ასე დავასათაურეთ მაშინ ჩვენი სტატია. შეგახსენებთ, ენსიერო ნავარაში გავრცელებული ხართა რბოლაა ქალაქის ქუჩებში. მაშინაც ვწერდით, რომ მენდილიბარის მისვლით გუნდი გამოცოცხლდა (15 თამაშში 25 ქულა მოაგროვა - შევადაროთ ახლანდელს - 16 თამაშში 25 ქულა). წინასწარმეტყველებაში კი შევცდით: *„ოპტიმისტურ პროგნოზს ვერ შემოგთავაზებთ - ნავარელებს ისევ მოუწევთ გადარჩენისთვის ბრძოლა, თუმცა, სავარაუდოდ, ამ ბრძოლიდან კვლავ გამარჯვებულები გამოვლენ“*, - ვწერდით აგვისტოში.

### სტატისტიკური მონაგარი

„ოსასუნას“ დარი გუნდების უპირატესობა ის არის, რომ გრანდებთან კატასტროფულ მარცხებს ისინი მშვიდად ხვდებიან. წარმოიდგინეთ, „კამპ ნოუზე“ „რეალს“, „ვალენსიას“ ან „ატლეტიკოს“ რომ წაეგო 0:8, რამდენი ხანი დასჭირდებოდათ მათ „აზრზე მოსასვლელად“. წააგეს ნავარელებმა 8 ბურთის სხვაობით? მერე რა - ამის შემდეგ 3-მატჩიანი წაუგებელი სერია „გამოცხეს“. მენდილიბარის გუნდი არანაკლებად შერცხვა „რეალთანაც“ - 1:7 წააგო, იმის მერე კი 5-მატჩიანი წაუგებელი სერია დაიწყო, რომელიც ახლაც გრძელდება.

გაფრთხილება: 41
2 ყვითელი ბარათი: 4
წითელი ბარათი: 0
პენალტი (გატ): 1/1
პენალტი (გატ) ოსასუნას კარში: 3/3
საშუალო დასწრება: 15 300
დარტყმა (ზუსტი): 190 (71)
დარტყმა (ზუსტი) ოსასუნას კარში: 217 (82)
დარტყმის სიზუსტე: 37,4%
კუთხური: 69
თამაშგარე: 44
ჯარიმა (მათზე): 235 (211)

| გოლები | |
|---|---|
| 5 | იბრაჰიმა |
| 4 | რ. გარსია, ნეკუნამი |
| 3 | ნინო |
| 2 | სეხუდო |
| 1 | ლამა, ფლანიო, სერხიო |

| საგოლე პასები | |
|---|---|
| 5 | რ. გარსია |
| 3 | სეხუდო |
| 2 | ნინო |
| 1 | ლამა, ტიმორი, სოლა, სერხიო, იბრაჰიმა |

| გაძევება | |
|---|---|
| 2 | სატრუსტეგი |
| 1 | სეხუდო, ლამა |

| გაფრთხილება | |
|---|---|
| 5 | ნეკუნამი, დამია |
| 4 | პუნიალი |
| 3 | სატრუსტეგი, ლამა, ფლანიო, ტიმორი |
| 2 | ფერნანდესი, გარსია, როვერსიო, რუბენი |
| 1 | სოლა, კალეხა, სერხიო, იბრაჰიმა, ნინო |

**თამაშები**

მეკარეები: ანდრეს **ფერნანდესი** (16 თ), ასიერ **რიესგო** (1), **რიკარდო** ლოპესი.

მცველები: მანუელ ორტის „**ლოლო**“ (13), **დამია** პერესი (12), იუკა **რაიტალა** (11), მიგელ **ფლანიო** (11), მარკ **ბერტრანი** (10), **რუბენ** გონსალესი (9), **როვერსიო** როდრიგესი (8), **სერხიო** გონსალესი (8), ენეკო **სატრუსტეგი** (4), იონ **ეჩაიდე**.

**ნახევარმცველები:** ფრანსისკო **პუნიალი** (16), ალვარო **სეხუდო** (15), რაულ **გარსია** (14), ჯავად **ნეკუნამი** (12), დავიდ **ტიმორი** (8), ხავიერ **კალეხა** (4), რობერტო **ტორესი** (1), **მარკოს** პერესი (1), ხავიერ **ანუნზიატა** (1).

**თავდამსხმელები:** ხუან მარტინეს „**ნინო**“ (15), **იბრაჰიმა** ბალდე (12), როლან **ლამა** (12), დეიან **ლეკიჩი** (3), **მანუელ** ვილიაფრანკა.

**სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა**

**4-2-3-1:** *ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, ფლანიო, რაიტალა - პუნიალი, რ. გარსია - სეხუდო, ნეკუნამი, ლამა - ნინო.*

საუკეთესო ფეხბურთელი: **რაულ გარსია - 14 თამაში, 4 გოლი, 5 საგოლე პასი.**

---

**კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები**

**დღეს**

**23:00**
**სოსიედადი-მალიორკა**

**00:00**
**ბარსელონა-ოსასუნა**

---

**ამბები**

### ბიელსა ვარაუდებზე არ ფიქრობს

გუშინ ესპანურ მედიაში გავრცელებული ცნობა მოგაწოდეთ, რომლის მიხედვითაც, თუკი 2013 წელს **ხოსეპ გვარდიოლა** „ბარსელონაში“ მუშაობაზე უარს განაცხადებს, მას „ბილბაოს“ თავკაცით, **მარსელო ბიელსათი** შეცვლიან. „ბილბაოს“ მთავარმა მწვრთნელმა ამ საკითხზე განაცხადა, რომ ჰიპოთეტიკურ სიტუაციებზე კომენტარს ვერ გააკეთებს. „ელ ლოკომ“ თქვა, რომ საუბარს მაშინ აქვს აზრი, როცა რაიმე კონკრეტული გამოიკვეთება. 56 წლის „ელ ლოკომ“ სახელი განსაკუთრებით ჩილეს ნაკრებში ბოლოდროინდელი მოღვაწეობით გაითქვა.

### სურვილი და რეალობა

მართალია, ლეგენდარული **იოჰან კრუიფი**, რომელიც კატალონიის ნაკრების თავკაციცაა, ამტკიცებს, რომ კატალონიას მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყნის გუნდის დამარცხება ძალუძს, მაგრამ ფაქტია - ესპანეთის ამ რეგიონის ნაკრებმა გასულ კვირაში შინ მხოლოდ 0:0 ითამაშა ტუნისთან. ოქტომბერში კატალონიაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც კატალონიელთა 45% პროცენტი მხარს უჭერს დამოუკიდებლობას, სხვებს კი ეშინიათ, რომ უესპანეთოდ რეგიონის ეკონომიკა დაინგრევა.

### კამპ ნოუმ მოწევა აკრძალა

დღეს ესპანეთის სამეფო თასის მატჩი ისტორიულია „კამპ ნოუსთვის“ - პამპლონის „ოსასუნასთან“ შეხვედრაში პირველად შევა ძალაში შინაგანაწესი, რომლის თანახმადაც სტადიონის ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა აიკრძალება. ეს გადაწყვეტილება კლუბის წევრთა გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 528 ხმით 89-ის წინააღმდეგ (38 თავი შეიკავა). ტრიბუნებზე გამოიფინება სლოგანი: „ბარსა სინ ჰუმო“ - „ბარსა, მოწევის გარეშე“.

### კამენი მალაგაში არ გამოდის

როგორც ჩანს, კამერუნელი გოლკიპერის, **კარლოს კამენის** ტრანსფერი „ესპანიოლიდან“ „მალაგაში“ არ შედგება. მოლაპარაკებები კლუბებს შორის უკვე რამდენიმე კვირა გრძელდება, „ესპანიოლი“ მეკარის სანაცვლოდ მილიონ ევროს ითხოვს, მაშინ, როცა ანდალუსიელები ცდილობენ აფრიკელი თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაიგდონ ხელში. 28 წლის კამენი 7 წელიწადია „ესპანიოლშია“, ამ სეზონში კი მან ძირითადში ადგილი არგენტინელი **კრისტიან ალვარესის** სასარგებლოდ დაკარგა.

### ჩავი: 2011 წლის საუკეთესო გამთამაშებელი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 2011 წლის საუკეთესო გამთამაშებლად **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა) დაასახელა. ჩავიმ 232 ქულა მოაგროვა და უკან ორი თანაგუნდელი ჩამოიტოვა - **ლიონელ მესი** (147) და **ანდრეს ინიესტა** (110).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ძიუდო

# რეფორმების გზაზე

**ახალ სეზონში ძიუდოს ფედერაცია ბევრ სიახლეს გეგმავს, რაც სხვა ფედერაციებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ამ თემებზე დღეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ნუცუბიძე გვესაუბრება, თუმცა მასთან ინტერვიუში შეგნებულად ავუარეთ გვერდი ქართული ძიუდოსთვის დღეს ყველაზე მტკივნეულ პრობლემას – ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხს. ავუარეთ იმიტომ, რომ ეს თემა უკვე დახურულია – ოლიმპიადის შემდეგ პეტერ ზაიზენბახერი პოსტიდან მიდის, რაც პირადადაც განუცხადეს. რატომ მერე და არა ახლავე, ან რატომ ვწირავთ ამ თამაშებსაც ზაიზენბახერის დატოვებით, ეს მართლაც აქტუალური კითხვაა. ავსტრიელმა რომ ვერ გაამართლა, ამაზე კამათი უკვე ღია კარის მტვრევას ჰგავს და ამიტომაც ავუარეთ გვერდი. ასევე არ შევხებივართ განვლილი სეზონის შეფასებას – ისედაც ყველაფერი ნათელია. ოფიციალურად კი რამდენიმე დღეში ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე იმსჯელებენ, სადაც ზაიზენბახერსაც მოუსმენენ. არსებითად, შარშანდელი სეზონის განსჯაც ღია კარის მტვრევა იქნება, რადგან აქამდეც არაერთხელ შეფასდა და თან ეროვნულ ნაკრებში ბევრი თავმოსაწონებელიც არაფერია. უფრო მნიშვნელოვანი კი, ვფიქრობთ, სამომავლოდ განზრახული რეფორმებია, რამაც ქართული ძიუდო, ავსტრიელის მეთოდებისგან განსხვავებით, რეალურად უნდა გადაიყვანოს თანამედროვე რელსებზე. ნუცუბიძესთანაც უფრო სამომავლო რეფორმებზე ვისაუბრეთ, თუმცა ეს იმდენად ვრცელი თემაა, ერთ საგაზეთო წერილში ყველაფრის ჩატევა, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ.**

**- ბოლო ხანებში ლამის ყოველდღე გვესმის, რომ მსოფლიოს ძიუდო სტილს იცვლის და ფეხი უნდა ავუწყოთ. დაიწყო თუ არა ჩვენთან ეს პროცესი და როგორ მიმდინარეობს იგი?**

- ძიუდო თუ იმ მიმართულებით წავიდა, რაზეც ახლაა ლაპარაკი, სხვა გამოსავალი არც გვრჩება. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ოლიმპიადის შემდგომ არჩევნებზე საერთაშორისო ფედერაციაში. თუ ის სტრუქტურა დარჩა და ახლანდელმა ხელმძღვანელობამ თავისი გეგმებით გაიმარჯვა, რისი ალბათობაც 80-90%-ია, მაშინ ძიუდოში კიდევ ბევრი ცვლილება მოხდება. საამისოდ ახლავე თუ არ დავიწყეთ მზადება, ძალიან დიდი ჩავარდნა გვექნება. მართალია, ბავშვთა ნიჭიერების და კიდევ იმის ხარჯზე, რომ კავკასიელები, აზიელთა მსგავსად, ადრე შედიან სიმწიფის ასაკში, ეს ჩავარდნა იმდენად შესამჩნევი არ იქნება, თუმცა მაინც ბევრად გადააჭარბებს იმას, რაც ბოლო 2-3 წელიწადში გვაქვს. საბედნიეროდ, მწვრთნელთა ახალმა თაობამ, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად მოდის ძიუდოში, ეს ყველაფერი იცის, რადგან სულ ახლახან დაამთავრეს კარიერა და ნაკრებში ასპარეზობისას პირადად ხედავდნენ ამ პროცესს. მსოფლიოში ძიუდოს განვითარების სულ ხუთი სკოლაა. ძირითადი სამია – იაპონურ-აზიური, ევროპული, რომელიც მთლიანად ძალისმიერ, არანორმალურ დატვირთვებზეა აგებული, და ნაციონალურ ჭიდაობებზე დამყარებული სკოლა, რომელიც ამ ეტაპზე ყველაზე უკეთ მონღოლეთმა აითვისა. ოღონდ მათაც უკვე გაუჩერეს იმ ილეთების უმეტესობა – წელში შევარდნები, ნახევრად ბრუნები და სხვა. ძიუდოში თუ კიდევ გამოჩნდება რამე ახალი, იმასაც აკრძალავენ. არავინ დაუშვებს, რომ სტანდარტული სტილი დაირღვეს. აქ დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა – სამედიცინო სასწავლებელში სწავლობ კლასიკურ მედიცინას და არავინ დაუშვებს ხალხურ მიმართულებას. ამიტომ ძიუდოს წესებში როგორც წერია, ყველაფერი ისე თუ არ იქნება, რაღაც ფორმით აუცილებლად დაბლოკავენ. ამაზე მართლა ძალიან სერიოზული ანალიტიკოსები მუშაობენ, რომლებიც ებრძვიან სისტემას და არა რომელიმე ქვეყნის საჭიდაო სტილს. საბოლოოდ ეს სისტემა იქნება მარკეტინგულად გამართული სტრუქტურა – მათი სურვილია, ძიუდო სპორტის ელიტარულ სახეობად აქციონ, შედეგად კი ძიუდოისტი შეძლებული ადამიანიც იქნება, როგორც ჩოგბურთელი, კალათბურთელი, ბეისბოლისტი... მოკლედ, ძიუდოც მარკეტინგული განხრით მიდის ანუ თუ ამ სახეობის ვარსკვლავი ხარ, სერიოზული ფულიც უნდა გქონდეს და არა ისე, როგორც ადრე ხდებოდა, როცა ოლიმპიურ ან მსოფლიოს ჩემპიონს ქარხნის დირექტორად, რაიკომის მდივნად, პოლიციის უფროსად ან რამე თანამდებობაზე დანიშნავდნენ და თან ეტყოდნენ, მიდი, ფული მოიპარეო. ასე აღარ იქნება – სპორტსმენს ამ საქმიდან უნდა ჰქონდეს შემოსავალი, პროფესიონალი უნდა იყოს და არა ისე, თან ვარჯიშობდეს და თან თავის სარჩენად სადღაც მუშაობდეს.

ამ გზაზე, ამ ახალი ტენდენციებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ კი არა, ნახტომებით მიდიან. ამ პროცესს თუ არ ავყევით, მესამე რიგის ქვეყნად გადავიქცევით. თან არც ისეა საქმე, საქართველოზე ამოსდიოდეთ მზე და მთვარე და სულ იმას ლოცულობდნენ, ოღონდ საქართველო იყოს კარგად და ჩვენი თავი ჯანდაბასო. იქაც არის ელიტა, რომელსაც სურს, სულ თავისი ქვეყნები იყვნენ კარგად. შენც მიგიღებენ, თუ იმათთან ერთად იქნები. ესეც იმიტომ, რომ მაფიოზურ კლანად გაერთიანება არ დააბრალონ და თავი იმართლონ, არ ვართ კლანი და ამის დასტურად, აგერ ეს ქვეყანაც გამოდგება, რომელსაც ხელმძღვანელობაში წარმომადგენელი არ ჰყავს, მაგრამ არავინ ჩაგრავსო. ჩვენი მიზანია, ვიდრე უფროსობაში არავინ გვყავს, ამ წრეში მოვხვდეთ.

> **ამ პროცესს თუ არ ავყევით, მესამე რიგის ქვეყნად გადავიქცევით. თან არც ისეა საქმე, საქართველოზე ამოსდიოდეთ მზე და მთვარე და სულ იმას ლოცულობდნენ, ოღონდ საქართველო იყოს კარგად და ჩვენი თავი ჯანდაბასო**


ვლადიმერ ნუცუბიძე

**- ახალ სტილზე უკეთ გადაწყობის მიზნით სამომავლოდ მჭიდრო კონტაქტები იგეგმება ძიუდოს აზიურ კავშირთან. უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამაზე...**

- მსოფლიოს პირველობაზე მათთან უკვე გაფორმდა ერთგვარი კომუნიკე, რომლის თანახმადაც მაის-ივნისში, ჭაბუკთა და ახალგაზრდების ევროპის პირველობის წინ საქართველოში ერთობლივ შეკრებაზე ჩამოვლენ უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, ირანის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ასაკობრივი გუნდები, რომლებსაც ჩვენებიც დაემატებიან. ახალგაზრდებთან და ჭაბუკებთან ერთად ისინი 12-წლიანთა გუნდებსაც ჩამოიყვანენ – მოგეხსენებათ, ეს ასაკი ჩვენთვის პრიორიტეტულია, რადგან მათ უწევთ 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობა. ამიტომ ჩამომსვლელ სტუმრებს საგანგებოდ შევუთანხმდით, რომ 12-წლიანთა გუნდებსაც ჩამოიყვანენ. ეს შეკრება ყველა მათგანს უკვე უზის თავის კალენდარში, მსოფლიოს წინ კი ანალოგიური ვარჯიში უკვე აზიაში ჩატარდება, ოღონდ ახალგაზრდებისა და ჭაბუკებისა იქ უკვე ცალ-ცალკე გაიმართება – ერთი ყაზახეთში, მეორე – უზბეკეთში. რომელი რომელს უმასპინძლებს, ამაზე თვითონ შეთანხმდებიან ერთმანეთში.

**- გასაგებია, რომ აზია იქაური სტილის გამო აარჩიეთ, თუმცა გასაკვირია – რატომ შუა აზია და არა იაპონია-კორეა?**

- მხოლოდ იმიტომ, რომ წლეულს გამართულ აზიის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ თამაშებზე საერთო გუნდური მაჩვენებლებით პირველზე გავიდა უზბეკეთი, მეორეზე – ყაზახეთი, მესამეზე – ყირგიზეთი. იაპონია და კორეა სამეულშიც ვერ შევიდნენ. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რამდენად წარმატებულია შუააზიელთა სკოლა ბავშვთა ასაკში. არადა, ეს მოზარდები არსად არ დაიკარგებიან, ხვალ-ზეგ დიდ სპორტში გამოჩნდებიან და დღეს თუ იაპონურ-კორეული სკოლის ჰეგემონიაა, ხვალ მაგათი იქნება, რადგან ცვლილებებს დროულად აუღეს ალღო. მათ რეფორმები ბავშვებიდან დაიწყეს და

>> მე-12 გვერდზე



2011 წლის საუკეთესონი

# შიდა ქართლის რჩეული ხინჩეგაშვილია

2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის, გუნდისა და მწვრთნელის გამოსავლენ გამოკითხვას გაზეთ „ლელოს" და სპორტის სამინისტროს ვებგვერდის საკორესპონდენტო პუნქტი შიდა ქართლში მესამე წელიწადია ატარებს. ამჯერად გამოკითხვა გასცდა ქ. გორის ფარგლებს და მთლიანად მოიცვა შიდა ქართლი. თითოეულ გამოკითხულს უნდა დაესახელებინა სამ-სამი კანდიდატი ნომინაციაში. პირველს ენიჭებოდა სამი, მეორეს - ორი და მესამეს - ერთი ქულა.

### სპორტსმენთა ათეული

1. ლადო ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
2. ბექა ლვინიაშვილი (ძიუდო)
3. გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა)
4. გიორგი ნოზაძე (სამბო)
5. რომან ახალკაცი (ფეხბურთი)
6. კახა მამულაშვილი (სამბო)
7. ამირან პაპინაშვილი (ძიუდო)
8. გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
9. ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო)
10. ალეკო ლურსმანაშვილი (კრივი)

### გუნდი

1. გორის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი
2. შიდა ქართლის ძიუდოისტთა გუნდი
3. „დილა" გორი
4. შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის გუნდი
5. შიდა ქართლის მოკრივეთა გუნდი
6. ხაშურის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი
7. ხაშურის „ივერია"
8. გორის მოჭადრაკეთა გუნდი
9. კასპის სამბისტთა გუნდი
10. ქარელის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი

### მწვრთნელი

1. ნუგზარ სხირელი (თავისუფალი ჭიდაობა)
2. ანზორ თენაძე (ძიუდო)
3. გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო)
4. ავთანდილ შოშიაშვილი (კრივი)
5. ნუგზარ მამულაშვილი (სამბო)
6. ნიკო ბიბილაშვილი (ძიუდო)
7. გია კვინიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა)
8. ოთარ დოლიძე (ჭადრაკი)
9. რამაზ სოლოლაშვილი (ფეხბურთი)
10. ირბეგ ჯიოშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)

**ვასილ ბალახაძე**
შიდა ქართლიდან


ლადო ხინჩეგაშვილი

კრივი

# ცოტა საგზური და ბევრი მაძიებელი

ქართველმა მოკრივეებმა შარშან ევროპის ჩემპიონატზე სამი ბრინჯაოს მედალი (**ზაალ კვაჭატაძე** - 69 კგ, **ჯაბა ხოსიტაშვილი** - 75, **მიხეილ ბახტიძე** - +91) მოიპოვეს, რაც საიმისო საფუძველს იძლეოდა, რომ ჩვენი სპორტსმენები მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონის ოლიმპიადის 2-3 ლიცენზიისთვის იბრძოლებდნენ. სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზით ჩვენებურები კი ბაქოში უსაგზუროდ დარჩნენ.

რა პერსპექტივა გვაქვს წლეულს? - ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, კრივის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დელეგატი, ევროპის კრივის კონფედერაციის ალმასკომისა და მსაჯთა კომისიის წევრი **ვლადიმერ ახალკაცი:**

- წინა წლებთან შედარებით ამჯერად ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება საკმაოდ გართულებულია. კვოტები გადანაწილდა კონტინენტების მიხედვით. ევროპას 80 საგზური ერგო, ანუ თითოეულ წონაში - რვა-რვა. აქედან ექვსი ლიცენზია ბრიტანელებს გადაეცათ, როგორც თამაშების მასპინძლებს. 74-დან 58 საგზური ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდა. დარჩა - 26. მათგან 5 ლიცენზია 49 კილოგრამ წონით კატეგორიაში, 3 - 52-ში, 4 - 56-ში, 4 - 60-ში, 1 - 64-ში, 2 - 69-ში, 1 - 75-ში, 3 - 81-ში, 1 - 91-ში და 2 მძიმე წონაში. ამ ციფრებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა რთული იქნება ბრიტანეთის დედაქალაქში მოხვედრა. ბოლო საგზურების მფლობელები კი სტამბოლში (შესაძლოა, ტრაბზონში) 13-21 აპრილს გაირკვევა. არადა, მაძიებელი საკმაოდ ბევრია. სალიცენზიო ტურნირისთვის ქართველი მოკრივეები ინდივიდუალურად უკვე ემზადებიან. 20 იანვარს ნაკრები მთავარი მწვრთნელის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ბაკურიანს მიაშურებს. 8-21 თებერვალს ჩვენები სოფიაში ბულგარელებთან ერთად გაივლიან საწვრთნელ შეკრებას და იქვე სტრანჯას საერთაშორისო ტურნირშიც გამოცდიან ძალებს. მარტის პირველ რიცხვებში აზერბაიჯანელებთან ერთად იგეგმება საწვრთნელი შეკრება და შემდეგ ბაქოს აბრეშუმის გზის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა. მარტის ბოლო დეკადაში ქართველი მოკრივეები ჩეხეთის ტურნირზეც გამოვლენ. პირველიდან 13 აპრილამდე სტამბოლში მასპინძლებთან ერთად ვივარჯიშებთ და სალიცენზიო ტურნირში ჩავებმებით.

**- შეკრებაზე ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრება?**

- აუცილებლად. შეკრებებზეც და სალიცენზიო ტურნირშიც ათივე მოკრივე მიიღებს მონაწილეობას. მართალია, ჩვენ ორ წონით კატეგორიაში ვვარაუდობთ ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას, მაგრამ არ არის გამორიცხული, ბიჭებმა სხვა წონებში უკეთ იასპარეზონ. ამგვარ შეჯიბრებებში ხომ ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებასთან ერთად უდიდეს როლს ფსიქოლოგიური მომზადებაც თამაშობს. ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მოკრივეები და მათი მწვრთნელები ყველაფერს ილონებენ საიმისოდ, რომ ლონდონის ოლიმპიადამ უჩვენოდ არ ჩაიაროს.

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილეს ბაბუა ალუდაურს მამის გარდაცვალების გამო.**

# ქართული სპორტი

## ძიუდო

# რეფორმების გზაზე

« მე-11 გვერდიდან

არა დიდებიდან. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ საკუთარ თავში თუ ჩავიკეტეთ და იმაზე ვილაპარაკეთ, რომ ქართულ სტილს ებრძვიან, თავსაც დავილუპავთ და ეს იმ ხალხის შეურაცხყოფაც იქნება, რომლებმაც ქართული ძიუდოს ისტორია შექმნეს. თან ძიუდო თუ სულ სხვა სახეობა გახდა, ჩვენ კი ისევ ძველი ვიჭიდავეთ, არაფერი გამოგვივა. ამის მაგალითი იგივე ბექა ღვინიაშვილია, რომელმაც ჭაბუკებში ძალიან კარგად იასპარეზა, მაგრამ ახალგაზრდებში ცოტა გაუჭირდა. ის მიჩვეული იყო, რომ მივიდოდა, ხელს მოჰკიდებდა, დააგდებდა და გაჭყლეტდა, მაგრამ მსოფლიოზე გერმანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონთან გაოგნდა – 2-3 წუთი ჩავლება ვერ აუღო, ხელი ვერ მოჰკიდა მეტოქეს. რამდენი ჩაავლო, იმდენი დაუძვრა.

**- ახალი სტილის დანერგვა რამდენად წარმატებით მოხდება რეგიონებში, საამისოდ ხომ იქაური მწვრთნელების გადამზადებაცაა საჭირო, თორემ მარტო ნაკრებში ვარჯიში საქმეს ვერ უშველის.**

- ეს მართლაც აუცილებელია და საამისოდ ჩაუტარდებათ თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები. თბილისის მსოფლიოს თასის წინ მსაჯებისა და მწვრთნელებისთვის იგეგმება სამდღიანი სემინარი. მოწვეული იქნება საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი სპორტული დირექტორი, რომელიც სწორედ ჩავლებებსა და ახალ სტილზე ჩაატარებს მეცადინეობებს. სემინარს მთლიანად ჩვენი ფედერაცია დააფინანსებს, მწვრთნელ-მსაჯებისთვის კი უფასო იქნება. მეცადინეობებს ვიდეოზე ჩავიწერთ და შინ გავატანთ, რათა ადგილზეც იმეცადინონ და ბავშვებსაც აჩვენონ. ამასთან, ასაკობრივი გუნდების ყველა მწვრთნელი რამდენიმე დღით წავა სხვადასხვა რეგიონში და საჩვენებელ ვარჯიშებს ჩაუტარებენ როგორც სპორტსმენებს, ისე – მწვრთნელებს. ასაკობრივი გუნდების ხელმძღვანელებს რეგიონებში მსგავსი სწავლებების გამართვა იანვრიდან ოფიციალურად დაევალებათ და მათი საქმე მხოლოდ ნაკრებების ვარჯიში აღარ იქნება. მათ პროგრამებიც უნდა მოუმზადონ რეგიონებში მომუშავე კოლეგებს, როგორი დონის ბავშვი უნდა მოუყვანონ ნაკრებში. ელემენტარული ლოგიკაა – ვინც ცვლას გიგზავნის, მასაც მიეცი ის, რასაც მისგან ითხოვ ანუ როგორ მოგიმზადოს ბავშვი.

**- ფედერაციამ რეგიონებში უკვე დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური თუ საკადრო რესურსის აღნუსხვა. ამან რა სურათი მოგცათ?**

- სამწუხაროდ, კიმონოების კატასტროფული დეფიციტია, ასევე – ტატამებისაც, რომელიც თავის დროზე ბევრი კი შემოიტანეს, მაგრამ დააცალკევეს და ასე დაარიგეს, რათა ბევრი დარბაზი მოეცვათ. ამიტომ უმეტესად ნახევარ-ნახევარი ტატამები აგია, რაც მხოლოდ იმაში წაადგებათ, რომ ბავშვი იატაკზე არ დაეცეს, თორემ იქ ილეთის სწავლა შეუძლებელია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამინისტროსთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, ნამდვილად არაა სასწაულ ფასებზე ლაპარაკი. ფედერაციის პოზიცია ასეთია – შეჯიბრებებზე თასების დარიგებას აჯობებს, კიმონოები ვუყიდოთ და იმით დავასაჩუქროთ. ოღონდ აქ კანონმდებლობიდან გამომდინარე ორგანიზაციული სირთულეა – უცებ ვერ გავარდები და ამდენ კიმონოს ასე ერთად ვერ იყიდი. ეს პრობლემა რალაცნაირად უნდა მოგვარდეს. ყოველ შემთხვევაში, მოვითხოვეთ, რომ ეს თანხა ბიუჯეტში ჩაგვიდონ და ვიმედოვნებთ, დაგვთანხმდებიან, თუმცა ამასაც ტენდერები დასჭირდება.

შემოწმების შედეგად 152 მწვრთნელი აღირიცხა, თუმცა იმათგან სათანადო განათლებით დაახლოებით 40-მდეა ანუ, ვისაც ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტი დაუმთავრებია, დანარჩენი კი სპეციალისტი არაა. ისინი ვეტერანი ძიუდოისტები არიან და ბავშვების მომზადება ზუსტად იმდენად იციან, რაც თავიანთი მწვრთნელებისგან ახსოვთ. თუ ვინმე ნაკრებში იყო, დამატებით კიდევ იციან რალაც, მაგრამ ესეც საშეკრებო პროგრამაა, ყოველდღიური მზადება კი არ იციან, ტაქტიკურ მზადებაზე წარმოდგენა არ აქვთ.

**- როგორც ცნობილია, წლეულს შიდა ტურნირების რაოდენობაც ბევრად იზრდება, შემოდის სარეიტინგო შეჯიბრებები და სპორტსმენთა ანაზღაურების სისტემაც იცვლება.**

- წლეულს ჩატარდება საქართველოს 4 პირველობა და მასთან გათანაბრებული 11 შიდა სარეიტინგო ტურნირი. ამას ემატება ორი საერთაშორისო შეჯიბრება – თბილისის მსოფლიოს თასი და „თბილისი-ოუფენი", რომელშიც უფროსთა გარდა, ყველა ასაკი მიიღებს მონაწილეობას, 8-დან 20 წლამდე. მსგავსი ტურნირი დაახლოებით 10 წლის წინ 3-ჯერ გავმართეთ, ოღონდ — მხოლოდ 17 წლამდე. რამდენიმე დღევანდელ სახელოვან ფალავანს უჭიდავია იმ შეჯიბრებაზე, მაგალითად, ფრანგ დმიტრი დრაჟინს. ამ ტურნირის აღდგენა დიდი შენაძენი იქნება ჩვენთვის და გვინდა, ის ტრადიციული გავხადოთ.

ამის გარდა, შეკრებების რაოდენობა მაქსიმალურად გაიზარდა – თითო ასაკობრივ ნაკრებს უწევს 4 შეკრება, ხოლო იმ 17 შეჯიბრებას კიდევ 28 სახელობითი და ხსოვნის ტურნირი ემატება. პრაქტიკულად, არც ერთი შაბათ-კვირა არაა უშეჯიბროდ. არადა, მსურველი ბევრად მეტია და ვეუბნებით, რომ კვირის სამუშაო დღეებიც გამოიყენონ, მაინცდამაინც უქმეებს ნუ უპირდაპირებენ. ფედერაცია არავის მისცემს ტურნირის გამართვის უფლებას, თუ კომისარი არ იქნება მივლენილი და არ ჩამოიტანს დასკვნას, რა დონეზე ჩატარდა შეჯიბრება და გაისად მიეცეს თუ არა მათ ისევ გამართვის უფლება.

სამწუხაროდ, სერიოზული პრობლემაა რეგიონულ ფედერაციებთან ურთიერთობაც. ზოგიერთი მათგანი კარგად მუშაობს, ზოგი კი მხოლოდ ფორმალურად არსებობს და მათი მუშაობა ნულზეა დასული. გვინდა, დავეხმაროთ მათ, რომ გამოცოცხლდნენ. ამასთან, აუცილებლად გადავალთ საკონტრაქტო ხელშეკრულებაზე, რაც აქამდე არ ხდებოდა. პროგრამულ დაფინანსებაში ვითვალისწინებთ ფედერაციის თანამშრომელთა ხელფასებსაც.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი



ანა შარევიჩი (მარცხნივ) და სოფიკო გურამიშვილი

# ქულიანი სხვაობა შეინარჩუნა

იტალიურ რეჯო ემილიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-7 ტურის პარტიები გათამაშდა. **სოფიკო გურამიშვილმა**, რომელიც თეთრებით იტალიელ მარიაგრაცია დე როსას ხვდებოდა, 42-ე სვლაზე მეექვსე გამარჯვება იზეიმა. ამდენივე სვლა დასჭირდა ბელარუს ანა შარევიჩს მასპინძელ მარიანა კიერიჩის დასამარცხებლად. მარინა ბრუნელომ (იტალია) ივა ვიდენოვას (ბულგარეთი) სძლია. გუშინდელი ორთაბრძოლების შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად კვლავ გურამიშვილი ლიდერობს. შარევიჩი მას ქულით ჩამორჩება. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ბრუნელო-4, დე როსა-3, ვიდენოვა, კიერიჩი-1,5-1,5 ქულა.

ვაჟთა ტურნირში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა, უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა - იგი შავი ფიგურებით ნიკიტა ვიტიუგოვს (რუსეთი) 31-ე სვლაზე დანებდა. დანარჩენი ორი პარტია ყაიმით დამთავრდა: დაზავდნენ - ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) - ანიშ გირი (ჰოლანდია), ფაბიანო კარუანა (იტალია) - ჰიკარუ ნაკამურა (აშშ).

შვიდი ტურის შემდეგ აქ ასეთი მდგომარეობაა: ნაკამურა - 15, მოროზევიჩი - 11, გირი - 9, კარუანა, ივანჩუკი - 8-8, ვიტიუგოვი - 5 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: **ქალები.** კიერიჩი - გურამიშვილი, დე როსა - ვიდენოვა, ბრუნელო - შარევიჩი; **ვაჟები.** გირი - ვიტიუგოვი, ივანჩუკი - კარუანა, ნაკამურა - მოროზევიჩი.

**ვაჟა დანელია**

# შერატონი ელიტას უმასპინძლებს

### თბილისში უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ტურნირი გაიმართება 40.000 დოლარის საპრიზო ფონდით

პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივითა და ორგანიზებით, 2012 წლის 17-22 თებერვალს სასტუმრო „შერატონში" სწრაფ ჭადრაკში პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის თასი გათამაშდება, რომლის მონაწილენიც 2009-2010 და 2010-2011 წლების შედეგებით შეირჩა. ეს იქნება ქალთა ჭადრაკის ისტორიაში უძლიერესი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს სამი ჩემპიონი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთი გამარჯვებული და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონები, მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგის პირველი ათეულის წარმომადგენლები იბრძოლებენ მთავარი პრიზისთვის. ესენი არიან: ხუთგზის მსოფლიოს და საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** (2500), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (2535), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები - **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2448, რუსეთი, 2010 წელს მან საჭადრაკო ოლიმპიადაზეც მიაღწია წარმატებას) და **ანტოანეტა სტეფანოვა** (2523, ბულგარეთი), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - **კატერინა ლახნო** (2557, უკრაინა), **პია კრამლინგი** (2491, შვედეთი), **ტატიანა კოსინცევა** (2513, რუსეთი, 2010 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი), ევროპის მრავალგზის პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა** (2537, რუსეთი, 2010 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი), **ვიქტორია ჩმილიტე** (2503, ლიტვა, 2011 წელს თბილისში მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა), **ანა მუზიჩუკი** (2580, სლოვენია, 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი), **ანა ზატონსკიხი** (2506, აშშ, ამერიკის ჩემპიონი) და **ზეინაბ მამედიაროვა** (2132, აზერბაიჯანი).

მოჭადარკეებს თითოეული პარტიისთვის 20-20 წუთი მიეცემათ ყოველ სვლაზე 5-5 წამის დამატებით. საპრიზო ფონდია 40 000 ამერიკული დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10.000 დოლარს დაიმსახურებს.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

# სანიკიძემ ვირტუსს კიდევ ერთხელ მოაგებინა

**ვიქტორ სანიკიძემ** იტალიის ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა ეფექტურად: „მონფერატოსთან" „მსუყე" ორმაგი დუბლი მიითვალა - 19 ქულა და 14 მოხსნა. ვიქტორს არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 9-დან 5 საჯარიმო. გარდა ამისა, 31 წუთში ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 2 დაფარება იყო. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით კი ვიქტორს მოედანზე ბადალი არ ჰყავდა - 34.

„ვირტუსი"-"მონფერატოს" მატჩის ბოლო მეოთხედში დრამა გათამაშდა. საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე მონფერატოელები 11 ქულით დაწინაურდნენ (57:46). სწორედ ამის შემდეგ დააბრუნა მწვრთნელმა სანიკიძე მოედანზე და სამ წუთში სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა. სირენამდე წუთით ადრე ვიქტორმა ერთმანეთის მიყოლებით ორი ორქულიანი ჩააგდო და „ვირტუსის" უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა (64:60). ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა - მას მერე თამაშიდან ქულა არავის ჩაუგდია, მონფერატოელები განზრახ ჯარიმების მიღებაზე გადავიდნენ, თუმცა ვერც ამან უშველა - „ვირტუსმა" 70:62 მოიგო.

■ ■ ■

გუშინვე იტალიის ჩემპიონატში **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარიმ" სტუმრად „ბიელა" დაამარცხა - 78:73. მეტრეველმა 5 წუთი ითამაშა და მოედანი ქულა-მოხსნის გარეშე დატოვა. **გიორგი შერმადინისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" ისვენებდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## წიგნის თარო




# ვისაც ბრძენთა თამაშის ხელოვნება იზიდავს

ჭადრაკში სადებიუტო სტრატეგია ერთ-ერთი ყველაზე ძნელად ასათვისებელია, ამიტომ მას უდიდესი ყურადღება ექცევა. საერთოდ, დებიუტის მიზანია ძალთა სწრაფი მობილიზება და ფიგურების ხელსაყრელ უჯრებზე განლაგება, მათთვის ისეთი ხაზების შერჩევა, რომელთა მეშვეობითაც სრულად გამოავლენენ შესაძლებლობებს და ჰარმონიულ ურთიერთმოქმედებას შეძლებენ. ღია დებიუტების ათვისებით მოჭადრაკე ბრძენთა თამაშის ძირითად ტაქტიკურ და სტრატეგიულ ხერხებსა და კანონებს ეუფლება, სწავლობს მეფეზე შეტევას და დაცვას, ვარიანტების გათვლას, იგებს ტემპის მნიშვნელობას. დღეს, როცა მსოფლიოში უამრავი ტურნირი იმართება და ათასობით პარტია თამაშდება, არა მარტო ახალგაზრდა, არამედ გამოცდილ მოჭადრაკეებსაც უჭირთ ზღვა ინფორმაციაში გზის გაგნება, მით უმეტეს, რომ ქართულ ენაზე, **ედუარდ გუფელდის** წიგნს („ჭადრაკში დახელოვნების სკოლა") თუ არ ჩავთვლით, სადებიუტო თემებზე აქამდე მნიშვნელოვანი არაფერი გამოცემულა. და აი, საახალწლოდ მოჭადრაკეებმა და ამ დარგის სპეციალისტებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს - სამზეოზე გამოვიდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **გიორგი მაჭარაშვილის** 580-გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი - „ღია საჭადრაკო დებიუტები" (I ნაწილი). მასში მოყვანილია ჭადრაკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში გათამაშებული 1155 მნიშვნელოვანი პარტია და 121 მინიატიურა. ყველა პარტია კომენტირებულია და სრულად არის მოყვანილი, რადგან დებიუტის საფუძვლიანად შესწავლისთვის სასურველია, მოჭადრაკე გაეცნოს შუა თამაშისა და დაბოლოების ტიპურ პოზიციებს. მათში ჩართულია თანამედროვე საჭადრაკო თეორიისთვის მნიშვნელოვანი და დებიუტის შესაფასებლად აუცილებელი ვარიანტები.

ამგვარი ნაშრომის შექმნის აუცილებლობამდე ავტორი მრავალწლიანმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მიიყვანა – გიორგი მაჭარაშვილი ხომ დამფრთიანებელი გახლავთ ისეთი სახელოვანი დიდოსტატებისა, როგორებიც არიან 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები – **ნანა ძაგნიძე** და **მაია ლომინეიშვილი,** ასევე, **ქეთევან კახიანი** (ამჟამად გერმანიის სპორტულ ღირსებას იცავს), **სოფიო გვეტაძე,** თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები – **ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამიშვილი** და **მარიამ დანელია.** ამჟამად თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ჭადრაკის სკოლაში უკვალავს გზას მოზარდებს.

წიგნი (რედაქტორი **გელა ჩადუნაშვილი**), რომელიც ჭადრაკის ცნობილი პედაგოგების – **შოთა ინწკირველისა** და **თეიმურაზ ლომაიას** ნათელ ხსოვნას ეძღვნება, ექვსწლიანი რუდუნების შედეგია და როგორც დამწყები, ასევე, კვალიფიციური მოჭადრაკეებისა და მწვრთნელებისთვისაა განკუთვნილი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

# ატლანტა 100, ზაზა 3000

გუშინ მოგახსენეთ, რომ **ზაზა ფაჩულიას** „მაიამი ჰიტთან" მატჩამდე 2999 მოხსნა ჰქონდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მაიამიში ქართველმა ცენტრმა პირველივე პერიოდში დაამრგვალა - თამაშში მეოთხედის დასრულებამდე 5:16 წუთით ადრე ჩაერთო, ხოლო 3:49-ით ადრე ორქულიანი აცილა, თუმცა მეტოქის ფარიდან ასხლეტილი ბურთი არავის დაანება, რაც NBA-ში მისთვის 3000-ე მოხსნა იყო. აქვე გეტყვით, რომ ზაზას ანგარიშზე 2003 წლიდან დღემდე (NBA-ში) 3962 ქულაა. მისი წუთობრივი მონაგარი კი 11369-ს უდრის.

„მაიამისთან" დაპირისპირებაში ფაჩულიამ სეზონში ყველაზე ცოტა, 9 წუთი ითამაშა, თუმცა ამის გამო მწვრთნელის, **ლარი დრიუს** გასაკრიტიკებლად ენა ვერ მოგვიბრუნდება, რადგან მისმა გუნდმა აღმოსავლეთის კონფერენციის ფავორიტ „მაიამის" მისსავე მოედანზე მოუგო. ბატონ დრიუს ვერც ზაზასადმი უნდობლობას დავწამებთ, რადგან ფაჩულია მატჩის გადამწყვეტ მომენტში, მეოთხე პერიოდის დასაწყისში მოედანზე შეიყვანა. ქართველს თავი არ შეურცხვენია - სირენამდე 9:57 წუთით ადრე ორქულიანი ჩააგდო, ერთ წუთში ორი საჯარიმოც მიაყოლა და „ატლანტა" 4 ქულის სხვაობით დააწინაურა (76:72). ფარქვეშ კარგად მოთამაშე ფაჩულიას „ხმა" უკანახაზელებმაც აუწყვეს - **ტრეისი მაკგრეიდიმ** და **ჯანერო პარგომ** ფლორიდელები სამქულიანებით დაბომბეს და სირენამდე 7 წუთით ადრე „ქორები" წინ გაიჭრნენ - 82:74. მიმდინარე სეზონში სტაბილურობით გამორჩეულმა ატლანტელებმა უპირატესობის შენარჩუნება მოახერხეს, მაიამელმა ვარსკვლავებმა, **დუეინ უეიდმა** და **ლებრონ ჯეიმსმა** კი შეტევაში ვერაფერი გააწყვეს და „ატლანტა ჰოქსმა" 100:92 გაიმარჯვა.

სხვათა შორის, მიმდინარე ჩემპიონატში ეს იყო „მაიამის" ყველაზე ქულამწირი მატჩი. „ატლანტამ" კი ხუთიდან ოთხ შემთხვევაში მიაღწია 100-ქულიან[illegible] მოიგო. ასე რომ, „ჰოქსი" 4 გამარჯვებით აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილზეა. პირველია „მაიამი", რომელსაც ექვსიდან 5 შეხვედრა აქვს მოგებული.

დღეს გამთენიისას „ატლანტა" ჩიკაგოს სტუმრობდა.


ბატლერი, ფაჩულია და უეიდი

| მაიამი–ატლანტა | | 92:100 |
|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 8:51 წუთი, 6 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 3 მოხსნა, 4 ფოლი, 1 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| | **I პერიოდი** | |
| 5:16 | ზაზამ უილიამსი შეცვალა | 6-14 |
| 3:49 | ორქულიანი: არაზუსტი | 8-18 |
| 3:48 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 8-18 |
| 3:46 | ორქულიანი: არაზუსტი | 8-18 |
| 3:45 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 | 8-18 |
| 3:43 | ორქულიანი: 2ქ | 10-18 |
| 2:54 | ფოლი: 1 | 12-20 |
| 2:54 | შეცდომა: 1 | 12-20 |
| 1:47 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 | 14-20 |
| 1:23 | ფოლი: 2 | 17-20 |
| 0:52 | ორქულიანი: არაზუსტი | 17-21 |
| | **II პერიოდი** | |
| 11:00 | ფოლი: 3 | 20-23 |
| 10:41 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა | 20-24 |
| | **IV პერიოდი** | |
| 10:51 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა | 70-71 |
| 9:57 | ორქულიანი: 4ქ | 72-71 |
| 9:55 | ტექნიკური შენიშვნა | 72-71 |
| 8:56 | საჯარიმოები: 2/2 (6ქ) | 76-72 |
| 8:36 | ფოლი: 4 | 76-72 |
| 8:36 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა | 76-72 |

ევრობასკეტი 2011. კულისებიდან

# გაქართველებული ლიტველი


ლიტველი მომღერალი ხელის აწევით გვესალმება

დღეს დავასრულებ 2011 წლის მთავარი მოვლენის, ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის კულისებმილმა ამბების თხრობას.

2 სექტემბერს საქართველოს ნაკრების ჯგუფში დასვენება იყო. ამიტომ ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს ეთნოტური მოგვიწყვეს. ორმა ქართველმა მედიელმა ავტობუსზე 10 წუთი დავაგვიანეთ, თუმცა 20 წუთის შემდეგ რუსი ჟურნალისტი მოვიდა - რადგან 14 საათი თქვეს, ე.ი. 14:30-მდე შემიძლია დავიგვიანოო. მაგრამ იქვე მიიღო შენიშვნა თანამემამულე კოლეგისგან: ლიტვაში ხარ, სადაც დაგვიანება არ უყვართო.

დავათვალიერეთ კლაიპედა, გავსინჯეთ ლიტვური ნაციონალური კერძი ცეპელინები, შუა ქუჩაში მოგვიხარშეს ადგილობრივი უალკოჰოლო ღვინო (რომელშიც ვაშლები და ფორთოხლის ნაჭრები ცურავდნენ), ბოლოს კი ლიტვური სიმღერები მოგვასმენინეს. ვისაც სურვილი ჰქონდა, ანსამბლის ხელმძღვანელი ასწავლიდა ცეკვებს, რომლებიც ძირითადად ქალისა და ვაჟის „დაჭერობანაზე" იყო აგებული. სამწუხაროდ, მუსიკოსთა ხელმძღვანელის სახელი აღარ მახსოვს. შეიძლება გაიკვირვოთ - რა მნიშვნელობა აქვს, გემახსოვრება თუ არაო. მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, რადგან იგი მომდევნო დღეებშიც არაერთხელ შემხვდა.

აი, მაგალითად: 3 სექტემბრის საღამოს, კლაიპედას ცენტრში, ანსამბლ „სუხიშვილების" კონცერტზე სხვა უცხოელებთან ერთად ზემოთ ნახსენები „ხელმძღვანელი" აქტიურად ჰყვებოდა მუსიკას. ვიდეოჩამწერით მივედი, გავახსენე ვინ ვიყავი და „სუხიშვილებზე" ისეთი აღფრთოვანებით ილაპარაკა, მაშინვე ვთქვი - რაც ლიტვაში ვარ, ასეთი რეპორტაჟი ჯერ არ მომიმზადებია-მეთქი. მაგრამ, ბედი არ გინდა?! - თურმე, ვიდეოჩამწერი ლიტველ მომღერალთან მისვლისას კი არ ჩამირთავს, არამედ გამომირთავს... მისი სიტყვები ვერ ჩავიწერე.

მესამედ „ხელმძღვანელს" 5 სექტემბერს შევხვდი: იმდენად მოხიბლულა ქართველებით, რომ ჩვენი ნაკრების თამაშზე მეორე რიგში ლუდით ხელში იჯდა, ზურგზე კი უზარმაზარი საქართველოს დროშა ჰქონდა მოხვეული.

იმ დღეს ემოციური ამპლიტუდა მეტად არამდგრადი იყო: ჯერ ბულგარეთთან წაგებამ იმედი გაგვიცრუა, ხოლო შემდეგ უკრაინამ ბელგია რომ დაამარცხა და ამ შედეგის წყალობით საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდა, კლაიპედას ქუჩებში ქართული ზეიმის დრო დადგა. უკრაინელები, ბულგარელები და ბელგიელები ქუდებს ეძებდნენ, რომ დაეხურათ და შინ გამგზავრებულიყვნენ. საქართველოს, სლოვენიასა და რუსეთს კი ვილნიუსში ქუდის მოხდით ელოდნენ.

■ ■ ■

დილის 8 საათზე მეგობარ ჟურნალისტთან ერთად კლაიპედა-ვილნიუსის ავტობუსში ჩავჯექი და ქართულ-ლიტვური პარალელების დროც მაშინ დადგა: გზა არაერთგან იყო გადაკეტილი, რის გამო დიდი წრის დარტყმაც მოგვიწია. ლიტვაშიც ენერგიულად შესდგომიან გზების რემონტს. თითქოს თბილისიდან დასავლეთსაქართველოსკენ მიმავალი ავტობუსი ყოფილიყოს, ჩვენმა „მერსედესმა" შუა გზაზე ერთ სასადილოსთან გააჩერა, თუმცა მალევე დაიძრა. მაინც ვერ მივხვდით, რა იყო ხუთწუთიანი შესვენების მიზანი.

ავტობუსის ფანჯრებიდან ერთ მხარეს გაიხედავდი და მწვანე მინდორს, მწვანე ტყესა და მწვანე ტბას დაინახავდი; მეორე მხარესაც ტყე, მინდორი და ტბა იყო. იქაც მწვანე... 31 დეკემბრის ნომერში დაგპირდით, ლიტვის დროშის მწვანე და წითელ ფერზე შემდეგ გეტყვით-მეთქი. უკვე მიხვდებოდით, რატომაა დროშაზე შუა, ჰორიზონტალური ზოლი მწვანე - ლიტვა მთლიანად მწვანე ქვეყანაა.

დროშაზე გამოსახული წითელი ფერი კი თავისუფლებისთვის ბრძოლებში დაღუპული გმირების სისხლს აღნიშნავს. ლიტველებსაც ბევრი უომიათ. ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება გრუნვალდთან მოუპოვებიათ - ჯვაროსანთა არმია დაუმარცხებიათ. ლიტვის ისტორიის გასაცნობად საუკეთესო საშუალება კუნძულზე მდებარე ტრაკაის ციხესიმაგრის დათვალიერებაა, სადაც მდიდარი მუზეუმია მოწყობილი. ტრაკაიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებები ჯერაც არ გამნელებია. თუმცა, ახლა ამ თემაზე წერა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ტრაკაიდან ვილნიუსში ვიწრო ქუჩით შევედით, რომლის სახელიც ციხესიმაგრისას ჰგავს, მაგრამ ქართულად უფრო უხერხულად გამოითქმის.




ტრაკაის ციხესიმაგრე

■ ■ ■

სექტემბერში ლიტვური დღიურების წერისას ცალკე სტატია მივუძღვენი დაკარგვას, მოედანზე ბურთის კი არა, ნივთების დაკარგვას. ერთს მობილური დარჩა ავტობუსში, მეორეს - კომპიუტერი დარბაზში, მესამეს - სავსე საფულე, მეოთხეს - ნიშნობის ბეჭედი... 31 დეკემბრის „ლელოდან" უნდა გახსოვდეთ, რომ თბილისის აეროპორტში კალათბურთელმა ბექა წივწივაძემ ბეჭედი დაკარგა. მას მეორე დღეს კლაიპედაში დაურეკეს და დაამშვიდეს - ვიპოვეთო. მოკლედ, ლიტვაში ყველამ ყველაფერი იპოვა, გარდა ერთისა, რომელმაც თავისი თავგადასავალი თბილისის აეროპორტში მომიყვა: ღამით ვილნიუსის ბარში ვიყავი. ტელეფონზე საქართველოდან დამირეკეს და გარეთ გამოვედი. საუბარი რომ დავამთავრე, ბარის კართან ორი ბიჭი ქართულად გამომელაპარაკა, მეც გამიხარდა თანამემამულეების დანახვა. შენობაში რომ შევბრუნდი, ტელეფონი ჯიბეში აღარ მქონდა... არადა, ერთი თვის ნაყიდი მქონდა, 600 დოლარი ღირდაო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

რაგბი

● უცხოური პრესა ქართულ რაგბიზე

# ქართველების ამბიციური გეგმები 2015 წლისთვის

2011 წლის დასრულებით ქართული რაგბის განვითარების ერთი, ოთხწლიანი ეტაპი დასრულდა. ამჯერად კი, ახალი წლის დადგომასთან ერთად, მორიგი, ახალი ოთხწლიანი ციკლი იწყება. განსხვავება წარსულსა და აწმყოს შორის ისაა, რომ ამიერიდან საქართველოს რაგბის კავშირს გაათმაგებული, რუტინული შრომა მართებს, რადგან ჩვენი გუნდისგან ყველა, მთელი მსოფლიოს სარაგბო სამყარო უფრო მეტს ელის და მოითხოვს, ვიდრე აქამდე.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის სამომავლო გეგმებს ეხება. ავტორს ის ძალიან ამბიციურად მოეჩვენა და სათაურიც ასე დაარქვა - „საქართველოს ამბიციური გეგმები 2015 წლისთვის". გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან:

„2011 წლის მსოფლიოს თასის შედეგებმა და ანალიზმა გვიჩვენა, რომ რაგბის მეორე დონის ქვეყნები აშკარა პროგრესს განიცდიან. მოსალოდნელია, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის ისინი კიდევ უფრო მოუმატებენ და, ვფიქრობთ, რომ ინგლისში ბობოლებს დიდ პრობლემებს შეუქმნიან. ამაში დარწმუნებულია საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძეც.

ნიჟარაძემ და მისმა გუნდმა მიზნად დაისახა ახალ ზელანდიაში ჯგუფურ ტურნირზე რუმინეთის დამარცხება და არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებებთან ღირსეულად თამაში. ეს მიზანი მიღწეულია. ახლა ამბიციურ ქართველებს ერთი გამარჯვება აღარ აკმაყოფილებთ და მომდევნო მსოფლიოს თასის გათამაშებაში მეოთხედფინალს უმიზნებენ. მათი ეს მისწრაფება, ვფიქრობთ, რეალისტურია.

*- იმედი მაქვს, რომ მომდევნო ოთხწლიანი ციკლის ბოლოს ჩვენ ძალიან ბევრს გავაოცებთ. ჩვენი მიზანი ნათელია. გვინდა პირველი დონის გუნდებს შორის დავიმკვიდროთ ადგილი. ჩვენ გვაქვს პოტენციალი, სრული მხარდაჭერა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. ასე რომ, ახლა სარაგბო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ - გვითხრა გიორგი ნიჟარაძემ.*

ინფრასტრუქტურას, ანუ სარაგბო სტადიონებს ქართველები იმ მიწაზე აშენებენ, რომელიც სახელმწიფომ უსასყიდლოდ გადასცა. ეს მოედნები შიდა ჩემპიონატის დონეს აამაღლებს. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ქართველ მორაგბეთა უმრავლესობა საფრანგეთის გუნდებში თამაშობს, საქართველოს რაგბის კავშირში ამაყობენ იმით, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასზე ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ცხრა მორაგბე ირიცხებოდა. (2007 წელს გამართულ მსოფლიოს თასზე ასეთი არავინ იყო.)

თუმცა, ნიჟარაძეს მიაჩნია, რომ უცხოეთში მოთამაშეების გადინებას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე პრობლემები:

*- საფრანგეთში ჩვენი მორაგბეების თამაში მათთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა იასპარეზონ მაღალი დონის რაგბიში. იქ ახლა გარკვეული პრობლემები გვექმნება, მაგრამ ჩვენ ვეძებთ ალტერნატივას. იმედი გვაქვს, რომ ერთ-ერთი იქნება დიდი ბრიტანეთი.*

*ორმა ქართველმა მორაგბემ უკვე ითამაშა ინგლისური „გლოსტერის" სათადარიგო გუნდში. წლეულს კი, ინგლისში კიდევ ხუთ ახალგაზრდა მორაგბეს გავაგზავნით.*

## რაოდენობა ხარისხს არ ნიშნავს

საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონებში გუნდების და შესაბამისად, მოთამაშეების რაოდენობის ზრდა ქართული რაგბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ოთხი წლის წინათ ოფიციალურად დარეგისტრირებული იყო 2 600 მორაგბე, დღეისთვის მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა და 5 289-ს მიაღწია. ნიჟარაძეს მიაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი ექვს-შვიდ წელიწადში ეს რიცხვი 30 000-მდე გაიზარდოს.

*- მოთამაშეების რაოდენობის ზრდა თავისთავად ვერ გადაწყვეტს პრობლემას. შეიძლება გუნდებისა და მოთამაშეების რაოდენობა გაზარდო, მაგრამ მთავარია, მათი ხარისხი ამაღლდეს. ამის გარეშე არაფერი გამოვა - დასძინა გიორგი ნიჟარაძემ*

აი, რატომ არის, რომ საქართველოს რაგბის კავშირში სერიოზულად მუშაობენ უცხოელი სპეციალისტების მიწვევაზე. რიჩი დიქსონი, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო, ახლა რაგბის კავშირის კონსულტანტია. მის გარდა ასევე იმუშავებენ მწვრთნელები ახალი ზელანდიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

*- ჩვენ მოვიწვიეთ უცხოელი სპეციალისტები საიმისოდ, რომ განათლებაში მოგვეხმარონ. ისინი არა მარტო ეროვნულ გუნდთან იმუშავებენ, არამედ დაგვეხმარებიან ჩვენი სარაგბო აკადემიის განვითარებაში, მისი მუშაობის დახვეწაში, რაც ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. - თქვა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა.*

გიორგი ნიჟარაძისა და მისი გუნდის დამსახურების შეუფასებლობა არ იქნება სწორი. საქართველოს რაგბის კავშირში ორმოცამდე თანამშრომელია. მართალია, მათი საქმიანობა ისეთი მყვირალა არ არის, როგორიც ინგლისის და ავსტრალიის რაგბის კავშირების, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიჟარაძის წვლილი რაგბის განვითარების საქმეში უფრო მეტია, ვიდრე მისი „ბობოლა" კოლეგების.

*- ეს სამუშაო, უწინარესად, უდიდესი პასუხისმგებლობაა. გაცილებით რთულია იყო მეორე დონის ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტი, ვიდრე პირველი დონის ქვეყნის რაგბის ხელმძღვანელი. ეს არის სამუშაო დღე-ღამეში 24 საათი, შვიდი დღე კვირაში, ყოველგვარი უქმეების გარეშე. თუ გინდათ რაიმე შედეგს მიაღწიოთ, სწორედ ამ რეჟიმში უნდა იმუშაოთ. მაგრამ ეს ჩვენი არჩევანია. ეს იმიტომ ავირჩიეთ, რომ რაგბი გვიყვარს. ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ნებისმიერი, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია შეხება რაგბისთან, სამუდამოდ იქ რჩება"* - დაასკვნა გიორგი ნიჟარაძემ.

## უდიდესი მსოფლიოს თასი

ერთი სიტყვით, ყოველივე ეს ღირს იმად, რომ მეორე დონის სარაგბო ქვეყნები ელიტურს დაუახლოვდნენ. საამისოდ კი აუცილებელია, რომ ამ გუნდებმა ერთმანეთთან ხშირად ითამაშონ. თებერვალში ამერიკაში გაიმართება მეორე დონის სარაგბო ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრა, სადაც სავარაუდოდ, ახალი ტურნირის ორგანიზებაზე შეთანხმდებიან და ის 2013 წელს გაიმართება.

ეს ცხადია, ამ ქვეყნების სათამაშო დონის ამაღლებას განუხრელად ხელს შეუწყობს. გიორგი ნიჟარაძეს მტკიცედ სჯერა, რომ საქართველოსა და სხვა მეორე დონის ქვეყნების გუნდებს, შეუძლიათ ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასი საუკეთესოდ აქციონ.

*- ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშება სრულიად სხვანაირი იქნება, არა მარტო სათამაშო დონით, არამედ სხვა დანარჩენითაც. ეს იქნება მსოფლიოს უდიდესი ჩემპიონატი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული - თქვა გიორგი ნიჟარაძემ.*



დიმიტრი ბასილაიას ლელო ინგლისის ნაკრებთან მატჩში

● ფოტოკონკურსი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო სააგენტო Getty Images-მა წლის საუკეთესო სპორტული ფოტოები გამოავლინა. ასეთი სააგენტოს 45 დაუგროვდა. მათ შორის ერთ-ერთი ეს ფოტოცაა, რომელზეც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების ერთ-ერთი ეპიზოდია გამოსახული.

საქართველოს ნაკრების მგეზავი **ლაშა ხმალაძე**, რომელიც იმ მატჩში ფულბეკის პოზიციაზე გაისარჯა, მეტოქის ფულბეკ **იულიან დუმიტრაშშს** ნახტომში, ჰაერში შეეჯახა. შედეგად რუმინელი შესაცვლელი შეიქნა. უკანა პლანზეა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე.**

● ექსპერიმენტი

# ეროტიკული ვიდეო შრომისუნარიანობას ზრდის

დიდბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევები და დაასაბუთეს, რომ ეროტიკული ან რაიმე აგრესიული ვიდეო კლიპის ნახვა მორაგბეებს შრომისუნარიანობას უზრდის.

გაზეთ „ტაიმსის" ცნობით, ბოლო ექსპერიმენტში 12 სპეციალისტი მონაწილეობდა. მათ დაადგინეს, რომ, როცა მორაგბეებს უჩვენეს მოკლე, ოთხწუთიანი კლიპი ეგზოტიკური ცეკვებით ან წესების გარეშე ბრძოლის ერთ-ერთი შერკინება, მათ ორგანიზმში ტესტოსტერონის შემცველობამ პიკს მიაღწია. გაზეთმა დასძინა, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგები გამოქვეყნდება ჟურნალში „ჰორმონები და მათი ქცევა".

აღსანიშნავია, რომ წვრთნის ამ მეთოდს უკვე იყენებს რამდენიმე გუნდი.

*„რაგბი, ცხადია, საბრძოლო სპორტის სახეობაა და აგრესიული განწყობის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია. მორაგბეების ნერწყვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეროტიკული და აგრესიული ვიდეო კლიპების ნახვის შემდეგ, მათ ორგანიზმში ტესტოსტერონის შემცველობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს კი მათი ფიზიკური კონდიციების ზრდას უწყობს ხელს."* - თქვა დიდი ბრიტანეთის სპორტის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა **სკოტ დრეველმა.**

*„ტესტოსტერონი კარგი ჰორმონია. ადამიანების უმრავლესობას სწორედ ისეთი რეაქცია აქვს, როგორც ექსპერიმენტმა გვიჩვენა. ამიტომ ისინი უკეთ მუშაობენ, რადგან თავს უკეთ გრძნობენ"* - თქვა ლონდონის საიმპერიო კოლეჯის მეცნიერმა **ქრისტიან კუკმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



msy.gov.ge

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კლასიკა ფილადელფიაში

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასული სათამაშო დღის მთავარი მოვლენა იყო "ზამთრის კლასიკა" (თამაში ღია ცის ქვეშ), რომელშიც "რეინჯერსმა" სტუმრად დაამარცხა "ფილადელფია". არენა "სიტიზენ ბანკ პარკი", რომელზეც თავის საშინაო მატჩებს ატარებს ბეისბოლის გუნდი "ფილადელფია ფილისი", პირთამდე სავსე იყო.

მიუხედავად იმისა, რონ პირველი ტაიმი ძალიან სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, გუნდებმა მაყურებელი ვერ გაახარეს გატანილი გოლებით. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის სტუმრების მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტს**, რომელმაც **კლოდ ჟირუსა** და **იარომირ იაგრის** შეტევები შეაჩერა. "ფილადელფიას" მეკარის, **ბობროვსკის** კართან ასეთი მომენტები არ ყოფილა.

მხოლოდ პირველი შესვენების შემდეგ მოიტანა შედეგები თავდამსხმელთა აქტიურობამ. მაყურებელმა ორწუთ-ნახევრის ინტერვალში სამი გოლი იხილა. მატჩის ეკვატორზე 20 წლის **ბრეიდენ შენმა NHL**-ში თავისი პირველი გოლი გაიტანა - ის მეკარის საჯარიმოსთან დაუდარაჯდა **მეტ კარლის** შორეულ გასროლას და ახლოდან გაუტანა ლუნდკვისტს.

სტუმრები ამ შოკიდან გამოსული არ იყვნენ, როცა მეორე შაიბა მიიღეს საკუთარ კარში. თავი შეგვახსენა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა კლოდ ჟირუმ, რომელმაც მეორე ცდიდან გამოიყენა ერთი ერთზე გასვლა.

მასპინძლებს დიდი ხანი არ შეუნარჩუნებიათ კომფორტული უპირატესობა, რადგან 30 წამის შემდეგ "რეინჯერების" თავდამსხმელმა **მაიკლ რუპმა** საშუალო მანძილიდან აილო მარჯვენა კუთხე. მესამე პერიოდის სტარტზე კი მანვე დუბლი შეასრულა, როცა მახვილი კუთხიდან გაუტანა ბობროვსკის – 2:2. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩამდე რუპის ანგარიშზე მხოლოდ ერთი შაიბა იყო.

კიდევ ცოტა ხნის შემდეგ სტუმრების ცენტრფორვარდს, **ბრედ რიჩარდსს** ისღა დარჩენოდა, ცარიელ კარში გაეგზავნა შაიბა **ბრენდონ დუბინსკის** პასის შემდეგ.

მატჩის ბოლოს მასპინძლებმა შტურმი მოაწყვეს და, ალბათ, გაათანაბრებდნენ ანგარიშს, რომ არა ჰენრიკ ლუნდკვისტი და მცველი **რაიან მაკდონაჰი**, რომელმაც საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ხელით შეაჩერა ცარიელი კარისკენ მიმავალი შაიბა. ამისთვის მსაჯმა ბულიტი დანიშნა "რეინჯერსის" კარში, რომელიც **დენი ბრიერმა** ვერ გამოიყენა. ფორვარდმა ლუნდკვისტს ფეხებშუა დაუპირა შაიბის გატარება, მაგრამ შვედმა გოლკიპერმა მოასწრო რეაგირება.

ასე რომ, "ფილადელფიამ" მეორედ წააგო "ზამთრის კლასიკა". 2010 წელს "მფრინავებს" "ბოსტონმა" აჯობა.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდი **სტივენ სტემკოსი** დაასახელა. ლიგის საუკეთესო სნაიპერმა სამ მატჩში ექვსი შაიბა გაიტანა და თავის გუნდს ყველა შეხვედრა მოაგებინა. 2008 წლის დრაფტის პირველი ნომრის ანგარიშზე ამჟამად 26 შაიბა მოდის.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" კაპიტანი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, რომლის მონაგარი ოთხ მატჩში ხუთ გოლსა და ორ შედეგიან პასს შეადგენდა. მან თავის გუნდს ოთხიდან სამ მატჩში მოაგებინა. ამჟამად რეგულარული ჩემპიონატის ორგზის საუკეთესო მოთამაშეს 31 ქულა (16+15) აქვს 37 მატჩში.

კვირის მესამე ვარსკვლავია "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკი**. მისმა გუნდმა გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. ამ თამაშებში კუიკი საშუალოდ 1.33 შაიბას უშვებდა.



ფილადელფია-რეინჯერსი

**ფილადელფია-რეინჯერსი 2:3**

0:0, 2:1, 0:2

**გოლები:** 1:0 შენი-1 (მ. კარლი-17), 2:0 კ. ჟირუ-18 (ტელბოტი-7, პარტნელი-18), 2:1 რუპი-2 (პრუსტი-6, ჯ. მიტჩელი-5), 2:2 რუპი-3 (პრუსტი-7, ჯ. მიტჩელი-6), 2:3 ბ. რიჩარდსი-14 (დუბინსკი-15, კელეპანი-16).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 3:2 (ო)**

0:0, 0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ზუბრუსი-11 (სიკორა-12), 0:2 კლარკსონი-14 (ზაიაცი-2, ტედენბი-5), 1:2 სპეცა-14 (ე. კარლსონი-31, ანდერსონი-4), 2:2 კონდრა-7 (კუბა-7), 3:2 ალფრედსონი-12 (ე. კარლსონი-32, სპეცა-26).

**ჩიკაგო-ედმონტონი 3:4**

1:0, 1:3, 1:1

**გოლები:** 1:0 ტეუვზი-22 (კარჩილო-9), 1:1 რ. სმიტი-15 (პორკოფი-14, ტ. პოლი-15), 1:2 ტ. პოლი-11 (ებერლე-24, პოტერი-11), 2:2 ბრუნეტი-9 (პიალმარსონი-6, პ. კეინი-27), 2:3 სატონი-2 (ებერლე-25, რ. სმიტი-17), 2:4 იგერი-3 (პეტრი-5, სემ განიე-12), 3:4 პეიესი-1 (ბიკელი-4, მეიერსი-5).

**ვანკუვერი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

1:0, 0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პანსენი-12 (პოჯსონი-13), 1:1 ფერეირო-3 (ქლოუ-16, კუტური-12), 1:2 მარლო-14 (ბრაუნი-4, პაველსკი-13), 2:2 პოჯსონი-9 (პამპუისი-15, ბიეკსა-19).

**ბულიტები გაიტანეს:** პანძუში (სან ხოსე).

**ლოს ანჯელ.-კოლორადო 1:2 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 დ. ბრაუნი-10 (კოპიტარი-25, მ. რიჩარდსი-10), 1:1 რ. ო'რაილი-10 (ქუინსი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** პეიდუკი (კოლორადო).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი* | 37 | 24 | 9 | 4 | 52 |
| 2. ბოსტონი* | 35 | 24 | 10 | 1 | 49 |
| 3. ფლორიდა* | 39 | 20 | 12 | 7 | 47 |
| 4. ფილადელფია | 37 | 22 | 11 | 4 | 48 |
| 5. პიტსბურგი | 38 | 21 | 13 | 4 | 46 |
| 6. ოტავა | 40 | 20 | 15 | 5 | 45 |
| 7. ნიუ ჯერსი | 38 | 21 | 15 | 2 | 44 |
| 8. ვინიპეგი | 38 | 19 | 14 | 5 | 43 |
| 9. ვაშინგტონი | 37 | 20 | 15 | 2 | 42 |
| 10. ტორონტო | 38 | 18 | 15 | 5 | 41 |
| 11. ბაფალო | 38 | 17 | 17 | 4 | 38 |
| 12. ტამპა ბეი | 37 | 17 | 17 | 3 | 37 |
| 13. მონრეალი | 39 | 14 | 18 | 7 | 35 |
| 14. აილენდერსი | 36 | 13 | 17 | 6 | 32 |
| 15. კაროლინა | 40 | 13 | 21 | 6 | 32 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 39 | 24 | 11 | 4 | 52 |
| 2. ვანკუვერი* | 40 | 24 | 13 | 3 | 51 |
| 3. ლოს ანჯელესი* | 40 | 19 | 14 | 7 | 45 |
| 4. დეტროიტი | 38 | 24 | 13 | 1 | 49 |
| 5. მინესოტა | 40 | 21 | 13 | 6 | 48 |
| 6. სტ. ლუისი | 38 | 21 | 12 | 5 | 47 |
| 7. ნეშვილი | 39 | 21 | 14 | 4 | 46 |
| 8. კოლორადო | 41 | 22 | 18 | 1 | 45 |
| 9. სან ხოსე | 35 | 20 | 11 | 4 | 44 |
| 10. დალასი | 37 | 21 | 15 | 1 | 43 |
| 11. ფინიქსი | 39 | 19 | 16 | 4 | 42 |
| 12. კალგარი | 40 | 18 | 17 | 5 | 41 |
| 13. ედმონტონი | 38 | 16 | 19 | 3 | 35 |
| 14. ანაჰაიმი | 37 | 10 | 21 | 6 | 26 |
| 15. კოლამბუსი | 38 | 10 | 23 | 5 | 25 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 46 (18+28) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 46 (10+36) |
| ფილ კესელი (ტორ) | 44 (21+23) |
| დანიელ სედინი (ვან) | 44 (17+27) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 43 (26+17) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 43 (15+28) |

| გოლები | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 26 |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 22 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 22 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 21 |
| ფილ კესელი (ტორ) | 21 |

| პასები | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 36 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 32 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 28 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 28 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 28 |

ფარიკაობა

# ლეგენდა გარდაიცვალა

ბრიტანეთის ფარიკაობის აკადემიის ინფორმაციით, 2012 წლის პირველ იანვარს, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ბრიტანელი მოფარიკავე **ბობ ანდერსონი**. მან სახელი გაითქვა ფილმში – "ვარსკვლავური ომები" საბრძოლო სცენების დადგმით.

ბობ ანდერსონი 1950 და 1953 წლებში ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა, 1952 წელს ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა, 50-იანი წლების შუიდან მოყოლებული 70-იანი წლების ბოლომდე ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელი იყო, შემდეგ რამდენიმე წელი კანადის ფარიკაობის ასოციაციის ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

ანდერსონს წარმატებული კარიერა ჰქონდა კინოინდუსტრიაში – ის საბრძოლო სცენების ერთ-ერთი ცნობილი დამდგმელი გახდა. "ვარსკვლავური ომებში" ფარიკაობის სცენები მისი მოგონილია და თავადაც მონაწილეობდა ამ ლეგენდარულ ფილმში. გარდა ამისა, ანალოგიური მისიით მიიწვიეს რამდენიმე ფილმში, მაგალითად, "ზოროს ნიღაბში", "ლეგენდა ზოროზე", "ბეჭდების მბრძანებლის" ტრილოგიაში...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ძონია-ალთაი | 2:1 |
| გინგამი-ბრესტი | 2:2 |

| ინგლისი | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| უიგანი-სანდერლენდი | 1:4 |
| მანჩესტერ სიტი-ლივერპული | 3:0 |

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| ბრისტოლი-მილუოლი | 1:0 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ბეთი-ნიუპორტი | 3:2 |

**ესპანეთის თასი**

| 1/4 ფინალი. I მატჩები | |
|---|---|
| ალბასეტე-ბილბაო | 0:0 |
| ალკორკონი-ლევანტე | 2:1 |
| მირანდესი-რასინგი | 2:0 |
| რეალი-მალაგა | 3:2 |

**პორტუგალია**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| გიმარაეში-ბენფიკა | 1:4 |
| პორტიმონენსე-პენაფიელი | 0:1 |
| ნასიონალი-ბრაგა | 1:2 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პანიონიოსი-ასტერასი | 2:0 |
| იანინა-ოფი | 0:0 |
| აეკ-დოქსა | 0:0 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ქაისერი-ბურსა | 0:2 |
| შივასი-ქარაბუქი | 3:0 |
| ტრაბზონი-მანიშა | 2:1 |
| გალათასარაი-ბუიუქშეჰირი | 4:1 |
| მერსინი-ანკარაგიუჯუ | 1:2 |

**კალათბურთი**

| ესპანეთი | |
|---|---|
| ლაგუნ არო-სევილია | 67:65 |
| ესტუდიანტესი-ვალიადოლ. | 69:62 |
| ალიკანტე-ხუვენტუდი | 84:78 (ო) |
| სარაგოსა-გრან კანარია | 63:61 |
| უნიკახა-ბილბაო | 78:73 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-ვანოლი | 64:62 |
| ბიელა-სასარი | 73:78 |
| ვარეზე-ბენეტონი | 96:80 |
| ბოლონია-მონფერატო | 70:62 |
| მილანი-რომა | 83:75 |
| მონტეგრანარო-ტერამო | 65:73 |
| მონტეპასკი-სკავოლინი | 75:78 |
| ვენეცია-კაზერტა | 79:74 |

| თურქეთი | |
|---|---|
| პაჩეთეფე-ფენერბაჰჩე | 58:79 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| იუგრა-აკ ბარსი | 5:4 |
| სევერსტალი-ვიტიაზი | 4:1 |
| ლევ პოპრადი-სპარტაკი | 2:3 (ბ) |

| ავსტრია | |
|---|---|
| აკრონი-ვილახი | 1:5 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 7:6 |
| ზნოიმო-ვენა | 2:3 (ო) |
| კლაგენფიურტი-ალბა | 4:3 (ო) |
| ლინცერი-ზაგრები | 1:4 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-იზერლონი | 5:2 |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 3:2 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 2:0 |
| ინგოლშტად.-დიუსელდორ. | 4:3 (ო) |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 1:4 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 4:3 (ბ) |
| შტრაუბინგი-კრეფელდი | 5:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| როსენბორგი-ფრისკ ასკერი | 10:0 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 6:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ზვოლენი-პოპრადი | 4:3 |
| მარტინი-ბისტრიცა | 5:4 (ბ) |
| ნიტრა-სლოვანი | 5:3 |
| სკალიცა-კოშიცე | 3:9 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 5:4 (ბ) |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-ესეტი | 2:4 |
| იოკერიტი-კალპა | 0:1 |
| კერპეტი-ბლუზი | 4:3 |
| ლუკო-ტაპარა | 0:2 |
| საიპა-პელიკანსი | 3:4 |
| ჰპკ-ჰიფკ | 2:3 |
| იუვიასკიულა-ტპს | 2:0 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პლზენი-სპარტა | 5:2 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 2:4 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| კლოტენი-რაპერსვილი | 6:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ბრინასი | 5:1 |
| ფრიოლუნდა-ლინჩოპინგი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბრისბენი | |
|---|---|
| შტებე-**ნიშიკორი** | 6:3, 1:6, 4:6 |
| **ნიემინენი**-ლივაინი | 7:6, 6:2 |
| **იტო**-მიტჩელი | 6:4, 6:2 |
| **შტეპანეკი**-ებდენი | 6:4, 3:6, 6:3 |
| მილმანი-**ხირალდო** | 3:6, 3:6 |
| მელცერი-**პეტცშნერი** | 1:6, 5:7 |
| **ჰაასი**-მატოშევიჩი | 6:3, 7:5 |
| მანარინო-**ანდრეევი** | 6:7, 2:6 |
| **მიურეი**-კუკუშკინი | 5:7, 6:3, 6:2 |

| ATP. დოჰა | |
|---|---|
| **სტახოვსკი**-კარლოვიჩი | 7:6, 2:6, 6:7 |
| ჟაზირი-**ცონგა** | 6:7, 7:6, 1:6 |
| **გრემელმაირი**-სტარაჩე | 6:3, 6:2 |
| ბაუტისტა-**ბახინგერი** | 3:6, 4:6 |
| ბუბკა-**ჟემლია** | 6:4, 1:6, 1:6 |
| ანდუხარი-**გარსია ლოპესი** | 2:6, 6:2, 3:6 |
| გულბისი-**იუჟნი** | 4:6, 7:6, 2:6 |
| **ნადალი**-კოლშრაიბერი | 6:3, 6:7, 6:3 |
| **ფედერერი**-დავიდენკო | 6:2, 6:2 |
| **მონფილსი**-მაშადო | 7:5, 6:3 |

| ATP. ჩენაი | |
|---|---|
| პროდონი-**როჟე ვასელენი** | 4:6, 3:6 |
| ო. როხუსი-**სუგიტა** | 3:6, 4:6 |
| კუერი-**ჰანესკუ** | 3:6, 4:6 |
| **ა. ბეკი**-პოსპიშილი | 6:3, 7:6 |
| დე ბაკერი-**ლუ** | 3:6, 3:6 |
| **გოფინი**-მალისე | 4:6, 6:2, 6:3 |
| კავჩიჩი-**დარცისი** | 6:4, 5:7, 3:6 |
| ჟილი-**სოედა** | 2:6, 7:6, 5:7 |

| WTA. ბრისბენი | |
|---|---|
| ბ. ზახვალოვა-**პეტკოვიჩი** | 6:7, 0:6 |
| ვოსკობოევა-**სკიავონე** | 4:6, 4:6 |
| კინგი-**ჰანტუხოვა** | 6:4, 2:6, 3:6 |
| ივანოვიჩი-**კლაისტერსი** | 1:6, 6:1, 3:6 |

| WTA. ოკლენდი | |
|---|---|
| **ნიკულესკუ**-ჰემპტონი | 7:6, 6:1 |
| **ვიკმაიერი**-პლიშკოვა | 6:3, 6:4 |
| რისკე-**კუზნეცოვა** | 3:6, 2:6 |
| მარინო-**ვინჩი** | 5:7, 4:6 |
| რეზაი-**პენგი** | 6:4, 3:6, 4:6 |
| **ჟენგი**-მორიტა | 4:6, 6:3, 6:4 |
| რიბარიკოვა-**ვესნინა** | 3:6, 2:6 |
| არნი-**გორჯესი** | 5:7, 6:3, 4:6 |
| ერაკოვიჩი-**კერბერი** | 6:4, 4:6, 4:6 |

| ჰოფმანის თასი | |
|---|---|
| **ვერდასკო-ვუ** | 6:3, 6:4 |
| ჰიუიტი-**გასკე** | 2:6, 7:5, 1:6 |
| მედინა გარიგესი-**ნა ლი** | 3:6, 1:6 |
| გაიდოშოვა-**ბარტოლი** | 0:6, 0:6 |

TV პროგრამა

**4 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. უდინეზე.
**13:00** გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ბაიერნი.
**15:00** იტალიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ლაციო.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. დორტმუნდი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ატლანტა.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფრენბურთი.
**18:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტრევიზო-ოსპრეი.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ატლანტა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. რომი. იტალია.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-მარდი ფიში. მონრეალი. კანადა.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ენდი მიურეი. ცინცინატი. აშშ.
**18:30** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი. შარჯა. საემიროები.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ფენიქსი.
**22:00** ჩოგბურთის ვარსკვლავები. როჯერ ფედერერი.
**22:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დავიდ ფერერი-ენდი მიურეი. შანხაი. ჩინეთი.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონი ბრუნდება?

პირველი მარცხი იწვნია რეგულარულ ჩემპიონატში „ოკლაჰომა სიტიმ“. როგორც იქნა, მოქმედმა ჩემპიონმა „დალასმა“ აჩვენა ის თამაში, რომლითაც მან შარშანდელი პლეი ოფი მოიგო. **კევინ დურანტი** და კომპანია გუშინ საღამოს მაინცდამაინც კარგ განწყობაზე არ ყოფილან. „მავერიქსის“ დაცვამ ბევრის საშუალება არ მისცა მეტოქეს. ტეხასელები დომინირებდნენ სამწამიან ზონაში, სადაც პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე - 56 ქულა 42-ის წინააღმდეგ. დურანტი მაქსიმალურად ცდილობდა მარტოს ჩაედინა მორიგი სასწაული, მაგრამ მასპინძლებმა ყველა მისი მცდელობა დაბლოკეს, უფრო სწორედ, შეძლეს პარტნიორების ნეიტრალიზაცია, რომელთა იმედიც ჰქონდა „ოკლაჰომას“ ლიდერს.

თანდათან შედიან ფორმაში **დირკ ნოვიცკი, ჯეისონ ტერი**... განსაკუთრებით აგრესიული იყო **ვინს კარტერი**, ზედიზედ მეორე მატჩია, არ დაიკარგა **იან მაინმი**, რომელიც ახალ დონეზე გადის. უნდა აღინიშნოს, რომ სამმა სარეზერვო მოთამაშემ დააგროვა 10-ზე მეტი ქულა. „ოკლაჰომაში“ კი ტრადიციულად მხოლოდ **ჯეიმს ჰარდენი** და **ერიკ მეინორი** ეხმარებოდნენ სასტარტო ხუთეულს.

თუ მალე შეეწყობა გუნდს **ლამარ ოდომი** და „მავერიქსის“ დაცვა ასეთივე დონეზე დარჩება, სავსებით მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში ჩემპიონის დაბრუნება, თუ, რა თქმა უნდა, მჭიდრო გრაფიკი ხელს არ შეუშლის გამოცდილ, მაგრამ ვეტერან „კოვბოებს“.

ისევ ვერ ბრწყინავს „ნიუ იორკი“. ტრავმირებული **ამარე სტაუდმაიერის** გარეშე ზედიზედ მეორე შეხვედრაში „ნიქსის“ შეტევა **კარმელო ენტონისა** და **ტონი დუგლასზე** იყო დამოკიდებული. ნიუიორკელებმა კვლავ ვერ შეძლეს სტაბილური კალათბურთის ჩვენება. „ტორონტოსთან“ თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ „ნიქსმა“ მთლიანად ჩააგდო მეორე 12-წუთეული. მასპინძლებმა მეორე მეოთხედში თამაშიდან 19-ჯერ ისროლეს და მხოლოდ სამი ჩააგდეს, შესაბამისად, დიდ შესვენებაზე 19-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

შესვენების შემდეგ „ნიუ იორკი“ გამოფხიზლდა და შეძლო სამარცხვინო ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უფრო მტკიცე ნერვები კანადელებს აღმოაჩნდათ. **ტაისონ ჩენდლერის** დანკით სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა, მაგრამ ამის შემდეგ **ანდრეა ბარნიანიმ** და **ენტონი მეისონმა** თავიანთი საჯარიმოები გამოიყენეს, ენტონიმ და დუგლასმა კი ვერ შეძლეს გადამრჩენი სამქულიანების ჩაგდება. ამ წყვილმა 20 შორეული ტყორცნა შეასრულა და რვა გამოიყენა. ვარაუდობენ, რომ სტაუდმაიერი მოედანზე მომდევნო შეხვედრაში „შარლოტის“ წინააღმდეგ დაბრუნდება.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა „მინესოტამ“. ამჯერად მან „სან ანტონიო“ დაამარცხა, რომელმაც თავისი ერთ-ერთი ლიდერი **მანუ ჯინობილი** დაკარგა. არგენტინელმა ხელი მოიტეხა და ჯერჯერობით მისი დაბრუნების ვადა უცნობია. შემტევი მცველის გარეშე „სან ანტონიოს“ დაცვა ძალიან დაზარალდა, რამაც „მინესოტას“ სნაიპერებს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება მისცა. ბოლო ორ მატჩში „სპურსმა“ თავის ოპონენტებს 33-დან მხოლოდ ოთხი სამქულიანი ჩააგდებინა, აქ კი „მგლებმა“ პირველ ნახევარში რვიდან შვიდი გასროლა გამოიყენეს. სამქულიანების დიდი ნაწილი ღია პოზიციებიდან შესრულდა, რაც არადამახასიათებელია **გრეგ პოპოვიჩის** გუნდისთვის. „მინესოტამ“ პირველ ტაიმში თამაშიდან 67 პროცენტის სიზუსტით ისროლა და 65 ქულა დააგროვა. მორიგი ბრწყინვალე თამაში ჩაატარა **კევინ ლავმა**, რომელმაც ზედიზედ მეხუთე მატჩში დააგროვა მინიმუმ 20 ქულა და 12 მოხსნა. 1976 წლიდან მოყოლებული, ასეთი რამ მხოლოდ ერთადერთმა კალათბურთელმა შეძლო - **ჩარლზ ბარკლიმ** 1992-93 წლების სეზონში.

სამდღიანი სერია დაასრულა „დენვერმა“. „ნაგეტსმა“ ბოლო 10 მატჩიდან მერვედ დაამარცხა შინ „მილუოკი“. **ნენე ილარიოს** გარეშე მოთამაშე „დენვერი“ აშკარად დაღლილი და მოშვებული ჩანდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლების რიგებში აღმოჩნდნენ კალათბურთელები, რომლებმაც შეძლეს თამაშის ბედის გადაწყვეტა - **დანილო გალინარი** და **ელ ჰარინგტონი**. დასკვნით 12 წუთში მათ 10:0 გაქცევას დაუდეს სათავე, რამაც „დენვერს“ მორიგი გამარჯვება მოუტანა. აღსანიშნავია, რომ „ნაგეტსმა“ ისევ სწრაფი გარღვევების წყალობით გაიმარჯვა - ამან მასპინძლებს 24 ქულა მოუტანა, „მილუოკიმ“ კი ამ ხერხით მხოლოდ 10 ქულა დააგროვა. კოლორადოელებმა ასევე აჯობეს მეტოქეს ფარქვეშ ბრძოლაში - 49 მოხსნა 38-ის წინააღმდეგ. სწორედ ამის ხარჯზე შეძლეს მასპინძლებმა გამარჯვება, თორემ ტყორცნების რეალიზაცია 40 პროცენტზე დაბალი ჰქონდათ.




დურანტის მონდომება არასაკმარისი იყო

**ფინიქსი-გ. სტეიტი 102:91**

25:26, 26:21, 21:22, 30:22

**ფ:** ნეში (21+9 პასი), მორისი (16+9 მოხსნა), დადლი (15), შ. ბრაუნი (10+5 მოხსნა), ფრაი (10+10 მოხსნა).

**გ-ს:** ელისი (18+5 მოხსნა+11 პასი), მაკგუაიერი (14+9 მოხსნა), რაში (13), უდო (11), კარი (10).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 100:92**

23:24, 24:24, 22:22, 31:22

**ბ:** ალენი (27), პირსი (21+8 მოხსნა), ბასი (14+6 მოხსნა), სტიემსმა (13+7 მოხსნა), გარნეტი (10+6 მოხსნა+6 პასი), რონდო (6+7 მოხსნა+13 პასი).

**ვ:** ბლეტჩი (28+9 მოხსნა), მაკგი (17+14 მოხსნა+3 დაფარება), უოლი (11+8 პასი), იანგი (10).

**ნიუ იორკი-ტორონტო 85:90**

23:22, 11:29, 24:16, 27:23

**ნ-ი:** ენტონი (35+11 მოხსნა), დუგლასი (22), ჩენდლერი (11+10 მოხსნა).

**ტ:** ბარნიანი (21+5 მოხსნა), დეროზანი (21), ბატლერი (13+10 მოხსნა), ბარბოზა (10), კალდერონი (9+12 პასი), მაგლოირი (0+10 მოხსნა).

**დეტროიტი-ორლანდო 89:78**

21:19, 23:27, 24:17, 21:15

**დ:** გორდონი (26+6 პასი), სტაკი (14), პრინსი (14+5 მოხსნა), მონრო (10+9 მოხსნა), ჟერებკო (8+11 მოხსნა).

**ო:** ჰოვარდი (19+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), ანდერსონი (13+6 მოხსნა), თურქოგლუ (13).

**მაიამი-ატლანტა 92:100**

23:19, 27:28, 21:20, 21:33

**მ:** ჯეიმსი (28+7 მოხსნა+6 პასი), ბოში (19+6 მოხსნა), უეიდი (12+10 პასი+3 ჩაჭრა), ბატიე (11), კოული (10), ჰასლესი (4+10 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (21+5 მოხსნა), ჰორფორდი (16+9 მოხსნა), მაკგრეიდი (16 +7 მოხსნა), ტიგი (15+5 პასი+4 ჩაჭრა).

**ნიუ ჯერსი-ინდიანა 94:108**

21:29, 21:19, 22:29, 30:31

**ნ-ჯ:** უილიამსი (22+8 მოხსნა), ბრუქსი (21+7 მოხსნა), გეინსი (12), ჯეიმსი (10+5 მოხსნა).

**ი:** ჯორჯი (21), გრეინჯერი (15+6 მოხსნა), უესტი (13+5 მოხსნა), ჰენსბრო (12+7 მოხსნა), ჯონსი (11).

**მინესოტა-სან ანტონიო 106:96**

35:25, 31:34, 28:21, 12:16

**მ:** ლავი (24+15 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბიზლი (19+5 მოხსნა), რიდნური (19+9 პასი), ჯონსონი (14), მილიჩიჩი (10+6 მოხსნა).

**ს-ა:** დანკანი (16+5 პასი), ჯეფერსონი (16), სპლიტერი (12), პარკერი (11+9 პასი).

**დალასი-ოკლაჰომა 100:87**

20:02, 34:27, 24:18, 22:22

**დ:** ნოვიცკი (26+6 მოხსნა), მერიონი (17), ტერი (15), კარტერი (14), მაინმი (10+9 მოხსნა).

**ო:** დურანტი (27), უესტბრუკი (18+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარდენი (16 +7 მოხსნა), იბაკა (10+8 მოხსნა).

**დენვერი-მილუოკი 91:86**

24:30, 24:18, 20:26, 23:12

**დ:** გალინარი (21+10 მოხსნა), ჰარინგტონი (17+8 მოხსნა), ლოუსონი (16+6 პასი), ბრიუერი (10).

**მ:** ჯექსონი (17), დელფინო (14+9 მოხსნა), ბოგუტი (12+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯენინგსი (12).

**იუტა-ნიუ ორლეანი 94:90**

18:22, 32:25, 20:27, 24:16

**ი:** ჯეფერსონი (22+6 მოხსნა), ჰარისი (19+5 პასი), ჰოვარდი (13), მაილზი (11).

**ნ-ო:** ჯეკი (27+5 მოხსნა+11 პასი), სმიტი (16+8 მოხსნა), კამანი (14+6 მოხსნა), ამინუ (11).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 6 | 5 | 1 | 83.3 |
| 2. ატლანტა | 5 | 4 | 1 | 80.0 |
| 3. ინდიანა* | 5 | 4 | 1 | 80.0 |
| 4. ფილადელფია* | 4 | 2 | 2 | 50.0 |
| 5. ჩიკაგო | 5 | 4 | 1 | 80.0 |
| 6. ორლანდო | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 7. ბოსტონი | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 8. კლივლენდი | 4 | 2 | 2 | 50.0 |
| 9. მილუოკი | 4 | 2 | 2 | 50.0 |
| 10. ტორონტო | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 11. ნიუ იორკი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 12. დეტროიტი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 13. შარლოტი | 4 | 1 | 3 | 25.0 |
| 14. ნიუ ჯერსი | 6 | 1 | 5 | 16.7 |
| 15. ვაშინგტონი | 5 | 0 | 5 | 00.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 6 | 5 | 1 | 83.3 |
| 2. პორტლენდი | 4 | 3 | 1 | 75.0 |
| 3. სან ანტონიო* | 5 | 3 | 2 | 60.0 |
| 4. კლიპერსი* | 4 | 2 | 2 | 50.0 |
| 5. დენვერი | 6 | 4 | 2 | 66.7 |
| 6. ჰიუსტონი | 4 | 2 | 2 | 50.0 |
| 7. ლეიკერსი | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 8. საკრამენტო | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 9. იუტა | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 10. ფინიქსი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 11. მინესოტა | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 12. ნიუ ორლეანი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 13. გ. სტეიტი | 5 | 2 | 3 | 40.0 |
| 14. დალასი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 15. მემფისი | 4 | 1 | 3 | 25.0 |

** - დივიზიონის ლიდერი*

ბიატლონი

# ინტერვიუ ჟესტებით

თანამედროვე ბიატლონის მთავარმა ვარსკვლავმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაგდალენა ნოიერმა უცნაური ინტერვიუ მისცა გაზეთ "ბილდს". გერმანელმა ბიატლონისტმა რვავე კითხვას მიმიკისა და ჟესტების მეშვეობით უპასუხა.

1. რას აპირებთ კარიერის დასრულების შემდეგ?




2. როგორ შეხვდებით მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატს რუპოლდინგში?




3. რამდენი შვილი გეყოლებათ?




4. რა აზრის ხართ გერმანულ ტელეპროგრამებზე?




5. მზად ხართ მეგაპოლისში ცხოვრებისთვის?




6. როდის გათხოვდებით?




7. რამდენიმე მედლის მოპოვებას აპირებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე?



8. არ გეშინიათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის?




კალათბურთი

# ლებრონს ცოლი მოჰყავს

„შარლოტ ბობკეტსთან“ მატჩის წინ **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ სულ მალე დაქორწინებას აპირებს. „მეფის“ რჩეული გახდა მისი ძველი მეგობარი **სავანა ბინსონი**, რომელსაც კალათბურთელი სკოლის პერიოდიდან ხვდება.

ამ ინფორმაციამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ახლა, ლებრონი მილოცვებს იღებს მეგობრებისგან და უბრალოდ ნაცნობებისგან. ასე მაგალითად, „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მცველმა **კრის პოლმა** თავის მეგობარს „ტვიტერის“ მეშვეობით მიულოცა. „ძმაო და დაო, გილოცავთ ნიშნობას. უზომოდ მიხარია ეს ამბავი და ის კარგი დროება, რომელიც თქვენს ცხოვრებაში დადგება“, - დაწერა ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა.

27 წლის ლებრონ ჯეიმსს სავანა ბრინსონისგან ორი შვილი ჰყავს - ლებრონ-უმცროსი (7 წლის) და ბრიუს მაქსიმუსი (4 წლის).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ლებრონი და მისი რჩეული